



სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“  
(ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“

*Scientific magazine*

**“AUTHORITY AND SOCIETY**

(History, Theory, Practice)“

**Научный журнал “ВЛАСТЬ И ОБЩЕСТВО**

(История, Теория, Практика)“

№ 4 (20) 2011, ტომი I

ღია დიპლომატიის ასოციაციის  
სამეცნიერო ჟურნალი


Scientific magazine of  
The Open Diplomacy Association

Научный журнал  
АССОЦИАЦИИ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ

**EISSN 1512-4029**

ჟურნალი დაარსებულია 2005 წელს საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის კათედრის მიერ

UDC 378(479.22)(051.2)  
ბ. 402



## სარედაქციო კოლეგია:

შოთა დოღონაძე

მთავარი რედაქტორი

ოთარ ქოჩორაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე

ოთარ ბაღათურია

პასუხისმგებელი მდივანი

ნანა ავალიანი, რუდიგერ ანდრესენი, მეუფე აბრაამი (გარმელია), ევგენი ბარათაშვილი, გიორგი ბაღათურია, ოთარ ბაღათურია, რასა ბელოკაიტე, ანასტასია განიჩი, იური გორიცი, ვახტანგ გურული, შოთა დოღონაძე, ელუნ დრაკე, ჰარალდ ვერტცი, გენადი იაშვილი, სერჯო კამიზი, რინარდ მაასი, როინ მეტრეველი, იოშიკა მიცუი, ბადრი ნაკაშიძე, ლიზავეტა ჟახანიანი, ბუდი ნურანი რუხჯანა, რამონ პიეტრო-სუარესი, გერტ სურმიულენი, ქეთი ქოქრაშვილი, ოთარ ქოჩორაძე, რუსუდან ქუთათელაძე, მაია ჩხეიძე, ენდრიუ ლენუქს ჰარდინგსი



ქურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გამოქვეყნებული მასალები გამოსატყავს მხოლოდ ავტორთა პოზიციას და შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის შეხედულებებს.

რედაქციის მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას ქ. 77, VI კორპუსი,

I სართული, ტელ. 236-45-14,

77 Kostava st., 0175 Tbilisi, Georgia.

Tel. [+995 32] 2364514

e-mail: [office@odageorgia.ge](mailto:office@odageorgia.ge)

გარეკანის გაფორმება: დავით ბაღათურია

ქურნალის ელექტრონული ვერსია გამოქვეყნებულია ვებგვერდებზე:

<http://www.odageorgia.ge/page=gamocemebi>

<http://www.gtu.edu.ge/katedrebi/kat124/>

## თეორია

### ნუნუ ოფსიანიკოვა

სახელმწიფო სამსახურში ქცევის წესების  
ზოგიერთი ასპექტი-----5

### როზა გაფრინდაშვილი

განწყობის თეორია და „ცრურწმენების“ ფსიქოლოგია-----14

### ოთარ ქოჩორაძე

ადამიანური რესურსების მართვის ჩინური სტრატეგია-----20

## ისტორია

### დავით პაიჭაძე

“დამოუკიდებლობის” ოცი წელი (გასაზოგადოების პრობლემა  
თანამედროვე საქართველოში)-----32

### ქეთევან მუხიგული

ფიხტე ისტორიის შესახებ-----63

### ირინა კორნილოვა

მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის სიუჟეტები  
ვ.ფ. კუდრიავეცვის ნაშრომში “კამისპირეთის სიძველეები,  
ძეგლები, გადმოცემები და ლეგენდები” (რუსულად)-----73

## ეკონომიკა

### გარი გუნია, ზიზი სვანიძე, არჩილ გერსამია, ლილი სვანიძე

ბუნებრივი გარემოს კომპლექსური მონიტორინგის საკითხების  
დამუშავება ქვეყნის საინვესტიციო გარემოს მაღალი  
საიმედობით შეფასების მიზნით-----81

### ბელა გოდერძიშვილი

ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგი (ინგლისურად)-----95

## საზოგადოება

### ნანა გამყრელიძე

ინტერსუბიექტურობა, სუბიექტურობა და  
სოციალური ფაქტორი-----99

### მარი ბანძელაძე

PR ტექნოლოგიები, ეფექტური მარკეტინგის - საზოგადოებაში  
და ბაზარზე სწორი ორიენტაციის საშუალება-----104

### კახაბერ ჩინჩალაძე

ანტონიმური წყვილები-----112

### ბადრი ცხადაძე, ეკა ცხადაძე

ინდოეთი ქართულ ლინგვოკულტუროლოგიურ არეალში-----119

# თ ე ო რ ი ა

## ნუნუ ოფსიანიკოვა

### სახელმწიფო სამსახურში ძველის წესების ზოგიერთი ასპექტი

სახელმწიფო სამსახური განიხილება როგორც სახელმწიფო მოსამსახურის მიმართ სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებული ნდობის გამოხატვა და, ბუნებრივია, მის წინაშე მნიშვნელოვან მოთხოვნებს წამოჭრის როგორც პროფესიონალური თვალსაზრისით, ასევე ზნეობრივ, ეთიკურ და მორალურ ასპექტში.

სახელმწიფო მოსამსახურე ვალდებულია იმსახუროს პატიოსნად და მიუკერძოებლად სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით; ამისათვის მან თავისი საქმიანობა უნდა განახორციელოს იმ წესების შესაბამისად, რომელიც დადგენილია სახელმწიფო სამსახურის ერთიანი სამართლებრივი ინსტიტუტის ფარგლებში და დაფუძნებულია კონკრეტულ იურიდიულ და მორალურ-ეთიკურ მოთხოვნებზე. სახელმწიფო სამსახური განიხილება როგორც საქმიანობის ისეთი სფერო, სადაც გამორიცხულ უნდა იქნეს ნებისმიერი სახის პირადი ან სხვა ფინანსური ინტერესის არსებობა, რომელიც წარმოშობს რაიმე დაბრკოლებას, რათა სახელმწიფო მოხელემ ღირსეულად მოიხადოს ვალი სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე.

ამდენად, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფო მოსამსახურის მიერ საჯარო ფუნქციების სათანადო დონეზე შესრულება, სახელმწიფო სამსახურში წესდება ქცევის სტანდარტები, ეთიკური ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფო მოსამსახურის ქცევისა და საქმიანობის პირობებს.

სახელმწიფო მოსამსახურის მიმართ ეთიკურ და სამართლებრივ ვალდებულებათა ერთობლიობა მისი ქცევის რეგულირების მნიშვნელოვანი ბერკეტია.

ეთიკური ვალდებულებები, რომლებიც მოიცავენ ადამიანთა ურთიერთობის სპეციფიკურ პირობებში განსაზღვრული პროფესიის ფარგლებში მოქმედ მორალურ ნორმებსა და პრინციპებს, ზოგადად განიხილება როგორც პროფესიონალური ეთიკის სფერო, ხოლო სახელმწიფო სამსახურის შემთხვევაში ეს ვალდებულებები სახელმწიფო-სამსახურებრივ ეთიკას შეადგენენ.

ნიშანდობლივია, რომ სახელმწიფო მოსამსახურის მიმართ ზოგადსოციალური და ზოგადსაკაცობრიო მორალურ პრინციპებთან ერთად მოქმედებს პროფესიონალური სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე მორალური პრინციპები და ნორმები. ცნობილია, რომ პროფესიული ეთიკის ნორმები წარმოიქმნება მოცემულ პროფესიონალურ ჯგუფში და შინაარსით ანალიტიკურ-რეკომენდაციული ხასიათისაა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ეთიკური ნორმები იძენს სავალდებულო ხასიათს და დეონტოლოგიური ხდება. ამ მიზნით დგინდება მორალურ ნორმათა ერთობლიობა, რომელსაც კონკრეტულ-იმპერატიული მნიშვნელობა ენიჭება. მათი მეშვეობით ხდება სახელმწიფო მოსამსახურის ქცევის მკაცრი და უნიფიცირებული რეგლამენტაცია. საერთო ეთიკური ნორმებისაგან განსხვავებით, იგი აისახება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დოკუმენტებში და უზრუნველყოფილია შესაბამისი ადმინისტრაციული სანქციებით, სახელმწიფო იძულებით.

დამკვიდრებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სახელმწიფო მოსამსახურის ქცევის სტანდარტები იურიდიულ ფორმას სამართლებრივი ნორმების სახით იძენს და ყალიბდება სახელმწიფო სამსახურში ქცევის წესების სამართლებრივი საფუძველი. უპირატესად ქცევის ზოგად სტანდარტებზე დაყრდნობით ხელისუფლების ცალკეულ განშტოებებსა თუ დაწესებულებებში იქმნება ქცევის განსხვავებული ნორმები, რომელიც ითვალისწინებს საჯარო სამსახურის კონკრეტული სახეობების სპეციფიკას მაგალითად, ქცევის სპეციფიკური ნორმები იქმნება ადმინისტრაციული, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში. შემდგომში ხდება ქცევის ნორმების დიფერენცირება ცალკეული სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა მიმართ. პროფესიონალური სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, იქმნება ასევე სპეციალური ნორმები. ამ ნორმების მოქმედება ვრცელდება მხოლოდ და მხოლოდ განსაზღვრული სამსახურის სფეროში, რომელშიც ზოგადი ნორმების შემდგომი დეტალური რეგლამენტაცია ხდება.

ამრიგად, სახელმწიფო მოსამსახურის ქცევის წესების ერთობლიობა „პირამიდული“ ფორმით წარმოგვიდგება და მიმართულია ზოგადიდან ერთეულისაკენ. პრაქტიკაში იგი გვხვდება „ჰორიზონტალური“ ფორმითაც, როცა სახელმწიფო მოსამსახურის ქცევის წესები ზოგადი ნორმების სახით კი არ ყალიბდება, არამედ იქმნება ხელისუფლების ცალკეული შტოს მოხელეებისათვის.

მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრულია სახელმწიფო მოსამსახურის ქცევის სტანდარტები, რომელიც

ჩამოყალიბებულია ქცევის წესების, ქცევის კოდექსის, ეთიკის კოდექსის, ეთიკური ქცევის სტანდარტების, ქცევის ძირითადი პრინციპებისა და სხვა სახით. მოცემული სტანდარტები და კოდექსები ძირითადად მოიცავს ეთიკისა და პროფესიული ქცევის მსგავს ნორმებს.

სახელმწიფო მოსამსახურეთა ქცევის სტანდარტების შემუშავებისას დიდი ყურადღება ექცევა როგორც სახელმწიფო მოსამსახურეთა ქცევის ზოგადი სტანდარტების შემუშავებას, ასევე სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის პირთა ქცევის სტანდარტების ჩამოყალიბებას.

1995 წელს ნოლანის კომისიამ (დიდი ბრიტანეთი) გამოაქვეყნა მოხსენება „საჯარო მოღვაწეობის სფეროში სტანდარტების შესახებ“. მასში ჩამოყალიბებულია საჯარო საქმიანობის ყველა სფეროსათვის მისაღები 7 პრინციპი. ეს პრინციპებია:

უმწიკველობა – საჯარო თანამდებობის პირი ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება მხოლოდ და მხოლოდ საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, მას არა აქვს უფლება იმოქმედოს ფინანსური თუ სხვა მატერიალური სარგებელის მიღების მიზნით;

მოუსყიდველობა – საჯარო თანამდებობის პირს არა აქვს უფლება სხვა ორგანიზაციის ან გარეშე პირის მიმართ იკისროს ნებისმიერი ფინანსური ან სხვა სახის ვალდებულება, რომელმაც შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს მის მიერ სამსახურებრივი ვალდებულების განხორციელებაზე;

ობიექტურობა – საჯარო თანამდებობის პირი ვალდებულია საჯარო თანამდებობაზე დანიშნისას, ხელშეკრულების გაფორმებისას, ჯილდოზე წარდგენისას და სხვა მსგავსი გადაწყვეტილებების მიღებისას არჩევანი გააკეთოს კანდიდატთა ღირსებებისა და დამსახურებების გათვალისწინებით;

ანგარიშვალდებულება – საჯარო თანამდებობის პირი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე და მისი სამსახურებრივი საქმიანობა უნდა ექვემდებარებოდეს ყველანაირი სახის შემოწმებას;

საჯაროობა – საჯარო თანამდებობის პირი ვალდებულია მაქსიმალურად უზრუნველყოს თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ინფორმაციის საჯაროობის შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს საზოგადოებრის ინტერესები;

პატიოსნება – საჯარო თანამდებობის პირი ვალდებულია განაცხადოს ნებისმიერი პირადი ინტერესების შესახებ, მიიღოს

ზომები ინტერესთა კონფლიქტის აღკვეთისათვის საზოგადოების ინტერესის გათვალისწინებით;

ხელმძღვანელობა – საჯარო თანამდებობის პირი ვალდებულია პირადი მაგალითითა და უშუალო ხელმძღვანელობით ხელი შეუწყოს ზემოთ აღნიშნული პრინციპების განხორციელებას.

თანამდებობის პირის ქცევის წესების სპეციფიკას განაპირობებს ის ფაქტორი, რომ თანამდებობის პირს რიგით მოხელესთან შედარებით, თავისი მოვალეობის შესასრულებლად გარკვეული დამატებითი უფლებები ეკისრება, რომელიც აბსტრაქტულ ასპექტში კი არ არის წარმოდგენილი და რომელსაც არ გააჩნია პრაქტიკული გამოყენება, არამედ იგი წარმოგვიდგება როგორც კანონის ძალით მინიჭებული სპეციფიკური უფლებამოსილებები, რომლის განხორციელებისას თანამდებობის პირი შეიძლება ხშირად აღმოჩნდეს სიტუაციაში, სადაც რეალურია ან შესაძლოა ინტერესთა კონფლიქტი პირად და სახელმწიფო ინტერესებს შორის. შესაბამისად დიდია ცდუნება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პირადი და არა სახელმწიფო ინტერესი. აქედან გამომდინარე, თანამდებობის პირთა ქცევის წესების რეგლამენტაციისას მათ შედარებით მკაცრი მოთხოვნები წაეყენებათ, ვიდრე სახელმწიფო მოსამსახურეს ზოგადად.

ამრიგად, სახელმწიფო მოხელე წარმოადგენს სახელმწიფო ადმინისტრაციის მთავარ რგოლს, მას გააჩნია განსაკუთრებული მოვალეობები და ვალდებულებები, რაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს შესაბამისი სამართლებრივი გარემოს არსებობით. თავის მხრივ, სახელმწიფო მოხელის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობების სრულფასოვანი შესრულება მნიშვნელოვანი საფუძველია საზოგადოების ნდობის დამსახურებისათვის და, საბოლოო ჯამში, გვევლინება დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების, ხელისუფლების ლეგიტიმურობისა და საზოგადოების ერთიანობის უმთავრეს წინაპირობად.

გარდა იმისა, რომ სახელმწიფო მოხელის ქცევის სტანდარტების არსებობა სახელმწიფო ადმინისტრაციის საქმიანობის რეგულირების საშუალებას იძლევა, მას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სახელმწიფო სამსახურში კორუფციის პრევენციის ღონისძიებათა სისტემაში. მსოფლიო თანამეგობრობის საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მრავალჯერ იყო განხილული აღნიშნული საკითხი, შემუშავებულ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო მოხელის ქცევის სტანდარტების განმსა-



ზღვრულ ძირითად პრინციპებთან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანას.

ამ მხრივ აღსანიშნავია გაეროს მიერ შემუშავებული „სახელმწიფო თანამდებობის პირთა ქცევის საერთაშორისო კოდექსი“ და ევროსაბჭოს მიერ მიღებული „სახელმწიფო მოსამსახურეთა ქცევის კოდექსი“. დასახელებულ დოკუმენტებში ჩამოყალიბებულია თანამდებობის პირთა და სახელმწიფო მოსამსახურეთა ქცევის ზოგადი პრინციპები. მათი ძირითადი დებულებები მოიცავს ნორმებს, რომელიც მორალურ და პრაქტიკულ ასპექტში განსახორციელებელ ვალდებულებათა ერთობლიობაა. ამ დოკუმენტის შესაბამისად, სახელმწიფო მოსამსახურეებმა უნდა იმოქმედონ კეთილსინდისიერად, გულისხმიერად, სამართლიანად და მიუკერძოებლად, ეთიკის უმაღლესი სტანდარტების დაცვით; მათი საქმიანობა უნდა იყოს გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი, რათა საზოგადოების მხრიდან შესაძლებელი იყოს ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება. თავისი ფუნქციების შესრულებისას სახელმწიფო მოხელე უნდა ხელმძღვანელობდეს კანონის უხედავობისა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპებით, გადაწყვეტილებებს უნდა იღებდეს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა გააჩნდეს კანონით გათვალისწინებული ინტერესების გარდა ფინანსური ან სხვა კერძო ინტერესები, ხოლო მისი არსებობის შემთხვევაში იგი ისე უნდა წარმართოს, რომ თავიდან იქნეს აცილებული ინტერესთა ფაქტობრივი, პოტენციური ან აშკარა კონფლიქტის წარმოშობა. იმ შემთხვევაში, თუ კონფლიქტი სახელმწიფო მოსამსახურის კერძო ინტერესებსა და თანამდებობრივ მოვალეობებს შორის მაინც წარმოიშვა, იგი უნდა გადაწყდეს საზოგადოებრივ ინტერესთა სასარგებლოდ. ამავდროულად მას ეკისრება პასუხისმგებლობა ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებისა და ინტერესთა კოლიზიის აღმოფხვრისათვის. ამასთან, იგი ვალდებულია უზრუნველყოს სამეწარმეო და ფინანსური ინტერესების მიზნით გაწეული იმ საქმიანობის დეკლარირება, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ინტერესთა კონფლიქტი. სახელმწიფო მოსამსახურემ არ უნდა მიიღოს სარგებელი რაიმე სახით, მათ შორის საჩუქარი, რომელმაც შესაძლოა გააღებინა მოახდინოს მასზე დაკისრებული ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულებაზე. გარდა ამისა, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, პირადი დაინტერესების საფუძველზე, მთავრობასთან ურთიერთობისას იგი არ უნდა უქმნიდეს შეღავათიან პირობებს კერძო გაერთიანებებს ან პირებს. სახელმწიფო

მოსამსახურეს ასევე არა აქვს უფლება მიიღოს უპირატესობა ან სარგებელი იმ ინფორმაციის გამოყენებით, რომელიც მისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გახდა ცნობილი; გამოიყენოს სახელმწიფო ქონება იმ მიზნებისათვის, რომელიც არ არის დაკავშირებული მის სამსახურებრივ საქმიანობასთან. საყურადღებოა, რომ მკაცრად რეგლამენტირებულია სახელმწიფო მოსამსახურის სახელმწიფო სამსახურის შემდგომი – „პოსტსამსახურებრივი“ საქმიანობა, რათა სახელმწიფო სამსახურიდან წასვლის შემდეგ, მიღებული ინფორმაცია, სამსახურებრივი კავშირები არ იქცეს მისთვის არაკანონიერი შემოსავლის წყაროდ.

ასევე, საყურადღებოა, რომ სახელმწიფო მოსამსახურე ვალდებულია, კანონით დადგენილი წესით მიმართოს ხელმძღვანელ თანამდებობის პირს ან კომპეტენტურ ორგანოს, წარუდგინოს მათ მტკიცებულებანი, ხოლო საფუძველიანი ეჭვის შემთხვევაში, გააცნოს მოსაზრებები მოსამსახურის მიერ უკანონო, არამართალზომიერი, არაეთიკური ქმედებების ჩადენის ან მოსამსახურეთა მიერ სამოხელეო დანაშაულის ან კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის თაობაზე. ამასთან, სავალდებულოა განხორციელდეს განმცხადებელი პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა.

აღნიშნული ზოგადი პრინციპების გარდა, მსოფლიო თანამეგობრობის ორგანიზაციები რეკომენდაციებს იძლევა სახელმწიფო სამსახურის კონკრეტულ სფეროში დასაქმებული მოსამსახურეების საქმიანობის რეგლამენტირებისათვის. მაგალითად, გაეროს მიერ მიღებულია „სამართალდამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი“, რომელიც არეგულირებს პოლიციური უფლებამოსილებით აღჭურვილ ყველა დანიშნული ან არჩეული თანამდებობის პირის ქცევას. კოდექსში გამოკვეთილია ის მოთხოვნები და ვალდებულებები, რომელიც საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეკისრება თანამდებობის პირებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანის ღირსების, უფლებებისა და ვალდებულებების დაცვა. კერძოდ, ძალის გამოყენება დასაშვებად მიჩნეულია მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, თანაც იმ ფარგლებში, რომელსაც მოითხოვს მოვალეობის შესრულება; დაუშვებელია წაქეზება ან შეპირებულობა ნებისმიერი ქმედებისადმი, რომელიც დაკავშირებულია წამებასთან ან სხვა სახის არაადამიანურ, დამამცირებელ მოპყრობასთან. იმ შემთხვევაშიც კი, როცა არსებობს ზემდგომი ორგანოს განკარგულება ან შექმნილია საგანგებო სიტუაცია (მაგ., არსებობს ომის საშიშროება, შიდაპოლიტიკური არასტაბილურობა,

და ა.შ.). თანამდებობის პირი ვალდებულია უზრუნველყოს დაკავებულისა და ასევე ძალადობის მსხვერპლის ჯანმრთელობის დაცვა; არ ჩაიდინოს კორუფციული ქმედება; დაიცვას საიდუმლოება და კოდექსის რომელიმე მუხლის დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში მიმართოს ზემდგომ ორგანოს ან პირს.

აღნიშნული ნათლად მიუთითებს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროფესიული ეთიკის ზოგადი და სპეციალური ნორმების ჩამოყალიბების აუცილებლობას. იგი არსებული ნორმების ფარგლებში უფრო აკონკრეტებს იმ მოთხოვნებს, რომელიც სახელმწიფო მოხელეს ავალდებულებს იმოქმედოს განსაკუთრებული პირობების დაცვით და საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ამრიგად, მსოფლიო თანამეგობრობის ორგანიზაციების მიერ განსაზღვრულია სახელმწიფო მოსამსახურის ქცევის სტანდარტები, რომლებიც რეკომენდებულია მსოფლიო დემოკრატიული თანამეგობრობის ქვეყნებისათვის სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობის ინსტიტუციონალური და პროცესუალური მექანიზმის განსახორციელებლად.

ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ რეკომენდაციების მიხედვით, ძირითადი აქცენტი კეთდება ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის პრევენციაზე, საჯაროობასა და ანგარიშვალდებულებებზე. დემოკრატიულ საზოგადოებაში საჯარო სამსახურში ქცევის წესების განსაზღვრის ზოგადი პრინციპები ერთიან კანონზომიერებას ექვემდებარება და უპირატესად ურთიერთგანსხვავებულია მისი რეალიზაციის ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული მექანიზმები.

## **ლიტერატურა**

### **References:**

1. Standarts in Public Life. Committe on Standarts in Public Life Annual Reports., Chairman Lord Nolan 1, London: HMSD., 1998., p1.
2. United Nations General Assembly, Distr. General, A/RES/51/59, 28 January, 1997; Fifty-first session, agenda item 101; Resolution Adopted by the General Assembly [on the report of the Third Committee (A/51/610; Annex - International Code of Conduct for Public Officials
3. Council of Europe Committee of Ministers; Recommendation No.R(2000)10 of the Committee of Ministers to member States on codes of conducts for public officials (Adopted by the Committee of Ministers at its 106th session on 11 May 2000 )

4. Principles for Managing Ethics in the Public Service, OSCD (Organization for Security and Co-operation in Europe) Recommendation; Puma Policy Brief No. 4, Public Management Service, May 1998
5. Code of Conduct for Law Enforcement Officials, Adopted by United Nations General Assembly, resolution 34/169 of 17 December, 1979
6. The Good Governance Standard For Public Services; The Independent Commission on Good Governance in Public Services, OPM (Office for Public Management Ltd) and CIPFA (The Chartered Institute of Public Finance and Accountancy), London 2004
7. Implementing Effective Ethics Standards in Government and the Civil Service, Howard Whitton, Transparency International, February 2001
8. Getting the Balance Right Implementing Standards of Conduct in Public Life, Sir Alistair Graham, Report, Presented to parliament by the Prime Minister to Command of Her Majesty, January 2005

**Nunu Ovsyannikova**

**Some aspects on the rules of behavior in the public service**

### **Summary**

Public servant must serve honestly and impartially, considering state interests. For this purpose he/she must fulfill his/her job according to the rules which are established within a scope of united law institute of public service and are based on a specific judicial and moral-ethical demands.

In this work recommendations are discussed, including “International code of state officials’ conduct” and “Model code of public servants’ conduct” drawn up by international organizations, in which general regulations of public servants’ conduct are defined.

According to recommendations, rules of conduct in public service are represented as complexity of obligations to be fulfilled in moral-practical aspects in public services. In the rules of public servants’ conduct the main emphasis is made on prevention of conflict of interest, and on publicity and accountability.

It is worth to mention that in democratic society formation of the rules of conduct in public service is made considering international demand, and national legislation is in accordance with the main principles, which define standards of public servants’ conduct. Therefore, the main principles of the rules of conduct in public service are subject to joint regularity and organizational-administrative mechanisms of its realization are mainly different.

**Keywords:** public service, public servant, rules of behavior, organizational-administrative mechanisms, international demand, national legislation.

**Reviewer:** Professor Shota Dogonadze, Georgian Technical University

**Нуну Овсянникова**

**Некоторые аспекты правил поведения на государственной службе**

### **Резюме**

Государственный служащий обязан служить честно и непредвзято с учетом государственных интересов; вместе с тем он должен осуществлять свою деятельность в соответствии с теми правилами, которые определены рамками института единого права государственной службы и основываться на конкретных юридических и морально-этических требованиях.

В труде рассмотрены рекомендации, в том числе разработанные международными организациями мирового содружества "Международный Кодекс поведения государственных должностных лиц" и "Кодекс поведения государственных служащих", в которых определены общие положения поведения государственных должностных лиц и государственных служащих.

Согласно рекомендациям, правила поведения на государственной службе предстают как совокупность осуществляемых обязательств на государственной службе в моральном и практическом аспектах. В правилах поведения государственных служащих основной акцент делается на превенцию исключения конфликта интересов, гласности и подотчетности.

Показательно, что формирование правил в демократическом обществе происходит с учетом международных требований поведения на государственной службе и национальное законодательство соответствует основным принципам стандарта поведения государственных служащих. Соответственно, определение общих принципов правил поведения на государственной службе подчиняется единой закономерности и

преимущественно отличаются друг от друга организационно-административные механизмы их реализации.

**Ключевые слова:** государственная служба, Государственный служащий, правил поведения, организационно-административные механизмы, международные требования, национальное законодательство.

**Рецензент:** профессор Шота Догондзе. Грузинский технический университет.

### **როზა ბაშრინაშვილი** **განწყობის თეორია და „ცრუწმენების“ ფსიქოლოგია**

განწყობის თეორია, დიმიტრი უზნაძემ ქცევის მიზანშეწონილობის ასახსნელად შეიმუშავა.

განწყობა ქცევისადმი შინაგან მზაობას, მოწესრიგებულობას გამოხატავს და ქცევის განსაზღვრულობის საფუძველია.

განწყობის ცნება, ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში, ინდივიდის მიზანმიმართული აქტივობის ასახსნელად, სხვადასხვა ავტორთან სხვადასხვა მნიშვნელობით გვხვდება, რომლებიც პრობლემის დამაჯერებელ ასხნას, მითუმეტეს ექსპერიმენტულ დასაბუთებას ვერ იძლევიან.

დიმიტრი უზნაძის მიერ შემუშავებული განწყობის ცნება ქცევისადმი შინაგან მზაობას, მოწესრიგებულობას გამოხატავს. ქართველი ფსიქოლოგები, დიმიტრი უზნაძის მიერ შექმნილი ორიგინალური ექსპერიმენტების გამოყენებით, სხვადასხვა ზომის ბურთებით ცდის პირებს ქცევის მიმართ განწყობას რამდენიმე წუთში უქმნიდნენ:

- ცდის ერთ-ერთ ვარიანტში, თვალახვეულ ცდის პირებს, ორივე ხელში სხვადასხვა ზომის ბურთები რამდენჯერმე მიეწოდებოდა; რვა-ათიოდე სეანსის შემდეგ, იმავე ცდის პირებს, ორივე ხელში ტოლ ბურთებს აძლევდნენ; ისინი ბურთებს სხვადასხვა ზომისად აღიქვამდნენ; იმ ხელში, რომელშიც პატარა ბურთი ეჭირათ, როგორც წესი, დიდი ზომის ბურთის შეგრძნება ჰქინდათ, რაკი ის ასე შეიგრძნებოდა, უწინდელი განწყობის ფონზე

და პირიქით, დიდ ბურთს პატარად აღიქვამდნენ, რაკი უფრო დიდის აღსაქმელად იყვნენ განწყობილნი.

• განწყობის ექსპერიმენტულად შექმნის სხვა ვარიანტში ცდის პირებს, ეკრანზე 3–5 წუთის განმავლობაში თეთრ-რუხი განათების ციმციმს აჩვენებდნენ (პროფესორი ბარნაბ ხაჭაპურიძე); ამის შემდეგ მაგიდაზე დაწყობილ სხვადასხვა ზომის, ფორმის და ფერის გეომეტრიული ფიგურებიდან ერთ-ერთის ამორჩევას სთხოვდნენ; აღმოჩნდა, რომ ისინი სწორედ იმ ფიგურებს ირჩევდნენ, რასაც ეკრანზე ისე „ხედავდნენ“, რომ არ იცოდნენ, რომ „ხედავდნენ“ ანუ ქვეზღურბლოვანი გამღიზიანებლის სახით – ეს ფიგურები ისე იყო პროექცირებული, რომ ცდის პირები მას მხოლოდ სინათლის ციმციმად აღიქვამდნენ („25–ე კადრის ეფექტის“ მსგავსად).

ამ ექსპერიმენტებით დადგინდა, რომ მოქმედი სუბიექტის მთლიანობითი მდგომარეობის – განწყობის სფერო, ცნობიერების მიღმა, არაცნობიერადაც იქმნება და ექსპერიმენტატორს შეუძლია ცდის პირებს სასურველი ქცევის, თუნდაც მცდარის, განწყობა ხელოვნურად შეუქმნას.

როგორც ჩანს, ფსიქიკის ეს მართვადი ბუნება ჩვენმა წინაპრებმა, მეცნიერებამდევე პერიოდშიც იცოდნენ და სასურველი ქცევა-მოქმედებების მიმართ ახალგაზრდა თაობას, გართობითი, მითოლოგიური და საინტერესო ფორმით ისეთი რიტუალები და დღესასწაულები დაუწესეს, რაც საჭიროდ და სარგებლოდ მიაჩნდათ; დროთა განმავლობაში ამ რიტუალებისა და დღესასწაულების მიმართ ისეთი ფიქსირებული სოციალური განწყობები შეიქმნა, რომ ფოლკლორის სახით ჩვენამდეც მოაღწია; საბჭოთა იდეოლოგიას კი არანაირი არაცნობიერის აღიარება არ სურდა; ამის დასტურია იმ სიბრძნეების უგულვებლყოფა, რაც კაცობრიობას უხსოვარი, მეცნიერებამდევე პერიოდიდან დაუბრუნებია, მათ დიდ ნაწილს „ცრურწმენები“ უწოდა და ადამიანთა მესხიერებიდან მათ ამოძირკვას შეეცადა.

მეოცე საუკუნეში, ფსიქონალიზმა (მის შემქმნელად ზიგმუნდ ფროიდი ითვლება), ფსიქიკური „საიდუმლოებების“ ასახსნელად ბერძნული მითოლოგია გამოიყენა; უფრო ადრე კი, სულხან-საბა ორბელიანმა ფოლკლორულ სიბრძნეებს ცნობილი შედეგები – „სიბრძნე სიცრუისა“ უძღვნა.

ვოლკლორული „ცრუ სიბრძნეების“ ნიმუშია დღემდე ხალხის მეხსიერებაში შემორჩენილი ზოგიერთი მონოთეისტურ რელიგიამდელი რიტუალები – ნატვრის ხის, მსხვერპლშეწირვის, ალტერნატიული მკურნალობის, სულიერი თუ უსულო, ციური თუ მიწიერი საგნებისა და არსებების თაყვანისცემა და თვით ყველაზე „უაზრო“ საყოფაცხოვრებო, ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებული „ცრურწმენები“.

ყველა ამათგანის საშუალებით ადამიანის ფსიქიკაში ღირებულებების ჩამოყალიბება და მისი შესატყვისი ქცევა-მოქმედებისთვის მზაობა – განწყობა იქმნება, რაც დადებითი შედეგების მიღწევის დიდი ალბათობაა.

„ნატვრის ხეზე“ შებმული ჭრელი ნაჭრის „შეწირვისას“, ამ მშვენიერ „მსხვერპლს“ მორწმუნე ადამიანი, თავისი ცხოვრების უახლოესი მიზნის ასრულებას თხოვდა; რიტუალის შედეგად ადამიანის ცნობიერებაში თავისი ამ მიზნის მიღწევის განწყობა ფიქსირდება, „გაბატონდება“ (დომინანტი ხდება), რაც ამ ადამიანის მთელი ფსიქიკური ენერჯის მობილიზებას მიზნის მიღწევისკენ მიმართავს და მისი მიღწევის დიდ ალბათობას ქმნის.

„ჭიაკოკონობის“ „ცრურწმენის“ ნამდვილი დანიშნულება – გაზაფხულზე ეზო-შემოგარენის გასუფთავებით შეგროვილი, ნაზამთრალი ეკალ-ბარდებით (და არა თანამედროვე, რეზინის საბურავებით) კოცონის გაჩარება იყო; მაშინდელი ხალხის რწმენით, „რომელ ეზოშიც აღდგომის წინა კვირაში ჭიაკოკონა არ დაინთობა, იმ ეზო-გარემოს ეშმაკები დაეპატრონებიან“; ეს რწმენა, ჩვენი გაგებით, ცრუ სულაც არაა, რამდენადაც მითიური „ეშმაკები“ რეალური ეკალ-ბარდებია, თავისი მავნე შედეგებით.

ასევე, ადამიანის ცნობიერებაში გაბატონებული, დომინანტური მდგომარეობის არაცნობიერად მიღწევის მექანიზმია მსხვერპლშეწირვაც; რისთვისაც ადამიანი მსხვერპლს წირავს, ისაა ამ ადამიანის უმთავრესი ღირებულება დროის რომელიღაც გარკვეულ მონაკვეთში; მსხვერპლშეწირვის შემდეგ მის ცნობიერებაში ეს ღირებულება გაბატონდება ანუ დომინანტი ხდება, რაც „ნატვრის ხის ცრურწმენის“ მსგავსად, მთელ ფსიქიკური ენერჯის მობილიზებას იწვევს და რაც მიზნის მიღწევის დიდ შანსს ქმნის.

ამავე რანგის „ცრურწმენად“ ანუ „ღუზა ხუმრობად“ შეიძლება ჩაითვალოს ბავშვის „შეშინება“ – თუ ჭამის დროს თეფშზე კერძს დატოვებ (ბოლომდე არ შეჭამ), ულამაზო ცოლი (ან ქმარი) შეგხედებო; ამ ხუმრობის ხშირ-ხშირად შესხენება ბავშვს



„ლამაზი მეუღლის“ შერჩევის სურვილს და ადამიანის ერთ-ერთი მთავარი ღირებულების – სილამაზის განწყობას უფიქსირებს.

დღემდეა შემორჩენილი წვეულებისას მაგიდის კუთხეში მოხვედრით დაუქორწინებელი ახალგაზრდების სახუმარო „შეშინება“ – შვიდ წელიწადს ვერ დაქორწინდებო! მართალია დღეს ამ „საშიშროების“ არავის ეშინია, მაგრამ ეს „ცრურწმენაც“ დროულად დაქორწინების ხუმრობით შეხსენების მეთოდი იყო და მისი მიზანი ასევე გაუცნობიერებლად, დაქორწინების განწყობის შექმნა იყო.

„ცრურწმენებში“ მოიაზრება აგრეთვე, მოზარდი თაობისთვის წარმატებისა და თავის ტოლებში პირველობის მოპოვების მასტიმულირებელი, ასევე „შეშინების“ მეთოდი – თუ ფეხის დაბანისას ხელების მაგიერ მეორე ფეხს იყენებდნენ, უფროსები შენიშნანს აძლევენ – ასე ნუ გააკეთებ, თორემ ტოლი გაჯობებსო.

აქვე შეიძლება გავიხსენოთ სოციალისტური იდეოლოგიის მიერ „ცრუდ“ შერაცხული და დაგმობილი, საადღომოდ წითლად კვერცხის შეღებვისა და ერთმანეთისთვის ქრისტეს აღდგომის მილოცვის ლამაზი ტრადიცია; ალბათ მაშინ ვერავინ გაბედა მისი აშკარად დაცვა, მიუხედავად იმისა, რომ ამ „სიცრუემ“, დღესასწაულის ხიბლთან ერთად, დიდი სამსახური გაუწია.

ასევეა ყველა საკულტო დღესასწაული თუ „უაზრო“ საყოფაცხოვრებო „ცრურწმენა“; ისინი ადამიანის ფსიქიკაში რაიმე ღირებულების მყარად ჩანერგვას და მიზანშეწონილი ქცევის განწყობას აფიქსირებენ; მითიური ფორმით გადმოცემა კი მათ უპირატესობაზე უფრო მეტყველებს, ვიდრე ცრუობაზე, რამდენადაც, მეცნიერებამდელი ადამიანებისთვის, განსაკუთრებით ბავშვებისთვის, ასე უფრო სახალისო, დასამკვიდრებელი და შესასრულებელია, ვიდრე გონების კარნახით ან ავტორიტეტისმიერი იძულებით.

ვფიქრობ, რომ „ცრუ სიბრძნეებიდან“ ჩვენ დღესაც ბევრის სწავლა შეგვიძლია; მათი გაცნობიერება და თანამედროვეობის შესაფერისი მეთოდებით შესრულება კი არავის ავნებს.

რაც შეეხება ზოგიერთი იმათგანის მავნეობას, ვერ უარყოფთ, განწყობის შექმნის მექანიზმები ასოციალური მიზნითაც რომ შეიძლება იქნას გამოყენებული, მაგრამ ამგვარი საშიშროებისგან არც მეცნიერული აღმოჩენებია დაზღვეული, რის გამოც მათზე უარის თქმა, დღეს აზრად არავის მოუვა.

## ლიტერატურა

### References:

1. uznaZe d., ganwyobis fsiqologia, t. IV, `Tbilis universitetis gamomcemloba~, 1986.
2. froidi z., fsiqoanalizi, `ilia WavWavaZis universitetis gamomcemloba~ Sesavali azrovnebaSi~, 2000.
3. gafrindaSvili r., fsiqologiamdeli `fsiqologia~ qarTul folklorSi, Journ. saistorio vertikalebi # 22, `tu~, 2011.

## **Roza Gaprindashvili**

### **The theory of attitude and psychology of “superstition”**

#### **Summary**

Dimitri Uznadze, in order to explain behavior expediency, worked out the theory of attitude that became the subject of research for Georgian school of psychology.

Attitude expresses inherent availability to behavior, and it is the basis of behavior’s determinacy; according to the concept of Georgian psychologists the sphere of attitude – intact state of a subject creates beyond the cognition, non-consciously, too; but Soviet ideology didn’t want to recognize it. It is confirmed by the neglect of such whole wisdom that has been collected by mankind before the scientific period in the form of superstition.

Despite “falsehood”, the most part of it nevertheless came down to us and this wisdom has been “rediscovered” by psychology in the XX century.

Ancient, hieratic (cult) holidays or domestic “superstitions” serve to firm implementation of some values in humans’ mentality and creation of expedient behavior’s attitude that sets up a high probability of positive results achievement. Their exposition in the mythical form better testifies their advantages, then falsehood, since it is rather funny and easily to perform in such manner then at sense’s dictation or under authoritative compulsion.

**Keywords:** The theory of attitude, Dimitri Uznadze, Psychology of “superstition”.

**Reviewer:** Professor Vano Chiaureli, Georgian Technical University

**Роза Гаприндашвили**  
**Теория установки и психология «суеверия»**

**Резюме**

Дмитрий Узнadзе для разьяснения целесообразности поведения разработал теорию установки, которая стала предметом исследования грузинской школы психологов.

Установка выражает внутреннюю готовность к поведению и является основой определенности поведения; согласно концепции грузинских психологов, сфера установки – целостного состояния субъекта, создается и за пределами сознания, неосознанно; однако советская идеология не желала признавать это. Свидетельством этому отрицание той мудрости, которая была накоплена человечеством до научного периода, в виде «суеверия».

Несмотря на «лживость», большая их часть дошла все же до нас и эта мудрость была «открыта заново» психологией в 20-м веке.

Древние, культовые праздники или бытовые «суеверия» служат прочному внедрению каких-либо ценностей в психику человека и созданию установки к целесообразному поведению, что дает большую вероятность достижения позитивных результатов. Их изложение в мифической форме

говорит скорее об их преимуществах, нежели о лживости, поскольку осуществить это веселее и легче, чем под диктовку разума и авторитетным принуждением.

**Ключевые слова:** Теория установки, Дмитрий Узнадзе, психология «суеверия».

**Рецензент:** профессор Вано Чиаурели. Грузинский технический университет.

## ოთარ ძონორაძე ადამიანური რწმუნების მართვის ჩინური სტრატეგია

ძველი ჩინური კულტურა მდიდარია მმართველობითი ურთიერთ-ქმედების ტრადიციებით, რომლებიც ძირითადად დაფუძნებული არის დაოსიზმის (რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც შეიცავს ფილოსოფიის, რელიგიის, მისტიკის, სამედიტაციო პრაქტიკისა და მეცნიერების ელემენტებს) მსოფლმხედველობრივ წარმოდგენებზე.

ძველი ჩინური მმართველობითი თეორიის ერთ-ერთ საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს სუნ ძი-ს (ჩინ., 孫子) ტრაქტატი “ომის ხელოვნება” (ჩინ., 孫子兵法).

ეს არის ძველი ჩინეთის ყველაზე ცნობილი ტრაქტატი, რომელიც ეძღვნება პოლიტიკასა და სამხედრო სტრატეგიას. იგი წარმოადგენს “სამხედრო ფილოსოფიის სკოლის” (ბინ-ძია-ს) ძირითად ტექსტს. შედგება 13 თავისაგან: 1. წინასწარი გათვლები (始計, 始计); 2. ომის წარმოება (作戰, 作战); 3. სტრატეგიული თავდასხმა (謀攻, 谋攻); 4. ფორმა (軍行, 军行); 5. ძლევამოსილება (兵勢, 兵势); 6. სისავსე

და სიცარიელე (虛實, 虚实); 7. ბრძოლა ომში (軍爭, 军争); 8. ცხრა სახეცვალება (九變, 九变); 9. დაშქრობა (行軍, 行军); 10. ადგილის ფორმები (地形); 11. ცხრა ადგილი (九地); 12. საცეცხლე თავდასხმა (火攻); 13. ჯაშუშების გამოყენება (用間, 用间).

სუნ ძი-ს ზოგადი მეთოდოლოგია აერთიანებს თავის თავში სოციალური პომეოსტაზის შენარჩუნების კონფუციანურ საფუძვლებსა და სამყაროსეული დაო-ს დაოსისტურ დიალექტიკას, ინ-იან-ის სკოლის კოსმიურ ციკლიზმს, ლეგისტურ პოლიტიკურ მეცნიერებასა და მთ-ისტების მართველობით პრაგმატიზმს. მოცემული სინთეზი, რომელიც წარმოადგენს ომს (ბინ-ს), ერთის მხრივ, როგორც “სახელმწიფოს დიად საქმეს”, “სიკვდილისა და სიცოცხლის ნიადაგს, არსებობისა და დაღუპვის გზას (დაო-ს)”, და მეორეს მხრივ “მოტყუების გზა”-ს, განზოგადებულია 5 პრინციპში: “გზა” (ხალხისა და მმართველის ერთსულოვნება); “ცა” (დროის შესატყვისობა); “მიწა” (ადგილის შესატყვისობა); “სარდალი” (სწორი ხელმძღვანელობა, ეს კი არის გონი, ჭკუა), მიუკერძოებლობა (სამართლიანობა), ჰუმანურობა, ვაჟაკობა, სიმკაცრე); “კანონი” (ორგანიზებულობა და დისციპლინა).

სუნ ძი-ს მიხედვით მოცემულ ცნებებს გაიაზრებენ და მათ რეალიზებას ახდენენ შემდეგი 7 გათვლით: ფლობს თუ არა მმართველი “დაო”-ს (გზას); გააჩნია თუ არა მხედართმთავარს უნარი; “ცისა” და “მიწის” თავისებურებების გაცნობიერება; კანონებისა და ბრძანებების შესრულებადობა; ჯარის სიძლიერე; მეთაურებისა და ჯარისკაცების გაწვრთნის (განსწავლულობის) ხარისხი; დაჯილდოებისა და დასჯის სამართლიანობა.

ტრაქტატში განხილული არის ოპონენტებთან და ხელქვეითებთან ეფექტიანი ურთიერთქმედების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები, რომელთა ცოდნაც ფრიად სასარგებლო არის მმართველობითი ურთიერთქმედების პროცესში.

მმართველობითი პრინციპებიდან, მეტაფორული სახით წარმოდგენილი ტრაქტატში, შეიძლება გამოიყოს რამოდენიმე ძირითადი პრინციპი:

**ბრძოლის გარეშე გამარჯვება** – ეს არის ძველი ჩინური მმართველობითი ტრადიციის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: მოიგო ომი, მისი წარმოების გარეშე. მოწინააღმდეგის განადგურების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს, მისი მეგობრად გადაქცევა. თუ არ ხერხდება მისი მეგობრად გადაქცევა, უნდა მოსპო მოწინააღმდეგის ჩანაფიქრი. ისე შეცვალო

მისი წამოდგენა კონფლიქტის შესაძლო შედეგებზე, რომ მასზე არც იფიქროს. თუ არ ხერხდება მისი ჩანაფიქრის მოსპობა, უნდა მოსპოთ მისი კავშირები. როდესაც დაინახავს, რომ რჩება მოკავშირეების გარეშე, იგი ან უარს იტყვის თავის განზრახვაზე, ან კიდევ გადადებს მას სიტუაციის გარკვევამდე. ხოლო, როდესაც ომი გარდაუვალი ხდება, თქვენი ყურადღების ობიექტი უნდა გახდეს მისი არმია.

სუნ ძი წერს: “1. ...: **ომის წესების მიხედვით ყველაზე უკეთესია მოწინააღმდეგის სახელმწიფო შეინარჩუნო მთელად (მთლიანად), მეორე ადგილზეა, დაამხო ეს სახელმწიფო. საუკეთესოა შეინარჩუნო მოწინააღმდეგის არმია მთლიანად, მეორე ადგილზეა – გაანადგურო იგი. საუკეთესოა – შეინარჩუნო მოწინააღმდეგის ბრიგადა, მეორე ადგილზეა გაანადგურო იგი. საუკეთესოა შეინარჩუნო მოწინააღმდეგის ბატალიონი მთლიანად, მეორე ადგილზეა – მოსპო ის. საუკეთესოა შეინარჩუნო მოწინააღმდეგის ასეული მთლიანად, მეორე ადგილზეა – გაანადგურო იგი. საუკეთესოა შეინარჩუნო მოწინააღმდეგის ოცეული მთლიანად, მეორე ადგილზეა გაანადგურო იგი. ამიტომ, ასჯერ შეებრძოლო და ასჯერ გაიმარჯვო – ეს არ არის უკეთესი უკეთესი. ყველაზე უკეთესია დაამარცხო სხვისი არმია უბრძოლველად.**

2. **ამიტომ, ყველაზე უკეთესი ომი არის მოსპო მოწინააღმდეგის ჩანაფიქრი; მეორე ადგილზეა, მოსპო მისი მოკავშირეები, შემდეგია, მოსპო მისი ჯარები.** ყველაზე უკეთესია ციხესიმაგრის ალყაში მოქცევა. სიმაგრეების ალყის წესების მიხედვით. ასეთი ალყა მაშინ უნდა ხდებოდეს, როცა იგი გარდაუვალია. დიდი ფარების, სააღყო ეტლების მომზადებას, მიწაყრილების მოწყობას, აღჭურვილობის მომზადებას სამი თვე დასჭირდება; მაგრამ სარდალი, რომელსაც არ შეუძლია თავისი მოუთმენლობა დაძლიოს, თავის ჯარს, როგორც ჭიანჭველებს, აგზავნის იერიშზე; ამ დროს ჯარისკაცებისა და ოფიცრების ერთი მესამედი იღუპება, სიმაგრე კი აუღებელი რჩება; ასეთი არის ალყის დამღუპველი შედეგები.

3. **ამიტომ ის, ვინც იცის ომის წარმოება, უბრძოლველად ინარჩუნებს სხვის არმიას; ალყის გარეშე იღებს სხვის სიმაგრეებს; ანადგურებს სხვის სახელმწიფოს ისე, რომ თავის ჯარებს დიდი ხნით არ აკავებს.** იგი უსათუოდ ინარჩუნებს ყველაფერს მთელად და იბრძვის, რათა სრული უფლებები მოიპოვოს ცისქვეშეთში. ამიტომ, იარაღის დაჩლუნგების გარეშე შეიძლება ნახო სარგებელი: სწორედ ეს არის სტრატეგიული თავდასხმის წესი.

4. ომის წარმოების წესი გვეუბნება: თუ შენი ძალები ათჯერ აღემატება მოწინააღმდეგისას, შემოეწყვე მას ყოველი მხრიდან: თუ შენი ძალები ხუთჯერ აღემატება მოწინააღმდეგისას - თავს დაესხი მას; თუ ძალები თანაბარია, შესძელი შებრძოლება; თუ ძალები ნაკლები გაქვს - შესძელი მისგან თავის დაცვა; თუ შენ თუნდაც რაიმე მცირე გაქვს უარესი - შესძელი თავი აარილო მას; ამიტომ, ის ვინც მცირე ძალებით იბრძვის ჯიუტად, ძლიერი მოწინააღმდეგის ტყვე ხდება.

5. სარდალი სახელმწიფოსათვის იგივეა, რაც სამაგრი ოთხთვალაზე; თუ სამაგრი მჭიდროდ და კარგად არის მორგებული, სახელმწიფო უსათუოდ ძლიერია. თუ სამაგრი მოიშალა - სახელმწიფო უსათუოდ დასუსტდება...

6. ამიტომ არმია თავის სახელმწიფოსაგან ინაგრება სამ შემთხვევაში:

- როცა მან არ იცის, რომ არმია არ უნდა ამოქმედდეს და მაინც უბძანებს მას გაილაშქროს; როცა მან არ იცის, რომ არმიამ უკან უნდა დაიხიოს და უბრძანებს უკუიქცეს - ნიშნავს, რომ იგი არმიას ბოჭავს.

- როცა მან არ იცის რას წარმოადგენს არმია, იგი მას იმავე წესებით მართავს, რომლითაც მართავს სახელმწიფოს; მაშინ მეთაურები არმიაში იბნევიან.

- მაშინ, როცა მან არ იცის, თუ რა არის ტაქტიკა არმიაში, ის დასანიშნავად იყენებს იმავე მეთოდებს, რომელსაც სახელმწიფოში იყენებენ; ამ დროს არმიაში მეთაურთა აღელვება იწყება.

7. როცა არმიაში აღელვება და დაბნეულობა იწყება, უბედურება მოდის თავადებიდან, ეს კი ნიშნავს: საკუთარი არმიის რღვევას და მოწინააღმდეგისათვის გამარჯვების გადაცემას.

8. ამიტომ ცნობილია, რომ გამარჯვება მოდის 5 შემთხვევაში: იმარჯვებენ, როცა შეუძლიათ გამოიყენონ, როგორც დიდი, ასევე მცირე ძალები; იმარჯვებენ იქ, სადაც უფროსებსა და უმცროსებს ერთი და იგივე სურვილები აქვთ; იმარჯვებენ მაშინ, როცა თვითონ ფრთხილნი არიან და მოთმინებით ელოდებიან გაუფრთხილებლობას მოწინააღმდეგის მხრიდან; იმარჯვებს ის, ვისაც ნიჭიერი მხედართმთავარი ჰყავს და ხელმწიფე არ ხელმძღვანელობს მას.

9. ამიტომ ამბობენ: თუ იცნობ მოწინააღმდეგეს და იცნობ საკუთარ თავსაც, იბრძოლე თუნდაც ასჯერ, - საფრთხე არ მოგვლის; თუ იცნობ საკუთარ თავს და მოწინააღმდეგეს არ იცნობ, გაიმარჯვებ ერთხელ, მეორედ დამარცხდები; თუ არც თავს იცნობ

და არც მას, - როცა კი იბრძოლებ ყოველთვის დამარცხდები.”  
[1, 40-42]

ბრძოლის გარეშე გამარჯვების პრინციპის ორიგინალური ილუსტრაცია მოცემული აქვს მარკ მაკნეილის, ნაშრომში “სუნ ძი და ბიზნესის ხელოვნება: მენეჯერების ექვსი სტრატეგიული პრინციპი”. იგი ერთმანეთს აღარებს ჭადრაკს და უძველეს ტრადიციულ ჩინურ მაგიდის თამაშს გო-ს (ჩინ., 围棋). ჭადრაკისაგან განსხვავებით იგი იწყება სრულიად ცარიელ დაფაზე. მოთამაშეები რიგრიგობით დებენ დაფაზე თავიანთ ქვებს, რათა ხელში ჩაიგდონ ტერიტორია. სათამაშო ქვის დადება შეიძლება დაფის ნებისმიერ მონაკვეთზე, უნდა გააფართოვო შენი სამფლობელოები, და ამავდროულად თავი აარიდო საკუთარი ძალების უზომო გაწელებას და მათ დატყვევებას მეტოქის მიერ. ამ თამაშის საუკეთესო სტრატეგიას წარმოადგენს – თავისუფალი სივრცის დაკავება, ხოლო როდესაც იგი აღარ დარჩება, მოწინააღმდეგის სუსტ წერტილებზე იერიში. თამაშის მოგება შეუძლებელია საკუთარი ტერიტორიის მცირე ნაწილის პასიური დაცვით. ყოველთვის იგებს აქტიური მხარე, რომელიც აიძულებს მეტოქეს მიმართოს თავდაცვას. საბოლოოდ იმარჯვებს ის, ვინც შეძლებს ხელში ჩაიგდოს და შეინარჩუნოს რაც შეიძლება უფრო დიდი ტერიტორია სათამაშო ქვების მინიმალური დანახარჯით. შერკინების დასასრულისათვის დაფაზე რჩება ძალები, რომელთაც შეუძლიათ გააკონტროლონ ტერიტორიის უდიდესი ნაწილი. აღსანიშნავია ერთი საინტერესო გარემოება, როდესაც თამაშობენ დიდოსტატები ისინი ხელში იგდებენ ერთმანეთის სულ რამოდენიმე სათამაშო ქვას. გო-ს ფილოსოფიის არსი მდგომარეობს შემდეგში: მოწინააღმდეგის განადგურების გარეშე გამარჯვების უნარი, ღია კონფონტაციისაგან ოსტატურად თავის არიდება და უპირატესობის მიღწევა სტრატეგიული საშუალებებით. [2] ჩვენი აზრით გო-ს წარმოდგენილი ფილოსოფია სასარგებლო იქნება მმართველობითი ურთიერთქმედების პროცესში.

სუნ ძი-ს კიდევ ერთ საკვანძო ფილოსოფიურ იდეას წარმოადგენს “*ერიდე სისავსეს და დაიკავე სიცარიელე*”. არ ისწრაფო რათა ყველგან და ყოველთვის იყო მოწინააღმდეგეზე ძლიერი. უკეთესია მოძებნო ადგილი, სადაც, მოცემულ მომენტში, მეტოქე თქვენზე სუსტია. ხელოვნება მდგომარეობს მყარით სიცარიელეზე დარტყმის ხელოვნებაში.

სუნ ძი აღნიშნავდა: “1. ... : ვინც პირველი მიდის ბრძოლაში და მოწინააღმდეგეს ელოდება, იგი სავსეა ძალებით; ვინც შემდეგ, დაგვიანებით მიდის ბრძოლის ველზე და ეკვეთება მტერს, იგი უკვე



დადლილია. ამიტომ, ვინც კარგად იბრძვის, ის მართავს მოწინააღმდეგეს და საშუალებას არ აძლევს, რომ მართოს თავისი თავი.

2. შეგეძლოს, რომ მოწინააღმდეგე თვითონ მოვიდეს – ეს ნიშნავს, შემოიტყუო იგი სარგებლისათვის; შეგეძლოს, რომ მოწინააღმდეგე შემოვიდეს – ნიშნავს, რომ დაპირდეს მას რაიმე ბოროტი ზრახვით. ამიტომ, მოწინააღმდეგე შეიძლება მაშინაც დაქანცო, როცა იგი სავსეა ძალებით; შეიძლება მაძლარიც კი აშიმშილო.

3. გაილაშქრო იქით, საითაც ის უსათუოდ გაემართება, თვითონ გაემართო იქით, სადაც ის არ გელოდება. ის, ვინც ათასობით მიღს გადის და არ იღლება, უკაცურ ადგილებს გადის.

4. თავს დაესხა და ამავე დროს უსათუოდ დაიპყრო, ნიშნავს, რომ თავდასხმა მოხდა იმ ადგილზე, სადაც ის თავს არ იცავდა; თავი დაიცვა და ამავე დროს პოზიციები უსათუოდ შეინარჩუნო – ნიშნავს დაიცვა ადგილი, რომელსაც ის თავს ვერ დაესხმება. ამიტომ, ვისაც თავდასხმა შეუძლია (მისი უპირატესობაც ამაშია), მოწინააღმდეგემ არ იცის მისგან თავის დაცვა სად უნდა მოხდეს. ვინც თავის დაცვა იცის, იცის თავს სად დაესხმება მოწინააღმდეგე, მოწინააღმდეგემ კი ეს არ იცის. ზედმიწევნით დახვეწილი ხელოვნება! მის გამოსახატავად ფორმაც კი არ არსებობს. ღვთაებრივი ხელოვნება! მის გამოსათქმელად სიტყვებიც კი არ არსებობს. ამიტომ სწორედ ეს შეიძლება გახდეს მოწინააღმდეგის ბედის მჭედელი.

5. როდესაც წინ მიდიან და მტერს წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეუძლია, - ნიშნავს, რომ ურტყავენ მოწინააღმდეგის სიცარიელეს; როცა უკან იხევენ და მოწინააღმდეგეს აღარ შეუძლია უკან მოგდოს, ნიშნავს, რომ სისწრაფა ისეთი, რომ ის ვეღარ გაწევა.

6. ამიტომ, თუ მე მინდა გამოვიწვიო ბრძოლა, მოწინააღმდეგემ, რომ ააშენოს კიდევაც მაღალი სანგრები, ამოთხაროს ღრმა თხრილები, სულ ერთია, იგი ვერ შეძლებს არ ჩაებას ჩემთან ბრძოლაში. **ეს იმიტომ, რომ მე თავს ვესხმი იმ ადგილს, რომელიც მან უსათუოდ უნდა გადაარჩინოს.** მე თუ არ მინდა ვიბრძოლო, - რომ დავიკავო კიდევაც ადგილი და დავიწყო მისი დაცვა, სულერთია, მოწინააღმდეგე ვერ შეძლებს ჩემთან ბრძოლაში ჩაბმას. ეს იმიტომ, რომ მე ავაცდენ მას იმ გზიდან, საითაც მოდიოდა.

7. ამიტომ, თუ მე მოწინააღმდეგეს ვუწვევებ რაიმე ფორმას, ხოლო ეს ფორმა მე არ მექნება, მაშინ მე მთლიანობას შევინარჩუნებ, მოწინააღმდეგე კი ნაწილებად დაიყოფა. მთლიანობის

შენარჩუნებით მე ვიქნები ერთი, ნაწილებად დაშლისას მოწინააღმდეგე იქნება ათი. მაშინ მე ჩემი ათით თავს დავესხმი მის ერთს. ჩვენ ბევრნი ვიქნებით, მოწინააღმდეგე კი ცოტა. ის, ვისაც შეუძლია ბევრით თავს დაესხას ცოტას, ისეთები, ვინც მათ ებრძვიან, ცოტაა და მათი დამარცხება ადვილია.

8. მოწინააღმდეგემ არ იცის სად იბრძოლებს და რადგან მან ეს არ იცის, მას ბევრი ადგილი აქვს, სადაც მზად უნდა იყოს. თუ ასეთი ადგილი, სადაც იგი მზადყოფნაში უნდა იყოს ბევრია, ისინი, ვინც მე მებრძვიან, - ცოტანი არიან. ამიტომ, თუ ის მზადყოფნაში იქნება წინიდან, მაშინ მას ცოტა ძალები ეყოლება უკან; თუ ის მზად იქნება უკან, - მაშინ მას ცოტა ძალები ეყოლება წინ; თუ ის მზადყოფნაში იქნება მარჯვნივ, მაშინ ცოტა ძალები ეყოლება მარცხნივ; თუ ის მზად იქნება მარცხნიდან, - ცოტა ძალები ეყოლება მარჯვნივ. ბევრი ძალა ჰყავს მას, ვინც სხვას აიძულებს, ყველგან იყოს მზადყოფნაში.

9. ამიტომ, თუ იცი ბრძოლის ადგილი, ბრძოლის დღეს შეგიძლია ათასი მილის იქითაც გადახვიდე იერიშზე. თუ არ იცი ბრძოლის ადგილი, არ იცი ბრძოლის დღე, - ვერ შეძლებ მარაჯვენა ფლანგით დაიცვა მარცხენა ფლანგები; ვერ შეძლებ მარცხენა ფლანგით დაიცვა მარჯვენა ფლანგები; ვერ შეძლებ უკანიდან დაიცვა წინა მხარე; ვერ შეძლებ წინიდან დაიცვა უკანა მხარე. ეს არის ასე, შორს, რამდენიმე მილის მანძილზე და ახლოსაც, რამდენიმე მილის სიშორეზე.

10. თუ ჩემსავით იმსჯელებენ, მაშინ იუსელებს დიდი ჯარიც რომ ჰყავდეთ, რას მისცემს ეს მათ გამარჯვებისათვის. ამიტომაც არის ნათქვამი: “გამარჯვებას შეიძლება მიაღწიო”, მოწინააღმდეგეს რომც ჰყავდეს მრავალრიცხოვანი ჯარი, შეიძლება მას ბრძოლაში ჩაბმის საშუალება არ მისცე.

11. ამიტომ, მოწინააღმდეგის შეფასებით, მის გეგმას ყველა მისი ღირსეული თვისებებით და შეცდომებით აღიქვამენ; მოწინააღმდეგეზე ზემოქმედებით ეცნობიან კანონებს, რის დახმარებითაც მოძრაობითა და სიმშვიდით მართავენ მათ; თუ ვაჩვენებთ მათ ამა თუ იმ ფორმას, - გავიგებთ მისი სიკვდილისა და სიცოცხლის ადგილს; როცა შეეჯახები მათ გაიგებ, სად არის სიჭარბე და სად არის ნაკლებობა.

12. ამიტომ, საკუთარი ჯარებისათვის ფორმის მიცემის ზღვარი – ეს არის მიაღწიო იმას, რომ ფორმა არ იყოს. როდესაც ფორმა არ არის, მაშინ თვით ღრმად შესული მზვერავიც კი რაიმეს განსჯას ვერ შეძლებს. სარგებლობს რა ამ ფორმით, იგი გამარჯვების საქმეს

მასას აკისრებს, მაგრამ მასას ამის ცოდნა არ შეუძლია. ხალხმა ის ფორმა იცის, რომლის საშუალებითაც მე გავიმარჯვე, და არ იცის ის ფორმა, რომლითაც მე მოვხადინე გამარჯვება. ამიტომ, ბრძოლაში გამარჯვება არ მეორდება ერთი და იმავე სახით. იგი თვით ფორმის სახეობათა დაუშრეტელობას შეესაბამება.

14. ჯარების ფორმა წყალს წააგავს; წყლის ფორმაა – გაექცეს სიმართლეს და მიედინებოდეს ქვევით; ჯარების ფორმაა – აერიდოს სისავსეს და დაარტყას სიცარიელეს. წყალი თავის დინებას ადგილის მიხედვით ახდენს; ჯარი თავის გამარჯვებას მოწინააღმდეგის მიხედვით ადგენს.

15. ამიტომ ჯარებს არა აქვთ უცვლელი ძალა. წყალს არა აქვს უცვლელი ფორმა. ვისაც შეუძლია მოწინააღმდეგის მიხედვით ფლობდეს სახეცვლილებებსა და გარდაქმნებს, იმარჯვებს კიდევაც. მას ღვთაებას ეძახიან.

16. ამიტომ, ბუნების ხუთ ელემენტს შორის, არ არის უცვლელად გამარჯვებული; წელიწადის ოთხ დროს შორის, არც ერთი არაა, რომელიც თავის მდგომარეობას ინარჩუნებს. მზესაც კი აქვს ხანმოკლეობა და ხანგრძლივობა, მთვარესაც აქვს სიცოცხლე და სიკვდილი. [3, 47-49]

რუსი ფსიქოლოგი ო. ევტიხოვი მონოგრაფიაში “ლიდერობის ტრენინგი” აღნიშნავს, რომ ამ პრინციპის გამოყენებაში არაფერი არ არის უწესო ან არასპორტული. ნადირობისას ლომიც კი ირჩევს არა ყველაზე სწრაფ ანტილოპას, არამედ ყველაზე ხელმისაწვდომს. ეს პრინციპი საკმაოდ ეფექტიანია მმართველობითი უერთიერთქმედებების დროს. მაგალითად, როდესაც თქვენ წამოგიყენებენ რამოდენიმე ბრალდებას, ყველაზე კარგი იქნება ჯერ დაამასხვრიოთ ყველაზე სუსტი არგუმენტი. მისი უარყოფით, თქვენ შეგეძლება ეჭვქვეშ დააყენოთ დანარჩენები, გააძლიეროთ თქვენი პოზიციები და ამით მოამზადოთ მომავალი გამარჯვება. მსგავსი სტრატეგია ეფექტიანია ბიზნესშიც. ხშირ შემთხვევაში მენეჯერები ცდილობენ საკუთარი სტრატეგიული პრობლემების გადაწყვეტას კონკურენტების ძლიერ პოზიციებზე იერიშით (ანუ ისინი ისწრაფვიან მიბადონ კონკურენტებს იმაში, რაშიც მათ წარმატებას მიაღწიეს, და სურთ მიაღწიონ მსგავს შედეგს იმავე საშუალებებებით). მიბაძვა – სტრატეგიის ყველაზე უხეში სახეობაა. წარმატების მისაღწევად საჭიროა არა კონკურენტის მიერ გამოყენებული სტრატეგიული სქემის კალკირება, არამედ საკუთარი უნიკალური სტრატეგიის შემუშავება. სტრატეგიული ხელოვნება მთელი სისავსით მაშინ ვლინდება, თუკი ადამიანი შესძლებს მიმართოს თავისი ძალა

კონკურენტის სისუსტის წინააღმდეგ. მხოლოდ ამგვარად შეიძლება მაქსიმალური წარმატების მიღწევა, რესურსების დაზოგვა, სრულ გამოფიტვამდე წარმოებული ხანგრძლივი და ძვირადღირებული ბრძოლის თავიდან არიდება. [4]

ძველი ჩინური მმართველობითი ურთიერთქმედების ტრადიციის კიდევ ერთი მარგალიტი არის ეგრეთ წოდებული **36 სტრატაგემა (ჩინ., 三十六計)**.

ტრაქტატი წარმოადგენს 36 იდიომისაგან (სულ 138 იეროგლიფი) შემდგარ სიას და მათ მოკლე განმარტებებს. სტრატაგემების კომენტარები შედგენილია ჩინური კლასიკური ლიტერატურის ნიმუშის ”გარდასახვათა კანონის“-ა (ჩინ., 易經, ინგ., Book of Changes) და ლევისტების ფილოსოფიის მაგალითებზე. ათასწლოვანი დაკვირვების, ანალიზისა და სინთეზის საშუალებით ჩინელებმა შექმნეს რთული სიტუაციიდან გონივრულად გამოსვლის მეთოდოლოგია.

მის ავტორობას სუხადასხვა დროს მიაწერდნენ ხან სუნ ძი-ს, ხანაც ჯუგე ლიან-ს.

იგი ისტორიაში პირველად 1500 წლის წინ სამხრეთ ცინ-ში გამოჩნდა. დაახლოებით 300 წლის წინ, მინ-ის დინასტიის დასასრულს და ცინ-ის დინასტიის დასაწყისს უცნობმა სწავლულმა გადაწვიტა პატარა წიგნში თავი მოეყარა ე.წ. “36 სტრატაგემისათვის”, რომელსაც პირობითად – “ომის საიდუმლო ხელოვნება” ეწოდა. 36 სტრატაგემა ვრცელდებოდა მხოლოდ ხელნაწერის სახით. სტრატაგემების გაგების გასაღები პირველსავე იეროგლიფებშია ჩადებული:

六六三十六，數中有術，術中有數。陰陽變理，機在其中。機不可設，設則不中。

**”ექვსჯერ ექვსი ტოლია ოცდაექვსმეტის.**

**გათვლაში – დახელოვნებაა, დახელოვნებაში – გათვლა. ინი-ი და იანი-ი ერთმანეთს ცვლიან, მასზეა დაფუძნებული (სამხედრო) ხრიკი.**

**საჭირო ფანდის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია, ტლანქ დაგეგმაში არ არის გამარჯვება”.**

**განმარტება:**

*გათვალეთ და კიდევ გათვალეთ და ძალიანაც ნუ ვექნებით პრინციპების იმედი. ეს პრინციპები თვითონ გაიხსნებიან თქვენს გათვლებში, ხოლო გათვლების არსის განდობა (გაზიარება) არ შეიძლება.*

ხედავდნენ ომის ხელოვნებაში მხოლოდ ხელოვნებას და არ იცოდნენ, რომ ეს ხელოვნება დაფუძნებულია ზუსტ გათვლებზე, - ნიშნავს, რომ არ იცი რაღვთო ისარგებლო ხელოვნებით.

ფანდები და ინტრიგები ომის ხელოვნებაში ყოველთვის გამოძინარეობენ მოვლენათა ბუნებრივი დინებიდან და ადამიანური გრძნობებიდან.

თვით უმცირესი უგერგილობა (მოუხერხებლობა) მათ გამოყენებაში წარმოშობს ეჭვებს და გამოიწვევს უკმაყოფილებასა და მღელვარებას. მაშინ ევლარ გამოიყენებ ვერცერთ მაგალითს.

ტრადიციულად 36 სტრატაგემა იყოფა ექვს ქვეჯგუფად, ექვსი სტრატაგემა თითოეულში. პირველი სამი გამოიყენება, როცა ერთ მხარეს აქვს უპირატესობა, ხოლო დანარჩენი სამი, როცა უპირატესობა სხვის ხელშია. თუმცა მსგავსი დაყოფა პირობითია. 36 სტრატაგემის ათასწლეულების მანძილზე გამოიყენებამ, ჩინელ სტრატეგებს ერთი რამ ასწავლა - 36 სტრატაგემის მთავარი უპირატესობა მის მოქნილობასა და ეფექტიანობაში არის.

36 სტრატაგემის ორიგინალური ტექსტი შეიცავს რამოდენიმე აზრობრივ შრეს:

- ოთხი, ან, ძალიან იშვიათად, სამი იეროგლიფისაგან შემდგარი 36 გამონათქვამი, რომლებიც წარმოადგენენ სტრატაგემების სათაურებს;

- მოცემული სტრატაგემების პრინციპის მოკლე განმარტება;

- ამონარიდი ძველი ჩინური კანონიდან "ცვლილებათა კანონი"-დან (ჩინ., 易經, ინგ., Book of Changes), რომელშიც ასხნილია სტრატაგემის აზრი "ცვლილებათა კანონი"-ს ტერმინებით;

- სტრატაგემის ვრცელი კომენტარი, სადაც ხშირად არის მითითებები მისი გამოყენების ისტორიულ პრეცედენტებზე.

მსგავსი კომპოზიცია ასახავს კანონის ტრადიციულ სტრუქტურას, რომელიც საყოველთაოდ მიღებული ტექსტისაგან განსხვავებით იმართება არა გადმოცემის თანმიმდევრული ლოგიკით, არამედ სწორედ რომ ფორმის თვითშეზღუდვით, აზრის გაწყვეტით, მნიშვნელობების უკიდურესობით, ანუ ჩინური ტრადიციის ენით რომ ვთქვათ, სწორედ გამოცდილებაში არსებული იმ "სიცარიელით", რომელიც შეიცავს ქმედების ამოუწურავ პოტენციალს და თავის თავში მოიცავს ყოველივე არსობრივს, წარმოადგენს "ათი ათასი საგნის ფესვს".

ჩინური კულტურული ტრადიციის თანახმად, საიდუმლო არის ჭეშმარიტების ყველაზე უტყუარი ნიშანი. ამით აიხსნება, ალბათ, მათი დიდი დაინტერესება სამხედრო სტრატეგიით - მოტყუების

ხელოვნებით par excellence-თ, მაგრამ მოტყუების არა დასავლური, ევროპული გაგებით, სადაც იგი გაიგივებული არის გამორჩენასთან, მზაკრობასთან.

გავისხენოთ ლაროშეუკოს საყოველთაოდ ცნობილი 124-ე მაქსიმა: «Les plus habiles affectent toute leur vie de blâmer les finesses\* pour s'en servir en quelque grande occasion et pour quelque grand intérêt». “ჭეშმარიტად გაქნილი ადამიანები მთელი ცხოვრება ისე იქცევიან, თითქოსდა ეზიზღებათ ეშმაკობა, სინამდვილეში კი თადარიგში აქვთ გადანახული განსაკუთრებული შემთხვევებისათვის, რომლებიც განსაკუთრებულ სარგებელს უქადიან”. [5]

ჩინური კულტურული ტრადიციის თანახმად მოტყუება დაფუძნებული არის რეალობის სიღრმისეული კანონების ცოდნაზე, ან უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ხილული სამყაროს ორახროვანი სტატუსის გაგებაზე, რომელიც ერთდროულად წარმოადგენს და არ წარმოადგენს რეალობას. რამეთუ მოტყუება შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც ბოლომდე შენარჩუნებული არის მიმდინარე მოვლენების სინამდვილის (უტყუარობის) შეგრძნება. გარკვეულწილად, ხომ სწორედ რომ ილუზია არის სიმართლის ყველაზე უტყუარი საბუთი. [6, 7, 8]

ჩვენი აზრით, ჩინურ სტრატეგიების ფილოსოფიური არსი ყველაზე კარგად გამოიხატება სუნ ძი-ს შემდეგი დებულებით: “... თავიდან ისე იყავი, როგორც უბიწო ქალწული, - მაშინ მოწინააღმდეგე გაგიღებს კარებს. შემდეგ იყავი როგორც გამოვარდნილი კურდღელი. მოწინააღმდეგე თავდაცვისათვის ზომების მიღებას ვერ მოასწრებს”. [9, 64]

დასკენის სახით გვინდა ავღნიშნოთ, რომ ძველი ჩინური მმართველობითი ურთიერთქმედების ტრადიცია ყველაზე კარგად მიესადაგება სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, დიპლომატიას, ბიზნესსა და ომის ხელოვნებას. მას იყენებდნენ არა მარტო მხედართმთავრები, არამედ სახელმწიფო სამსახურის ყველა რანგის მოხელეები. ისინი დახელოვნებული იყვნენ სამოქალაქო საზოგადოების მართვაში. ძველ ჩინეთში უმაღლესი რანგის მოხელეებისათვის სწავლების აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა მოცემული ტრაქტატების შესწავლა.

მართვის პრინციპების მსოფლიო გამოცდილების გაცნობიერებული შესწავლა წარმოადგენს მმართველობითი პროცესის გააზრებისა და ხელმძღვანელის პროფესიონალური მმართველობითი მსოფლმხედველობის ფორმირების ინსტრუმენტს. ამ

უკანასკნელში კი ჩადებული არის მისი პროფესიონალური წარმატებისა და ეფექტიანობის გასაღები.

გაცნობიერებული მმართველობითი საქმიანობის დვრიტას ხომ მართვის პრინციპები წარმოადგენს. მართვის პრინციპები კი არის ხელმძღვანელის პირადი გამოცდილების საფუძველზე ჩამოყალიბებული ის საბაზო დებულებები, რომლებიც განსაზღვრავს მართვის მისეულ ინდივიდუალურ სტილს, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების თავისებურებებს, მის დამოკიდებულებას მმართველობითი მოღვაწეობისადმი, ადამიანებისადმი, ზნეობრივი ნორმებისა და მორალისადმი.

### **ლიტერატურა**

#### **References:**

1. n. konradi. sun Zi. traqtati samxedro xelovnebis Sesaxeb. Tbilisi, 2000, Tavi III, strategiuli Tavdasxma. - 432 gv.

2. Mark R. McNeilly. Sun Tzu and the Art of Business: Six Strategic Principles for Managers. Oxford University Press, 13 April 2000. - 261 pages

3. n. konradi. sun Zi. traqtati samxedro xelovnebis Sesaxeb. Tbilisi, 2000, Tavi VI, sisavse da sicariele. - 432 gv.

4. Евтихов О. В. Тренинг лидерства: Монография. — СПб.: Речь, 2007. - 256 с.

5. [http://www.fp.ulaval.ca/GBoss/aap/Duc\\_de\\_La\\_rochefoucauld.html](http://www.fp.ulaval.ca/GBoss/aap/Duc_de_La_rochefoucauld.html)

6. Тридцать шесть стратагем. Китайские секреты успеха (Перевод с китайского В. В. Малявина) — М.: Белые альвы, 2000.

7. Зенгер Х. фон. Стратагемы. О китайском искусстве жить и выживать — М.: Эксмо, 2004. — Т. 1-2.

8. Жюльен, Франсуа, Трактат об эффективности. М.; СПб.: Московский философский фонд; Университетская книга, 1999.

9. n. konradi. sun Zi. traqtati samxedro xelovnebis Sesaxeb. Tbilisi, 2000, Tavi XI, sxra adgili. - 432 gv.

### **Otar Kochoradze**

#### **China's strategy of Human Resources**

#### **Summary**

Considered "secrets" of the Chinese art of living and to survive in difficult conditions. They are based on a philosophical understanding of the process

management of Human Resources. Their effectiveness is confirmed in time and space.

**Keywords:** management, Human Resources, art of living and to survive, time and space.

**Reviewer:** Professor Shota Dogonadze, Georgian Technical University

**Отар Кочорадзе**

**Китайская стратегия управления человеческими ресурсами**

### Резюме

Рассмотрены «секреты» китайского искусства жить и выживать в сложнейших условиях. Они основываются на философском осмыслении процесса управления человеческими ресурсами. Их эффективность подтверждено во времени и пространстве.

**Ключевые слова:** управление, человеческие ресурсы, искусство жить и выживать, время и пространство.

**Рецензент:** профессор Шота Догонадзе. Грузинский технический университет.

ო ს ტ ო რ ი ა

დავით პაიჭაძე

“დამოუკიდებლობის” ოცე წელი

(ბასსაზოგადოების პრობლემბა თანამედროვე საქართველოში)



ამა წლის 8 დეკემბერს ბელოვევის ხელშეკრულებიდან და საბჭოთა კავშირის დაშლიდან 20 წელი შესრულდება. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს გეოპოლიტიკური კონფიგურაციის ეს შეცვლა დაპირისპირებულ სოციალ-პოლიტიკურ სისტემათაგან ერთის მარცხისა და მეორის გამარჯვების შედეგია, რაც შესაბამისად გამარჯვებული სისტემის სიცოცხლისუნარიანობაზე მეტყველებს. საქართველოც შესაბამისად 20 წელია, რაც გათავისუფლდა საბჭოთა ოკუპაციისაგან, რაც ლოგიკურად საქართველოში სისტემური ცვლილებების მომასწავებელი უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, როდესაც საბჭოთა იმპერიის დაშლაზე ვსაუბრობთ ძალაუბრებურად ვგულისხმობთ ბევრად მეტს, ვიდრე ეს სინამდვილეში მოხდა. რეალობა კი იმაში მდგომარეობს, რომ დაიშალა მხოლოდ ერთიანი საკავშირო პარტიული აპარატი, ერთიანი საკავშირო საბჭოთა არმია, ხოლო სოციალურ-პოლიტიკური სისტემა კი იმპერიის სივრცეში ისევ უცვლელი დარჩა. ამ რეალობას თანამედროვე პოლიტოლოგიურმა მეცნიერებამ შესაბამისი ტერმინი - „პოსტსაბჭოთა სივრცე“ შეუერთია.

ეს ყოველივე კი იმის ხარჯზე, რომ საბჭოთა კავშირის პერიფერიაზე აღმოცენებულმა სახელმწიფოებმა თავიანთი განვითარების უკანასკნელი 20 წლის მანძილზე, მრავალი ეროვნული თავისებურებების მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრი რამ საერთო შეინარჩუნეს. ძირითადად ეს ყბადღებული „Homo Sovieticus“- ის მენტალური მემკვიდრეობა გახლავთ. არავითარ დავას არ იწვევს ის მოსაზრებაც, რომ რუსეთი, როგორც საბჭოთა იმპერიის გამგრძელებელი და მემკვიდრე, რომლის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირითად მიზანსა და საკრალურ ამოცანას 1991 წელს შემდგარი სეცესიის დაძლევა წარმოადგენს, სხვა მრავალთან ერთად, სწორედ ამ გარემოებას იყენებს ახალ სახელმწიფოებზე ზეწოლისა და პრაქტიკულად მათი მართვა-გამგებლობის საშუალებად... უფრო მეტიც, სწორედ ეს გარემოება უნდა მივიჩნიოთ პოლიტიკური სისტემის შენარჩუნების საფუძვლად საბჭოთა იმპერიის საზღვრებში. აღნიშნულმა მენტალურმა მემკვიდრეობამ ყოველ ხალხში ბალტიის ზღვიდან ჩინეთის საზღვრამდე ისტორიული თვითმყოფადობის გათვალისწინებით სხვადასხვა გამოვლინება კპოვა. და თუკი ბალტიის სახელმწიფოებმა ეს მემკვიდრეობა შედარებით ადვილად დაძლიეს და პოსტსაბჭოთა პოლიტიკური სივრცისა და სისტემისათვის თავის დაღწევა შესძლეს, შუა აზიის ქვეყნებში ეს საკითხი ჯერაც არ გამხდარა განსჯის საგანი. ამ თვალსაზრისით საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცეში

განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს. ამ ერთი შეხედვით პროგრესულ კავკასიურ რესპუბლიკაში, არსებული ფორმალური და ფაქტური გარემოებების შეუსაბამობა მკაფიოდ მიუთითებს მენტალურ „ცვლილებებზე“ და რუსეთის სტრატეგიის ძლიერსა და სუსტ პოზიციებზე სეცესის შედეგების დაძლევის თვალსაზრისით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე საქართველოს უახლესი ისტორიის ანალიზი უადრესად დროულ და საჭირო საქმედ გვესახება. ძირითადი კითხვა კი რასაც პასუხი უნდა გაეცეს იმაში მდგომარეობს, თუ რატომ რჩება საქართველო დეკლარირებული საგარეო კურსის მიუხედავად ჯერ კიდევ ე.წ. „პოსტსაბჭოთა სივრცის“ ნაწილად და რამ განაპირობა ბალტიისპირეთის ქვეყნების წარმატებული გამოჯვანა და შესაბამისად დამოუკიდებლობაც? ამიტომაც შეგნებულად ვარიდებთ თავს ბოლო ოცწლეულის ნარატიულ გადმოცემას და გვინდა ძირითადი ყურადღება ქართულ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების გააზრებას დავუთმოთ. იმისათვის კი, რომ მიმდინარე პროცესის ადეკვატური შეფასება შეეძლოს, სოციოლოგიური და ისტორიული ექსკურსი მოგვიწევს. სოციოლოგიური იმდენად, რამდენადაც, სოციოლოგია, როგორც ისტორიული მეცნიერების წიაღიდან აღმოცენებული, დღეს უკვე დამოუკიდებელი დისციპლინა, დაკავებულია აწმყოს შესწავლით, ისტორია კი წარსულის. მიუხედავად ამ განსხვავებისა, ორივე დისციპლინა ადამიანსა და მის ქმედებებს სწავლობს. ადამიანის ქმედება კი წარმოდგენილია დროის კატეგორიის გარეშე, ამდენად დროის კატეგორია არის ის, რაც ამ ორ დისციპლინას აერთიანებს. საზოგადოდ ცნობილია, რომ კითხვები წარსულის მიმართ აწმყოდან გამომდინარეობს, აწმყოს შეცნობა კი წარსულის გარეშე შეუძლებელია. სხვა სიტყვებით, ისტორია სოციოლოგიის გარეშე ბრმაა, ხოლო სოციოლოგია ისტორიის გარეშე ცარიელი.

ამიტომაც, თანამედროვეობის ანალიზისათვის შესაბამისად ე.წ. კვლევის შერეულ მეთოდოლოგიას მივმართეთ. ეს ემპირიულ დაკვირვებათა შედეგების ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასების კრიტერიუმები გახლავთ. პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე პროცესების ანალიზისას ლოგიკური, შედარებითი, ინდუქციური და დედუქციური მეთოდოლოგიის მეშვეობით ვეცდებით მათი ფორმისა და შინაარსის ურთიერთ ზეგავლენის არა მარტო გაგებას, არამედ კაუზალური ახსნის მოძებნასაც.

საქართველოს ისტორიის უკანასკნელი ოცწლეულის უმთავრეს შედეგად ის გარემოება უნდა იქნას მიჩნეული, რომ სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ატრიბუტიკისა და გარეგანი

ფორმების მიუხედავად, საქართველო დღეს მხოლოდ ფორმალურად არის დამოუკიდებელი და ასევე ფორმალურად წარმოადგენს სახელმწიფოს თანამედროვე გაგებით. იგი არაფრით პასუხობს სახელმწიფოებრივად შეკრული საზოგადოების მოთხოვნებს. უფრო მართებული იქნებოდა გვეთქვა, რომ ლენინიზმის საუკეთესო ტრადიციებში იგი პერმანენტული რეფორმიზმის მქადაგებელ „ზედამხედველ სახელმწიფოდ“ ჩამოყალიბდა.

ამასთან, საქართველოს ისტორიის უკანასკნელი ოცწლეული ერთმნიშვნელოვნად დეზინტეგრაციის პროცესის ისტორიად უნდა იქნას შეფასებული. დეზინტეგრაციის პროცესისა, რომელიც ორ ძირითად მიმართულებაში გამოვლინდა:

პოლიტიკური, ანუ რეგიონალური დეზინტეგრაცია - სამოქალაქო ომისა და კონფლიქტების შედეგად შემდგარი სეცესია.

სოციალური დეზინტეგრაცია - გასაზოგადოების პრობლემა.

ამ შემთხვევაში უფრო მართებული იქნებოდა გვესაუბრა საზოგადოებრივი, ანუ სოციალური ინტეგრაციის არარსებობაზე, რომლის შედეგები ჯერ რეგიონალურ კონფლიქტებში, ხოლო მოგვიანებით კი სოციალურ ანომიაში გამოვლინდა.

სოციოლოგიური მეცნიერება ინტეგრაციას ორ საფეხურად განიხილავს. პირველი საფეხური ე.წ. სოციალური ინტეგრაციაა, რომლის ძირითად პროდუქტად **სოციალური სისტემა - საზოგადოება**, ხოლო შემადგენელ ელემენტად და ასევე პროცესის შემოქმედად პიროვნება ანუ ინდივიდი ითვლება. გასაზოგადოების თეორიის ფუძემდებლად „ბურჟუაზიულ მარქსად“ წოდებული, სოციოლოგიური მეცნიერების კლასიკოსი მაქს ვებერი (1864-1920)[1] არის მიჩნეული. ინდივიდუალიზმისა კი ასევე კლასიკოსი სოციოლოგი ნორბერტ ელიასი (1897-1990)[2]

მეორე საფეხური ე.წ. სისტემური ინტეგრაცია ანუ სტრუქტურული ფუნქციონალიზმი გახლავთ, რომელიც სწავლობს ურთიერთობებს საზოგადოებრივ სტრუქტურებსა და სისტემებს შორის. ამ თეორიის ფუძემდებლებად მოდერნისტული სოციოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი - ამერიკელი ტალკოტ პარსონსი (1902-1979)[3] და მისი მოწაფე გერმანელი სოციოლოგი ნიკლას ლუჰმანი (1927-1998)[4] ითვლებიან.

ამრიგად თანამედროვე სოციოლოგიური მეცნიერება ინტეგრაციის ცნებაში გულისხმობს დიალექტიკურ ურთიერთ-დამოკიდებულებას სოციალურსა და სისტემურ ინტეგრაციას შორის. „თუკი სოციალური ინტეგრაციის დროს საქმე გვაქვს ერთი სოციალური სისტემის მოქმედთა (ანუ ინდივიდთა) მოწესრიგებულსა

თუ კონფლიქტურ ურთიერთობებთან, სისტემური ინტეგრაციის შემთხვევაში საქმე გვაქვს მოწესრიგებულსა თუ კონფლიქტურ ურთიერთობებთან ერთი სოციალური სისტემის ნაწილებს (ანუ სტრუქტურებს) შორის“.[5]

საქმე ეხება ურთიერთმიმართებას ნაწილსა და მთელს შორის. ეს მთელი, ანუ თავად **სისტემა არის საზოგადოება**, რომელიც შედგება გარკვეული რაოდენობის ელემენტებისაგან (პიროვნებებისაგან, ინდივიდებისაგან) და გარკვეული რაოდენობის რელაციებისაგან (კონტაქტებისაგან, ურთიერთობებისაგან).[6] ამავე დროს საზოგადოება განიხილება მრავლისმომცველ სისტემად, რომელიც თავის მხრივ ფუნქციონალურ სისტემებში დიფერენცირდება.

თანამედროვე სოციოლოგიური მეცნიერება სწავლობს საზოგადოებრივი სისტემების ფუნქციონალურ დიფერენციაციას და მათ ურთიერთდამოკიდებულებას, ურთიერთ წესრიგს. საუბარია ინტეგრაციაზე დიფერენციაციის გზით. როდესაც თითოეული სუბსისტემა მნიშვნელობას იძენს მხოლოდ მთელის არსებობის პირობებში, მაგრამ დიფერენცირდება სხვებისაგან. ამის წინაპირობაა პლურალიზმი ყველა სისტემურ დონეზე. შუამავლად კი ინტეგრირების პროცესი გვევლინება.[7]

თუკი სისტემური ინტეგრაციისათვის ამოსავალ წერტილს საზოგადოებრივი სისტემების დიფერენცირება წარმოადგენს, მაშინ ინდივიდუალიზაცია შეიძლება სოციალური ინტეგრაციის წინაპირობად წარმოვიდგინოთ (დიფერენციაციის გაგებით პიროვნულ დონეზე).[8] რომლის მთავარ ელემენტს ადამიანი - პიროვნება წარმოადგენს. ამგვარი შეხედულება ეფუძნება ინდივიდუალური და საზოგადოებრივი სტრუქტურების განვითარებას, რომელნიც არ არიან ერთმანეთისგან განცალკევებულნი, არამედ ერთმანეთთან ინდერდეკენდენტულ ურთიერთობაში იმყოფებიან და ამდენად მუდმივი ცვლილების პროცესს ექვემდებარებიან.

ამრიგად სისტემური და ფუნქციონალური დიფერენციაცია თანამედროვეობის ანუ მოდერნიზმის ძირითად განმსაზღვრელ ნიშნად უნდა იქნას მიჩნეული. ინდივიდუალიზაცია კი სოციალური ინტეგრაციის ანუ გასაზოგადოების პროცესად. აქსიომატურად შეიძლება ჟღერდეს, რომ გასაზოგადოების გარეშე ვერ იარსებებს მოდერნი, რომ საზოგადოების არარსებობის პირობებში, ვერც მისი სტრუქტურები და სისტემები იარსებებენ. ამრიგად პიროვნება, როგორც მთელის მიკროელემენტი, მთელი კონსტრუქციის საფუძვლად უნდა იქნას შეფასებული.

სხვა სიტყვებით, როდესაც გასაზოგადოებაზე ვსაუბრობთ, საქმე ეხება პიროვნების ინტეგრაციას სისტემაში. დასავლური „ინდივიდუალისტური“ ტრადიციის შესაბამისად, პიროვნება გარკვეული მნიშვნელობით „თვითღირებულებაა“, ეს არის სტატუსი, იგი არა მხოლოდ სამართლის სუბიექტია, არამედ გადაწყვეტილების მიმღები, მოქმედი... ესე იგი საქმე ეხება ქმედების წესს, მოქმედის ეკონომიკურსა და სოციალურ რაციონალურობას. დამოუკიდებელი და რაციონალური ქმედების წესი კი მხოლოდ ეკონომიკურად დამოუკიდებელი პიროვნების თვისებაა. მოკლედ რომ ვთქვათ, საქმე ეხება ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობის თანხვედრას. ვინაიდან ინდივიდი ისევე იძენს მნიშვნელობას მხოლოდ კოლექტივში, სოციალური ინტეგრაციის დროს, როგორც თითოეული სუბსისტემა მთელის, ანუ საზოგადოების არსებობის პირობებში სისტემური ინტეგრაციის დროს.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად გვესახება თანამედროვეობაში მოქალაქის ორმაგი მნიშვნელობის გათვალისწინება, როგორც Bourgeois თუ Citoyen.[9] ქართული შესატყვისით ქალაქელისა თუ მოქალაქის... როგორც ეკონომიკური ზრდის მაუწყებლისა თუ როგორც სახელმწიფოს მოქალაქისა, რომელიც მონაწილეობის თანაბარ შანსებს ითხოვს.

ამ ტერმინების თანამედროვე გაგება ისევე, როგორც სამოქალაქო საზოგადოებისა „...ორივე მნიშვნელობას ერთმანეთში ურევს და ამით გაუგებრობას იწვევს, თუმცადა ეს თავდაპირველად მხოლოდ ძველი რომაული „societas civilis“ თარგმანი იყო, რაც დღევანდელ ანგლო-საქსონურ civil Society-ში აგრძელებს არსებობას“.[10]

ამ ცნებების აღრევა და გაუგებრობა პოსტსაბჭოთა სივრცეში განსაკუთრებულად საგრძნობია. ვინაიდან უინიციატივო მოქალაქეებიც სახელმწიფოს მოქალაქეები არიან, რომელთაც უცილობელი მოქალაქეობრივი უფლება გააჩნიათ ხელი მიუწვდებოდეთ მატერიალურ დოვლათზე ზოგადად, მათ შორის: სამუშაო, საცხოვრებელსა და სამომხმარებლო ბაზრებზე, მაგრამ მოკლებულნი არიან შემოქმედებით ინიციატივას. არ არსებობს სისტემა, რომელიც ამას დაარეგულირებს, მოაწესრიგებს - არ არსებობს საზოგადოება. ეკონომიკურად დამოკიდებული ადამიანი მოკლებულია თავისუფალი ქმედების საშუალებას, იგი იძულებულია იმოქმედოს კონიუნქტურის გათვალისწინებით, მისი ქმედება ემოციური და ირაციონალურია. ამგვარი ქმედების წესი კი გასაზოგადოების პროცესს ვერაფერს შემატებს.

მაშინაც კი, როდესაც საქმე ფიზიკურ გადარჩენას ეხება, ადამიანები არ არღვევენ სოციალურ ნორმებს, არამედ თავიანთ მდგომარეობას ბედისწერად აღიქვამენ. ასეთ შემთხვევაში ერთადერთი ხსნა სოციალური ყოფის ძირეულ და ერთბაშად ცვლილებაში მდგომარეობს, რევოლუციების პერმანენტულ მოლოდინში... რევოლუციების მოლოდინი კი ასევე ირაციონალურია. „რადაცა იქნება“, „ვინმე გამოჩნდება“ „ვიღაც გააკეთებს“. ეს ვინმე - მოქალაქე-მესაკუთრე სოციალური ინტეგრაციის მთავარი ელემენტი და შემოქმედი კი პოსტსაბჭოთა სივრცეში ჯერ კიდევ იღვენება.. ვინაიდან მისი დამოუკიდებელი და რაციონალური ქმედების წესი ნებისმიერი დიქტატურისათვის უმთავრეს საფრთხეს წარმოადგენს. **ამდენად პოსტსაბჭოთა სივრცის ძირითადი სოციალური კონფლიქტი არის კონფლიქტი პიროვნებასა და რეჟიმს შორის, მოქმედ სუბიექტსა და ჩამოყალიბებულ სისტემას შორის.**

მოდერნიზაციის თეორეტიკოსებიცა და პრაქტიკოსებიც ძირითადად დემოკრატიზაციის საკითხებით არიან დაკავებული, სამართლებრივი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი პროცესუალური ნორმების უზრუნველყოფით, მატერიალური დოვლათის სამართლიანი განაწილების პრობლემით. ამ საქმეში კი ისინი პოსტსაბჭოთა სივრცეში ფსონს არსებული მთავრობების პროგრესულობაზე დებენ. სისტემის უშუალო შემოქმედი კი მოქალაქე-მესაკუთრე მათ თვალთახედვიდან რჩებად.

“Homo Sovieticus”-ის მენტალიტეტი კი, სწორედ ხელისუფალთა შორის არის საძიებელი. უბრალო მოქალაქეს არ ესაჭიროება რთული სოციოლოგიური კონსტრუქციებისა და თეორიების ცოდნა. მას მხოლოდ თავისუფალი ქმედების შესაძლებლობა ესაჭიროება. ევროპაში აღმოცენებული „მესამე წოდება“ არ იცნობდა რთულ სოციოლოგიურ თეორიებს, პირიქით, სოციოლოგიური კონსტრუქციები მეცნიერებმა ბურჟუაზიის ქმედების ლოგიკის შესწავლის შედეგად შეიმუშავეს.

პოსტსაბჭოთა სივრცეში მესაკუთრის არსებობის შესაძლებლობა ჯერ-ჯერობით გამორიცხულია. სწორედ ეს გარემოება მიგვანჩნია მოდერნიზაციის მცდელობების წარუმატებლობის ძირითად მიზეზად ამ სივრცეში.

ამიტომაც არის, რომ ყოველი ახალი სახელისუფლო წესრიგი გარკვეული დროის შემდეგ მოსახლეობის მიერ არალეგიტიმურად აღიქმება. პიროვნება ემიჯნება სისტემას, ყოველი ახალი ხელისუფლება შესაბამისად არალეგიტიმურად მოქმედებს და

ძირითადად მოსახლეობის ყველგვით არის დაკავებული. ასე ბრუნავს მოჯადოებული წრე.

თანამედროვე სოციოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი რაღფ დარენდორფი, (1929-2009) თავის 1992 წ. გამოცემულ ნაშრომში „თანამედროვე სოციალური კონფლიქტი“, აღმოსავლურსა და აფრიკულ დიქტატორულ რეჟიმებზე დაკვირვების შედეგად შექმნილ ვითარებას ჩვენთვის ერთობ ნიშანდობლივად ახასიათებს:

„... ლამაზი სიტყვები უკეთესი მომავლის შესახებ უმაღლეს ახალი ტერორისტული რეჟიმის გამართლებად გარდაიქმნება. ეს შეიძლება ხანგრძლივ დიქტატურას მოასწავებდეს. გაჭირვებას გარეშე საშიშროების ფონზე, ან უბრალოდ ქარიზმას ანომიის შუაგულში“.  
[11]

ტერმინი „ანომია“ სოციოლოგიაში ფრანგული სოციოლოგიური სკოლის კლასიკოსის, ემილ დურჰეიმის (1853-1917) შემოტანილია. იგი „ანომიას“ ადამიანის უმთავრეს სოციალურ პრობლემად მიიჩნევს.[12] ანომია სუბიექტური და რელატიური დეპრივაციის შედეგია. სუბიექტური დეპრივაცია ინდივიდუალურ დონეზე თვითმკვლევლობის მიხეზიც კი ხდება ხოლმე. კოლექტიურ დონეზე „ანომია“ რელატიური დეპრივაციის შედეგად დგება. ანომია საზოგადოების მთავარი პრობლემაა და საზოგადოების ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია და ამოცანა ადამიანის ანომიისაგან დაცვაში მდგომარეობს. ანომია დურჰეიმის მიხედვით სოციალური ნორმების რღვევასა და სოციალური წესრიგის არარსებობაში მდგომარეობს. სოციალური ნორმების დაწესება და სოციალური წესრიგის უზრუნველყოფა კი სწორედ საზოგადოების მთავარი ფუნქციაა. კოლექტიურ ცნობიერებას, რასაც იგი კოლექტიურ სინდისს „conscience collective“ უწოდებს დურჰეიმის თეორიაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა. კოლექტიური გრძნობების გათვლვა მისი აზრით საზოგადოების დეზინტეგრაციისა და აქედან გამომდინარე ანომიის საწინდარია. თუ საზოგადოებამ ვერ მოახერხა სოციალური უთანასწორობის დაძლევა, მისი არსებობა ასევე კითხვის ქვეშ დგება. სოციალური თანასწორობის რადიკალურად დამყარების მცდელობა მისი შეხედულებით მკაცრ ზომებს მოითხოვს და ინტეგრაციისათვის ვერ გამოდგება. ეს გზაც დურჰეიმის აზრით ანომიისაკენ მიდის. ანომიის ძირითადი ნიშანი იმაში მდგომარეობს, რომ არსებული სახელმწიფო წესრიგი მოსახლეობისაგან არალეგიტიმურად აღიქმება, ხოლო თითოეულის ქმედება არა რაციონალური არამედ ეგოცენტრული ხდება.

სოციალური წესრიგი და ნორმები კი მხოლოდ საყოველთაოდ აღიარებულ მორალურ დისციპლინას უნდა ექვემდებარებოდეს.

ანომია - დურქჰაიმის მიხედვით - ყალიბდება მაშინ, როდესაც შრომის განაწილება რუტინაში გადაიზრდება და თითოეულმა თავისი სამუშაოს მიზანი აღარ იცის; (საბჭოთა იმპერიის ბოლო წლების ერთ-ერთ დამახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ); ანომია ჩნდება იქაც, სადაც შრომის განაწილება ძალისმიერად ხდება და პოზიციების მინიჭება რეგლამენტირებულია; ანომიაა ისეთი გარემოება, როდესაც მზარდი საქონლის პირობებში თითოეული ვერ დებულბს სამართლიან წილს საერთო ჯამიდან.[13] ვფიქრობთ, ბოლო ორი განსაზღვრება უპირობოდ ესადაგება სოციალურ მდგომარეობას თანამედროვე საქართველოში...

მოკლედ რომ ვთქვათ ანომია დურქჰაიმის განმარტებით საზოგადოების კოლექტიური ძალის დეფიციტის პირობებში ჩნდება. სხვა სიტყვებით, ანომია სუფევს იქ სადაც არ არსებობს საზოგადოება.

თანამედროვე საქართველოში შექმნილი ვითარების მიზეზები დუალისტურ ხასიათს ატარებს. იმდენადვე ეგ ზოგენურია, რამდენადაც ენდოგენური. რუსული ოკუპაციის განმავლობაში ეს ორივე ფაქტორი იმდენად გადაჯაჭვულია და ერთმანეთზე მიბმული, რომ დღეს მათი განცალკევება საკმაოდ რთული საქმეა...

ჩვენში ინტეგრირებული საზოგადოების არარსებობის მიზეზების დასადგენად კი ამჯერად მცირე ისტორიული და ტიპოლოგიური ექსკურსი მოგვიწევს...

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საზოგადოება და სახელმწიფო თანამედროვე გაგებით წმინდად ევროპული მოვლენაა.[14] რომელიც სათავეებს ევროპული ფეოდალიზმიდან იღებს. დასავლური მეცნიერების თანახმად ევროპეიზმი სამ ძირითად მოვლენას ეფუძნება, ეს არის ქრისტიანობა, ფეოდალიზმი და ბერძნულ-რომაული სამართალი. ეს ძირითადად საკუთრების საკრალურად და ხელშეუხებლად ცნობას გულისხმობს.

ევროპული ფეოდალიზმის განხილვისას ბევრად უფრო მრავლის მომცველი მოვლენა უნდა წარმოვიდგინოთ ვიდრე „ლენური ურთიერთობები“ ანდა „ლენური სამართალი“. ფეოდალიზმის, როგორც წმინდად ევროპული მოვლენის ძირითად მახასიათებლად „ლენური სისტემისა“ და „ალოდიალური სისტემის“[15] ურთიერთ თანაარსებობა და მათი ურთიერთდამოკიდებულება გახლავთ. ქართული შესატყვისით შესაბამისად საკარგავისა (იგივე ფეოდი,



ბენეფიციუმი) და მამულის (იგივე ალოდი, ანუ აბსოლუტური საკუთრება).

„ალოდიალური თავისუფლება“, ევროპაში იმთავითვე ცენტრალური ხელისუფლებისა და ლენური სისტემის ქმედით შეზღუდვად და პიროვნების თავისუფლების, ანუ ინდივიდუალიზმის საფუძვლად აღიქმებოდა. ევროპელი მეცნიერების უმრავლესობა მესამე წოდების აღმოცენების წინაპირობად სწორედ „ალოდიალურ თავისუფლებებს“ მიიჩნევს.[16]

ნიშანდობლივია, რომ ევროპული სახელმწიფო მოწყობა დასაბამიდან იცნობს ცენტრალური ხელისუფლისა და პიროვნების თანაარსებობას. რაც შესანიშნავად გამოისატება ფორმულაში *primus inter pares*. ამგვარ ურთიერთდამოკიდებულებას ლენურ სამფლობელო ინსტიტუტსა და თავისუფალ ანუ აბსოლუტურ საკუთრებას შორის, მნიშვნელოვანი გავლენა უნდა მოეხდინა იმ დაუწერელ ფეოდალურ ურთიერთობებზე, რაც მეცნიერებაში, „დასავლური ლენური (ანუ ფეოდალური) კონსტიტუციის“[17] სახელით არის ცნობილი.

ამრიგად, სწორედ დინამიური ბალანსი ამ ინსტიტუტებს შორის არის შიდა ინტეგრაციის მამოძრავებელი ძალა, რამაც დასავლური საზოგადოების განვითარების ეტაპები განაპირობა: ერთობიდან საზოგადოებისაკენ, საზოგადოებიდან „საზოგადოებრივი ხელშეკრულებებისაკენ“, საზოგადოებრივი ხელშეკრულებიდან თანამედროვე სახელმწიფომდე. დისბალანსი კი რადიკალიზაციას იწვევს, ერთის მხრივ ალოდიალური თავისუფლებების მძლავრობამ შეიძლება ანარქიაში იხიოს თავი, ხოლო მეორეს მხრივ კი, ალოდიალური თავისუფლებების ნიველირებას ცალსახად ავტოკრატიულ დიქტატურამდე მიყვავართ. ორივე შემთხვევაში ინტეგრაციის პროცესი ზარალდება.

ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ფილოსოფოსები: პლატონი, არისტოტელე, სოკრატე, ციცერონი და სენეკა საკუთრების საკითხს სახელმწიფოს მოწყობის თვალსაზრისით გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ისინი იმთავითვე ასხვავებდნენ კერძო საკუთრებისა (*proprietas*) და მფლობელობის (*prossessio*) ცნებებს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ ცნებების განსაზღვრებისა და მათი ურთიერთდამოკიდებულების ახსნის მცდელობები დაედო საფუძვლად ძირითად ფილოსოფიურსა და იურიდიულ მოძღვრებებს, მოგვიანებით კი სოციალურ-პოლიტიკურ თეორიებს სახელმწიფოს რაობისა და მისი მოწყობის შესახებ. ანტიკური ხანის საზოგადოების დამოკიდებულება საკუთრების მიმართ აისახა ძვ. წ. აღ. 450 წ. რომის სამართლის კრებულში, ე.წ. „თორმეტთავში“ *Leges*

duodecim tabularum, სადაც კერძო საკუთრება საკრალურად და ხელშეუხებლად არის გამოცხადებული.

„ახალი დროის“ მოაზროვნენი, როგორც მაგ: თომას ჰობსი (1588-1679), ჯონ ლოკი (1632-1704), ჟან-ჟაკ რუსო (1712-1778) კერძო საკუთრებას ინდივიდისა და მისი ქმედების თავისუფლების ხარისხთან უშუალო კავშირში განიხილავდნენ. ანტიკური ფორმულა ut suum cuique salvum sit (თითოეულს თავისი) მათთვის საზოგადოების არსებობისა და დანიშნულების მთავარ ამოცანას წარმოადგენდა. სხვა სიტყვებით, თანამედროვე განვითარებული სამყაროს მიერ განვლილი გზა ერთობიდან საზოგადოებამდე ადამიანის რთულ სოციალურ ურთიერთობებს გულისხმობს, დაფუძნებულს საკუთრების თავისუფალ ფლობასა და მის ასევე თავისუფალ განკარგვაზე. ამ გარემოებას ეფუძნება კანტის ცნობილი გამონათქვამი - საკუთრების წარმოქმნას უცილობელი ლოგიკით რესპუბლიკურ სახელმწიფომდე მივყავართ-ო. საზოგადოების წევრების ძირითადი უფლებები ასევე რომაული ფორმულიდან vita, membra, libertas იქნა გამოყვანილი და მათი დაცვის ინსტიტუტად სახელმწიფო იქნა მიჩნეული. ამრიგად სახელმწიფოს ფუნქცია „ახალი დროის“ დასავლური ფილოსოფიური მოძღვრებების მიხედვით, საზოგადოების წევრებს შორის სამართლიანი ურთიერთობების მენეჯერობაში გამოიხატებოდა. ამიტომაც, სახელმწიფო „საზოგადოებრივი შეთანხმების“ შედეგია. ნიშნდო-ბლივია, რომ „საზოგადოებრივი შეთანხმების“ ორივე კლასიკური მაგალითი - ინგლისური Charter of Liberties (1100 წ.) და Bill of Rights (1689 წ.). - სათაურშივე თავისუფლებებსა და უფლებებს გულისხმობდნენ. და თუკი პირველ შემთხვევაში საქმე ეხებოდა დიდგვაროვანთა თავისუფლებებს, მეორე შემთხვევაში ახლად აღმოცენებული „მესამე წოდების“ პოლიტიკურ უფლებების დაკანონებაზეა საუბარი.

ერთი სიტყვით თანამედროვე ფილოსოფიური და სოციოლოგიური მოძღვრებები ადამიანის სოციალურ განვითარებაში ორ ძირითად საფეხურს გამოყოფს: 1. ერთობისა[18] და 2. საზოგადოების.

ამათგან პირველის განმსაზღვრელი ის გარემოება გახლავთ, რომ მისი წევრების სოციალური ქმედება ტრადიციულად მოტივირებულ ემოციებს ემყარება, ხოლო მათი ურთიერთქმედება კი **მექანიკური სოლიდარობის** ნიშნით ხასიათდება.

მაშინ როდესაც მეორის შემთხვევაში სოციალური ქმედება რაციონალურად არის მოტივირებული, ხოლო საზოგადოების

წევრების ურთიერთქმედება კი **ორგანული სოლიდარობის** ხასიათს ატარებს.

ამდენად საზოგადოება განიხილება, როგორც სოციალური ურთიერთობების სისტემა.

ალოდიუმი დასავლეთ ევროპაში საკუთრების ბენეფიციუმზე უფრო ადრინდელი ფორმაა და ბენეფიციუმის შექმნის შემდეგაც განაგრძობს არსებობას. ალოდიუმის მფლობელები იყვნენ ძველი გვარის შთამომავალი ფეოდალები, ეკლესია და ქალაქები. ამიტომაც, რომ დასავლეთ ევროპაში აღმოცენებული ე.წ. „მესამე წოდება“ სწორედ, რომ „ქალაქელები“ (les bourgeois) იყვნენ, რომელნიც სოფლად მცხოვრებ ფეოდალებს დაუპირისპირდნენ პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებებისათვის ბრძოლაში, როგორც ეკონომიკურად შედარებით გვიან მომძლავრებული საზოგადოებრივი ფენა. ნიშანდობლივია, რომ ევროპის ახალსა და უახლეს ისტორიაში ეროვნული მოძრაობები, „ქალაქელთა“, ანუ ბურჟუაზიული მოძრაობების სინონიმია.

აღმოსავლეთში სრულიად საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე. ალოდიალური საკუთრების ფორმა ფაქტობრივად ქრება. შესაბამისად იკვეთება ცენტრალური ხელისუფალის ავტორიტარიზმიც. ინდივიდის როლი კი საზოგადოების კულტურულსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში სულ უფრო ნიველირდება.

თუკი ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, გასაგები გახდება, თუ რატომ ვერ ჰპოვეს ბურჟუაზიული განვითარების გზა თავის დროზე მაღალგანვითარებულმა და ფეოდალური (ანუ ცალსახად ლენური) ურთიერთობებით გამორჩეულმა აზიურმა რეგიონებმა.[19]

ქართველი ხალხის ისტორია განსაკუთრებულია იმ თვალსაზრისით, რომ გეოგრაფიული ფაქტორის გამო საგარეო გარემოებები საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების საქმეში განმსაზღვრელ როლს ასრულებდნენ და ასრულებენ კიდევ. დასავლეთში კი საპირისპიროდ - საგარეო პოლიტიკა საზოგადოების შიდა განვითარების გაგრძელებას წარმოადგენს. შიდა კონსოლიდაციისა და ეროვნული ინტეგრაციის პროცესი საქართველოში გამუდმებულად ფერხდებოდა დამპყრობლების მიერ.

ამ თვალსაზრისით, საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული როლი ბიზანტიასთან და მოგვიანებით რუსეთთან მეზობლობას უნდა მიენიჭოს.

ნოვალისის [20] სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველი ერი, როგორც იდეა, როგორც კოლექტიური ინდივიდუუმი ესწრაფვის იპოვოს თავისი ადგილი განსაზღვრულ კულტურულ სივრცეში. საქართვე-

ლოში ამგვარ კულტურად ბიზანტიური კულტურა იყო მიჩნეული, რომელიც ანტიკური მემკვიდრეობისა და ქრისტიანობის სინთეზად აღიქმებოდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ შუასაუკუნეების ქართველი მოაზროვნენი და თეოლოგები ბიზანტიიდან განურჩევლად ყველაფერს კი არ იღებდნენ, არამედ იზიარებდნენ იოანე დამასკოელის პრინციპს ფილოსოფიის სარგებლობის შესახებ თეოლოგიისათვის და სელექციის მეთოდის მეშვეობით ცდილობდნენ განესაზღვრათ თუ რა იქნებოდა მსოფლიო ფილოსოფიიდან სასარგებლო ქართული თეოლოგიისათვის.[21] ინტელექტუალები ასხვავებდნენ ფსევდო და ორიგინალურ თხზულებებს, ეკლესია აღწევს ავტოკეფალიას, ქართული ფოდალური სისტემა არათუ განსხვავდება ბიზანტიურსაგან,[22] რომლისთვის აბსოლუტურად უცხოა საკუთრების ალოდიალური სისტემა, არამედ ტიპიურად დასავლური ფოდალური სისტემის ნაწილს წარმოადგენს. საკუთრების ალოდიალური[23] და ბენეფიციური ფორმების თანაარსებობა ბიზანტიისაგან განსხვავებით საქართველოს დასავლური ტიპის ფოდალური სისტემის კუნძულად წარმოაჩენს ახლო აღმოსავლეთში.

X საუკუნე საქართველოში მძლავრი ინტეგრაციული პროცესებით ხასიათდება. რამაც ლოგიკური დასასრული ფოდალური ერთეულების ერთი მმართველის - მეფის მიერ გაერთიანებაში ჰპოვა, ვინც ასევე ევროპული ფოდალური სამართლის პრინციპით იქნა შერჩეული. ინტეგრაციულ პროცესებს სათავეში ქართველი ინტელექტუალები ედგნენ. გიორგი მერჩულეს განსაზღვრება „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი ადესრულების, ხოლო კვირიელევისონ ბერძნულად ითქუმის...“ - ევროპეიზმის საფუძვლებით მოაზროვნე ადამიანის ნააზრევია და თამამად შეიძლება გვიანდელი ევროპული განმანათლებლების წინამორბედად ჩაითვალოს. საზოგადოებრივი განვითარების შედეგებია: ჰუმანიზმის იდეების ქადაგება ქართველ ინტელექტუალთა მიერ; პოლიტიკური თვალსაზრისით აბსოლუტური მონარქიის ჩამოყალიბება თავისი წმინდად ევროპული მახასიათებლით - ეპისკოპოსით, პირველი მინისტრის რანგში; წარუმატებელი და სუსტი მაგრამ მაინც პარლამენტის მოთხოვნა, ამჟამად მიუთითებს საქართველოში „მესამე წოდების“ - უფლებების აღიარების მცდელობაზე. ერთი სიტყვით საქართველოს თავისთავადი განვითარება ტიპიურად დასავლური სცენარით მიმდინარეობდა. რიგ სფეროებში საქართველოში მიმდინარე პროცესები კი ქრონოლოგი-

ურად წინ უსწრებდნენ ევროპაში მოგვიანებით მომხდარ მოვლენებს. ინტეგრაციული პროცესების აღმავლობა მონდოლთა გამოჩენამ დაამუხრუჭა და მეტიც, ბიძგი მისცა დეზინტეგრაციულ პროცესებს.

როდესაც ქართულ ფეოდალიზმზე ვსაუბრობთ, როგორც გამონაკლისზე აღმოსავლურ სივრცეში და მას ევროპულ ფენომენად მივიჩნევთ, უპირველეს ყოვლისა „ალოდიალური“ მიწის მფლობელობის სისტემის არსებობა გვაქვს მხედველობაში, რომლის ნიშნებიც ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში დასტურდება.[24] ნიშანდობლივია, რომ ქართული „მამულიც“ ასევე ტიპოლოგიურ თანხვედრას ამჟღავნებს ევროპულ „ალოდიან“.[25] არანაკლებ მნიშვნელოვანია აგრეთვე ქვეყანაში აბსოლუტიზმის განვითარება და მესამე წოდების - „ქალაქელთა“ არსებობის პირველი ნიშნებიც. ამდენად საკუთრების რომაული სამართლებრივი გაგება საქართველოში იმთავითვე აღიარებულად უნდა მივიჩნიოთ. ანტიკური ფილოსოფიის გავლენა კი სახეზეა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე.[26]

მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიის აგრესიული იმპერიის მეზობლობა საქართველოსათვის დამოუკიდებლობისათვის გამუდმებულ ბრძოლას ნიშნავდა, ბიზანტია თავისი ანტიკური ფილოსოფიური სკოლით კულტურული სივრცის ორიენტირი იყო და ამდენად პოზიტიური გავლენა იქონია ინტეგრაციულ პროცესებზე საქართველოში. ხოლო ბიზანტიის დაცემამ და ორი ძლიერი მუსლიმანური სახელმწიფოს მეზობლობამ კი, დეზინტეგრაციული პროცესებს გაუხსნეს გზა. საკუთრების ალოდიალური ფორმა გახლდათ ის, რამაც მეზობელი სახელმწიფოების ორმაგი წნეხის მიუხედავად, ერთის მხრივ ქართული ცხოვრების წესის შენარჩუნებას შეუწყო ხელი ხოლო მეორეს მხრივ, დასაბამი დაუდო ხელახალ ფეოდალიზაციას ანუ ფეოდალურ დაშლას. მართალია სამეფო სახლი ლეგიტიმურად იყო მიჩნეული, მაგრამ თითოეულის ქმედება არა რაციონალური არამედ ეგოცენტრული გახდა.

ფეოდალიზმის განვითარება რუსეთში ასევე შორს არის ევროპეიზმის ტრადიციისაგან, ალოდიალური საკუთრების ფორმა რუსეთში არ დასტურდება. მართალია დღევანდელ ინტერნეტ სივრცეში მრავლად მოიპოვება ნაშრომები, სადაც ავტორები „ვოტჩინის“ ინსტიტუტში „ალოდიალური“ საკუთრების ნიშნების პოვნას ცდილობენ, მაგრამ ეს კონიუნქტურით არის ნაკარნახევი და მათთან პაექრობას აქ ვერ შევუდგებით. გარდატეხა რუსულ ფეოდალურ სისტემაში ივანე მრისხანეს პოლიტიკის შედეგად დაიწყო. „ოპრინინა“ სწორედ ბოიართა ალოდიალური

მისწრაფებების წინააღმდეგ ჩატარებული ღონისძიებაა, სწორედ ოპრინინის შედეგია რუსეთში მიწის ტოტალურ ბენეფიციუმად გადაქცევა. გვიანდელ ვოტჩინებს კი ალოდთან მხოლოდ სახელწოდება თუ ამსგავსებს, ისინი უკეთეს შემთხვევაში და ისიც პირობითად, სენიორიას შეიძლება შევადაროთ. რუსეთის ბიუროკრატიული ცენტრალიზმი და ხელისუფლების ავტოკრატიზაცია ხომ სწორედ ივანე მრისხანისაგან იღებს სათავეს. ეს გახლავთ ძირითადი მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ წარმოიქმნა ბოიარებისაგან დასავლურის მსგავსი რეგიონალურად დამაგრებული წოდების დასაყრდენი. ერთი სიტყვით ფეოდალიზმი რუსეთში ივანე მრისხანიდან მოყოლებული სულ უფრო და უფრო ავტოკრატიზაციის ინსტრუმენტად ყალიბდება.[27]

საქართველოს რუსეთთან შეერთებისთანავე ქართული არისტოკრატია რუსეთში იქნა გადასახლებული. ქართული სახელმწიფოებრიობა და ქართული ფეოდალიზმი ანუ მოსახლეობისაგან ლეგიტიმურად მიჩნეული სისტემა გაუქმდა. ფეოდალური დაქუცმაცებულობითა და დეზინტეგრაციით დაუსტებულმა ქართულმა მოსახლეობამ იდენტურობისა და მნიშვნელობის ორიენტირები დაკარგა. სკოლებში, ეკლესიასა და სასამართლოში საქმის უცხო ენაზე წარმოებამ მოსპო კომუნიკაციის შესაძლებლობა მოსახლეობასა და რეჟიმს შორის, რომელიც ისედაც არალეგიტიმურად იყო აღქმული. თაობები დარჩნენ უწიგნურნი, ეს გარემოება განსაკუთრებით უწყობდა ხელს დეზინტეგრაციის პროცესს.

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა - ანბანის რეფორმირება, თანამედროვე ლიტერატურული ენის დახვეწა, მას იმდროინდელი ევროპული ეროვნული მოძრაობების გმირების რიგში აყენებს. ხოლო ლოზუნგი „მამული, ენა სარწმუნოება“ ქართველებისათვის ეროვნული ინტეგრაციის ორიენტირების სიმბოლო და მანქანებელი უნდა ყოფილიყო. სოციალური პრობლემების მოგვარებას ილია ჭავჭავაძე საქართველოში ეროვნული ბურჟუაზიის, ქართული მესამე წოდების აღმოცენებაში ხედავდა. საზოგადოდ ცნობილია, რომ XIX ს-ის ევროპაში მიმდინარე ეროვნული მოძრაობები მიზნად ეროვნული სახელმწიფოების შექმნას ისახავდნენ და ამ პროცესის მამოძრავებელი ძალა „მესამე წოდება“ ანუ ბურჟუაზია იყო. სწორედ ამიტომ ითხოვდა ილია ჭავჭავაძე ეროვნულ დამოუკიდებლობას, მაგრამ როგორც რეალისტი პოლიტიკური ავტონომიის ფორმას ჯერდებოდა. ამრიგად ილია ჭავჭავაძისათვის საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობა - ეროვნული „მესამე წოდების“ მიერ

დაფუძნებულ სოციალურ წესრიგს ნიშნავდა. ეს გზა კი არ პასუხობდა იმპერიაში მიმდინარე პროცესებს და მოდერნიზებული იმპერიისათვის გათვალისწინებულ სოციალურ წესრიგს. ამიტომაც ილიას მოღვაწეობა რუსეთის იმპერიისათვის რეალურ საშიშროებას წარმოადგენდა.

ილიას მკვლევლობის შემდეგ, ეროვნული კონსოლიდაციისა და ინტეგრაციის იდეამ შემდგომი განვითარება ვეღარ ჰპოვა და ეროვნულმა ორიენტირებმა გზა საზოგადოდ რუსულ პრობლემას - სოციალური ორიენტირების პრობლემას დაუთმო, რომლის გადაჭრაც იმპერიის სივრცეში ბუნებრივია, რუსული ქარგით უნდა მომხდარიყო. პოლიტიკური სარბიელი საქართველოში რუსეთის სოციალ დემოკრატიული პარტიის ე.წ. ქართულ ფრაქციას დაეთმო...

აღოლიალური თავისუფლებების ნიველირებამ და სახელმწიფოებრივ მოწყობაში ინდივიდუალიზმის დეფიციტმა შედეგად რუსეთში მესამე წოდების არარსებობა გამოიღო.

ასეთ პირობებში პოლიტიკაში მონაწილეობის მოთხოვნილებას რუსი მოღვაწენი ძირითადად პუბლიცისტური და ლიტერატურული საქმიანობით იკმაყოფილებდნენ. XIX ს. რუსეთისათვის დამახასიათებელია ინტელექტუალთა გარემოს აღზევება ერთგვარ შუა ფენად. რასაც რუსეთში „ინტელიგენცია“ ეწოდა და რომელსაც „მესამე წოდების“ დეფიციტის ფონზე „საზოგადოება“ დაერქვა. ინტელიგენცია რუსეთში იმთავითვე ჩამოყალიბდა იდეოლოგიურ და არა პროფესიულ ჯგუფად. არსებობდნენ კულტურული ადამიანები, მაგრამ არ არსებობდა კულტურული გარემო. ჩამოყალიბდა მყარი მენტალური ფორმულა - ინტელიგენცია „ჩვენ“ და სახელმწიფო - „ისინი“. ამრიგად ინტელიგენცია აღმოჩნდა სახელმწიფოსა და ბნელ მასას შორის. არისტოკრატის საუკეთესო ნაწილში სუფევდა ერთგვარი დანაშაულის გრძნობა საკუთარი ხალხის წინაშე. სოციალურად ტოტალურად პოლარიზებულ რომანოვების იმპერიაში არსებული უფსკრულის ამოვსების სურვილმა ისინი ანტიფეოდალურად და ამავე დროს ანტიბურჟუაზიულად განაწყო.

ომზე ორიენტირებული ფეოდალური საზოგადოების ჩანაცვლება მშვიდობიანი, შრომაზე ორიენტირებული საზოგადოებრივი წყობით მათთვის უცხო იყო. ამის ნაცვლად რუსი ინტელექტუალები სამართლიანი საზოგადოებისა და ამ საქმეში რუსი ხალხის ისტორიული მისიის ძიებით იყვნენ დაკავებულნი. ამავე დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას მართლმადიდებლობას ანიჭებდნენ. ევროპულ რაციონალურ დეცენტრალიზმს ისინი ქრისტიანული აღმოსავლეთის მთლიანობას უპირისპირებდნენ. ამის მთავარი

განმსაზღვრელები კი რუსული „თემის“ და მართლმადიდებლობის ნაციონალიზაციიდან გამოჰყავდათ. რელიგიის ნაციონალიზაცია, ანუ მისი ხელისუფლებასთან შერწყმა ტიპიურად აღმოსავლური მოვლენაა, რაც ტოტალიტარიზმს მოასწავებს.

უაღრესად საინტერესოა პირველი საბჭოთა ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლის ნიკოლაი ბერდიაევის დაკვირვება. როდესაც იგი „მესამე რომის“ მესიანისტურ იდეას აანალიზებს ამბობს, რომ რუსეთში ეკლესიის ნაციონალიზაცია ივანე მრისხანეს დროიდან დაიწყო, რომ რუსი ხალხის ცნობიერებაში ეროვნული და რელიგიური ისევე ძლიერად შეერწყა ერთმანეთს, როგორც ძველი ებრაელი ხალხის ცნობიერებაში.[28] მსოფლიო საეკლესიო ცნობიერება რუსული ეკლესიისათვის იმდენად სუსტი იყო, რომ ბერძნულ ეკლესიას, რომლისგანაც რუსმა ხალხმა მართლმადიდებლობა მიიღო, აღარ ცნობდნენ ჭეშმარიტ მართლმადიდებელ ეკლესიად, მასში ჭეშმარიტი სარწმუნოების დამახინჯებას ხედავდნენ. ბერძნული ეკლესიის გავლენას აღიქვამდნენ, როგორც გარყვნილებას შედწეულს მსოფლიოში ერთად-ერთ ჭეშმარიტ მართლმადიდებელ სამეფოში. რუსული ეკლესიის თვითიზოლაციისა და ტოტალიტარიზმის ფორმულა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ - მართლმადიდებელი სარწმუნოება არის რუსული სარწმუნოება, არარუსული სარწმუნოება - არამართლმადიდებელია. უნდა ითქვას, რომ ამგვარი განწყობა მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ზეწოლით იყო გამოწვეული. „რუსული ეკლესიის ისტორიაში საუკეთესო პერიოდი, მონღოლთა ბატონობის ხანა იყო, როდესაც იგი ხელისუფლებისაგან სულიერად ბევრად უფრო დამოუკიდებელი იყო და მასში სოციალური ელემენტი მძლავრობდა“.[29]

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ისტორია, მისი ფეოდალური წყობა და ქართული თეოლოგიური სკოლის თავისუფალი აზროვნების წესი,[30] იმპერიული დოქტრინის - ქრისტიანული აღმოსავლეთის ერთობისა რუსული პრიმატის ქვეშ - უსაფუძვლობის ცოცხალი მაგალითია, ალბათ ეს გარემოება უნდა მივიჩნიოთ იმის ძირითად მიზეზად, რომ რუსული ოკუპაციის დასაწყისშივე, სწორედ ქართული ეკლესია იქცა რუსული „მართლმადიდებლობის“ ყველაზე მრისხანე შეტვევის ობიექტად.

„სლავოფილები“ საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდნენ საკუთრების რომაული სამართლისმიერ გავებას. ისინი საკუთრებას არ მიიჩნევდნენ აბსოლუტურად და საკრალურად. მესაკუთრე მათთვის იყო მხოლოდ გამგებელი. საკუთრების ევროპული გავება უცხო იყო რუსული ფეოდალური არისტოკრატისთვისაც კი. ე.წ. „ზაპადნიკები“



დასავლეთიდან მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიით იხიბლებოდნენ. ლიბერალები კი რუსეთში თეორიულად არ მოღვაწეობდნენ და შემოიფარგლნენ რამდენიმე რეფორმით 60-იან წლებში. რუსი ინტელექტუალების აზროვნების წესი იყო დოგმატური და ტოტალიტარული.[31] მოკლედ რომ ვთქვათ, რუსი ინტელექტუალები ძირითადად დაკავებულნი იყვნენ სოციალური სამართლიანობის დამკვიდრების საქმეში რუსი ხალხის ამოცანისა და ფუნქციის ძიებით. რუსი ინტელექტუალების სოციალისტურმა განწყობებმა და „მესამე რომის“ ფუნქციის საკრალიზებამ ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა პროლეტარიატის „მესიანისტური“ იდეის ხორცშესხმას.

ეს გარემოება უნდა მივიჩნიოთ იმის მიზეზად, რომ სწორედ რუსეთში გახდა შესაძლებელი XX საუკუნის მთავარი ექსპერიმენტის - მეოთხე წოდების, პროლეტარიატის დიქტატურის - ცხოვრებაში გატარება. რუსული მითი ხალხის სოციალური ფუნქციის შესახებ ადვილად ჩაანაცვლა მითმა პროლეტარიატის ფუნქციის შესახებ.

როდესაც ნიკოლაი ბერდიაევი რუსული კომუნიზმის წარმოშობასა და მნიშვნელობას ანალიზებს, რუსი ხალხის მენტალიტეტს ახასიათებს, როგორც ინდივიდუალიზმს მოკლებულ კოლექტიურ ცნობიერებას. ამას იგი საკუთრების რომაულ-ევროპული გაგების დეფიციტით ხსნის. რუსეთში ითვლებოდა, რომ მიწა უფლის საკუთრებაა და ყოველ ადამიანს აქვს მისი დამუშავების უფლება. ანუ სხვა სიტყვებით ადამიანი მას მხოლოდ განაგებს, იგი მხოლოდ მფლობელია. უნდა ითქვას, რომ ამგვარი მიდგომა ძველი აღთქმისეულია და „თანახის“ მოძღვრებიდან გამომდინარეობს. საკუთრების ასეთმა დეფინიციამ და მართლმადიდებლობის ტოტალიტარიზმმა კი რუსულ საზოგადოებაში ტიპურად რუსული მოვლენა - ნიჰილიზმი წარმოშვა, რომელიც შემდგენიერად ფორმულირდება - სახელმწიფო ბოროტებაა და ძალმომრეობის ინსტიტუტი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პეტრე I-ის მოღერნიზაციის მოღვაწეობის შედეგების შეფასებაც. მისი შეფასებით, პეტრეს მეთოდები ტიპურად ბოლშევიკური იყო და რეფორმებმა სოციალური პოლარიზება რუსეთში მხოლოდ გაამწვავა, ვინაიდან გამოიწვია გაუცხოვება ევროპულ ყაიდაზე მცხოვრებ არისტოკრატისა და აღმოსავლურ ყაიდაზე მცხოვრებ ხალხს შორის. ამის მიზეზად იგი იმ გარემოებას მიიჩნევს, რომ

რეფორმები მხოლოდ არისტოკრატით შემოიფარგლა და საყოველთაოდ არ გატარებულა.[32]

როდესაც მარქსიზმის კლასიკოსები ფეოდალიზმზე წერდნენ, ისინი იმ დოგმის ტყვეობაში რჩებოდნენ, რომელიც ფეოდალიზმში მხოლოდ ბატონისა და ყმის ანტაგონიზმს ხელადა. სხვა სიტყვებით, მარქსიზმს ფეოდალიზმიცა და შემდეგ კაპიტალიზმიც მხოლოდ ბენეფიციალურ ურთიერთობებად წარმოედგინათ ამ სიტყვის ვიწრო გაგებით. მმართველობის უფრო ძველ ფორმებსა და პრინციპულად სხვა ურთიერთობებს კი მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ. კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურა კი ფეოდალური საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურიდან გამოჰყავდათ.[33]

ამგვარი შეხედულების ტყვეობაში დარჩნენ პრაქტიკოსი მარქსისტებიცა და მათი შემოქმედების პროდუქტი - საბჭოთა სახელმწიფო - წმინდად აღმოსავლურ ფეოდალურ, ანუ ლენურ ურთიერთობებზე იდგა. წარმოების საშუალებების გასახელმწიფოებრიობა არ წყვეტდა ბენეფიციუმის არსებობის პრობლემას. ამდენად, ვფიქრობთ, უპრიანი იქნება საბჭოურსა და პოსტსაბჭოურ პრობლემატიკაში პირობითად ფეოდალური ტერმინოლოგიის გადმოტანა და შესაბამისად ბენეფიციალური საკუთრებისა და თავისუფალი ანუ სრული საკუთრების ურთიერთობის საკითხის დასმაც.

უნდა ვადიაროთ, რომ რუსი კომუნისტები ბენეფიციუმის არსებობას რეალობაში ვერ გაეჭვნენ. ახალი საზოგადოების გარიჟრაჟზე, „წმინდა პროლეტარის“ ხელფასი თვეში 75 მანეთით განისაზღვრებოდა, მაშინ, როდესაც, საშუალო მოხელის ხელფასი 1500 შეადგენდა.

სხვა სიტყვებით, პროლეტარი ისევ „ყმობაში“ დარჩა. ამგვარად საბჭოთა რუსეთი დასაბამიდან „მოხელეთა სახელმწიფოდ“ ჩამოყალიბდა.

შესაბამისად საბჭოთა კავშირის ისტორია პირობითად სამ ეტაპად შეიძლება წარმოვიდგინოთ: 1. „მოხელეთა სახელმწიფო“ და ბენეფიციუმის განკარგვა სტალინამდე, 2. სტალინის ეპოქა და 3. „მოხელეთა სახელმწიფო“ და ბენეფიციუმის განკარგვა სტალინის შემდეგ. აქედან პირველი ორი ეტაპი კოლექტიური ენთუზიაზმის აღმავლობით ხასიათდება.

სტალინური ხანა ძირეულად განსხვავებულ მოვლენად უნდა იქნას მიჩნეული, როდესაც კოლექტიური ენთუზიაზმი და „ხალის მზრუნველი მამის“ ფხიზელი თვალი ბენეფიციუმს მოხელეთაგან

ხელუხლებლად ინახავდნენ და მას სახელმწიფოს საკუთრებაში ტოვებდნენ. იოსებ სტალინის სამაგალითო რადიკალური პურიტანიზმი სოციალური სამართლიანობის სიმბოლოს განასახიერებდა.

აღოღიანური დამოუკიდებლობის ყოველგვარ მისწრაფებას სამაგალითოდ უსწორდებოდნენ. მესაკუთრე-ინდივიდი - აი ბოლშევიზმის ძირითადი საფრთხე და ამიტომ მთავარი მტერიც.

ინდივიდუალიზმის ნიშნები საბჭოთა კავშირში, მხოლოდ განათლებულმა ფენამ, ე.წ. „ინტელიგენციამ“ შეინარჩუნა. ეს წრე იდენტიფიცირებული იქნა ცნება საზოგადოებასთან და ძველი რუსული ტრადიციის შესაბამისად აღიქმებოდა, როგორც შუა და არა როგორც საშუალო წოდება. აქედანვე მომდინარეობს ძირითადი შეუსაბამობა საზოგადოების არსის და ცნების გაგებისა პოსტსაბჭოთა მოქალაქის „Homo Sovieticus“-ის და დასავლეთელი ქალაქელის „Bourgeois“ მენტალობაში.

უნდა ითქვას, რომ „დიადი საბჭოთა ხალხი“ ორმაგ ჩაგვრას განიცდიდა: ეროვნულსა და სოციალურს. მაგრამ რუსი საბჭოთა ინტელექტუალებისათვის ეროვნული საკითხი დღის წესრიგში არ მდგარა. რუსი დისიდენტებისთვისაც კი, აქტუალური მხოლოდ სოციალური უსამართლობის პრობლემატიკა იყო. სახაროვისა და სოლჟენიცინის გამონათქვამები ცხადყოფენ, რომ ეროვნულ საკითხში ისინი ტრადიციული რუსული შოვინიზმის პოზიციებზე დარჩნენ.

ეროვნულად განწყობილი ქართველი ინტელექტუალები კი ძირითადად ემოციებს ეყრდნობოდნენ. აპელირებდნენ ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობისადმი, მაგრამ ამავე დროს მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა და ბურჟუაზიული ხედვა მხედველობის არედან ჰქონდათ გამორჩენილი და მხოლოდ ინდივიდუალიზმის ალეგორიული ქადაგებით იფარგლებოდნენ, როგორც ხელოვანნი, მწერლები და პოეტები და ნაკლებად, როგორც ფილოსოფოსები თუ სოციოლოგები ან პოლიტიკოსები. 80-იანი წლების ეროვნული მოძრაობაც შესაბამისად დამოუკიდებლობის ემოციური მოთხოვნით შემოიფარგლა, ხოლო მომავალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახელმწიფო მოწყობა და შინაარსი „კოლექტიური ცნობიერების“ მიღმა რჩებოდა და დღემდე ვერ იხილა დღის სინათლე.

ერთი სიტყვით, „Homo Sovieticus“-ის პატრიმონიალური მენტალიტეტისათვის ცნებები - სახელმწიფო, პოლიტიკა და პოლიტიკოსი - უნიტარიზმსა და ცეზარიზმთან არიან გაიგივებულნი.

უნდა ვაღიაროთ, რომ საბჭოთა კავშირიდან სეპარირების დროს ქართველების ქმედების წესი არა „საზოგადოებისათვის“ დამახასიათებელი რაციონალიზმით განისაზღვრებოდა, არამედ „ერთობისათვის“ დამახასიათებელი ემოციურობით. განსაკუთრებულად აღსანიშნავია, რომ ეს მოხდა საზოგადოებრივი ეპოქისა და ე.წ. „მოდერნიზირებული ინდივიდუალიზმის“ აღზევების ხანაში. ქართველთა სოციალური ქმედება ეფუძნებოდა ერთობის ტრადიციულ იდეას. ერთობის თემა ლაიტმოტივად იქცა. ეს ეფუძნებოდა საერთო მესხიერებას, ოჯახურსა და მეგობრულ ერთსულოვნებას. რომელთა გამოხატვა ყოველდღიურობაში ხელშეწყობასა თუ ისტორიოგრაფიაში უმთავრეს ამოცანად იქცა. 70-იანი წლებიდან იგრძნობა ახალგაზრდობის ინტერესის ზრდა ეკლესიის მიმართ. ქრისტიანულობა აღიქმებოდა პროტესტად ათეისტური საბჭოთა კავშირის მიმართ და ეროვნული კუთვნილების ნიშნად.

საზოგადოებრიობის დეფიციტი განსაკუთრებულად მკაფიოდ გამოჩნდა ეთნიკურ უმცირესობებთან ურთიერთობაში. აფხაზეების სეგრეგაციის პოლიტიკა აფხაზეთის რუსეთთან შეერთებიდან ე.ი 1863 წლიდანვე იღებს სათავეს. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ გარემოებამ საქართველოს მხრიდან ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ პოვა, პირიქით, ქართველთა ქმედება წყალს ასხამდა იმპერიის ჩანაფიქრს. მიზეზი საკმაოდ მარტივია - ქართველთა მხრივ არ არსებობდა ე.წ. „მიმღები საზოგადოება“ პირიქით ქართველ ინტელექტუალთა ძალისხმევა მიმართული იყო ქართული ერთობიდან აფხაზეთა გარიყვისაკენ. ილია ჭავჭავაძის მცდელობები საქართველოში ე.წ. „მიმღები საზოგადოების“ შექმნისა საბოლოო ჯამში მარცხით დამთავრდა და ასეთი საზოგადოება ვერ შესდგა. მართალია ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა აფხაზეთის 1920 რეფერენდუმის დონეზე კონსტიტუციურად შეერთება მოახერხეს, მაგრამ ეს იმდენად ხანმოკლე აღმოჩნდა, რომ ვერავითარ დონეზე ვერ მოხერხდებოდა მულტიეთნიკური სოციალური კავშირების შექმნა, რაც მომავალი სოციალურ-პოლიტიკური ინტეგრაციისათვის ძირითად წინაპირობად და საფუძვლად გამოდგებოდა.

ქართველთა ერთობის იდეოლოგიების შემოქმედებაში აფხაზეთ ეთნიკურ ჯგუფს ადგილი არ ეთმობოდა.[34] პირიქით, აფხაზეები უცხო ერთობად იქნენ წარმოდგენილნი. ამდენად ბრძოლა აფხაზეთისათვის ქართველ ინტელექტუალებს წარმოდგენილი ჰქონდათ ბრძოლად ძირძველი ქართული ტერიტორიისათვის, რომელსაც უცხო ტომის მკვიდრნი დაეუფლნენ და არა ბრძოლად აფხაზეური ეთნიკური ჯგუფის ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირ-

რებისათვის. საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე უზომო ენერჯია იქნა დახარჯული საერთაშორისო თანამეგობრობისადმი ამ აპელაციით. ქართულმა ისტორიოგრაფიამ დიდი გავლენა მოახდინა საზოგადო აზრის ჩამოყალიბებაზე და ეს გარემოება ქართული საზოგადოების უმნიშვნელოვანეს შეცდომად უნდა იქნას მიჩნეული.

ამგვარი მიდგომის მიზეზი არა მხოლოდ ქართველ ინტელექტუალთა ირაციონალურ ფიქრის წყობაში უნდა ვეძიოთ, არამედ რეჟიმის პოლიტიკაშიც. იმავდროულად აფხაზეთში გამაღებულად მიმდინარეობდა პარალელური საზოგადოების ჩამოყალიბება. რუსეთის პოლიტიკის წყალობით „აფხაზი“, რომელიც თვით აფხაზეთის ავტონომიაში საგრძნობ უმცირესობას წარმოადგენდა, წოდებად ჩამოყალიბდა. „აფხაზობა“ სოციალური პრესტიჟი გახდა. თანამედროვე დეზინტეგრაციის თეორიის ავტორები ამგვარ მდგომარეობას რეგიონალური დეზინტეგრაციის წინა პირობად მიიჩნევენ.

ამრიგად, 1992 წ. მომხდარი სამხედრო კონფლიქტი კარგა ხნის დაგეგმილი და მომზადებული იყო. გადაწყვეტილებაც შესაბამისად უკვე მიღებული... მხოლოდ ტექნიკური საკითხიღა რჩებოდა მოსაგვარებელი, კერძოდ, თუ ვინ აიღებდა პასუხისმგებლობას პირველ გასროლასა და აფხაზეთის დაკარგვაზე?

ასე, რომ რეგიონალური დეზინტეგრაცია „მიმდები საზოგადოების“ დეფიციტია და გაგებულ უნდა იქნას, როგორც საქართველოს შიდა საზოგადოებრივი და სოციალურ-პოლიტიკური პრობლემა. ამდენად ენდოგენური ფაქტორია, მაგრამ ამავე დროს ეგზოგენურ ფაქტორთან მჭიდრო ურთიერთკავშირში მყოფი. ამგვარი ვითარების მიზეზებისა და გამოსატვის ტენდენციების კვლევა ქართული სოციალური და ისტორიული მეცნიერების გადაუღებელ ამოცანად მიგვაჩნია.

ბოლშევიზმი ძირშივე გამორიცხავს სოციალური ქმედების თავისუფლებას. ყოველგვარ ინდივიდუალიზმს. ბენეფიციარული გამგებლობა მართვის ტექნოლოგიაა, საბჭოთა იმპერიაში არაფორმალურად, პოსტსაბჭოთა სივრცეში კი ფორმალურად. ეს განსაკუთრებულად კარგად გამოჩნდა ჩვენს მიერ აღნიშნულ საბჭოთა ისტორიის მესამე პირობით ეტაპზე ანუ „მოხელეთა სახელმწიფო“ და ბენეფიციუმის განკარგვა სტალინის შემდეგ.

ყოველივე ამან თვალნათლივ იჩინა თავი ე.წ. პოსტსაბჭოთა სივრცეში... სადაც მარქსისტულ-ლენინური დოგმები სრულიად გაუაზრებელმა, ვეგეტატიურმა, ეროვნული ინტერესების ეფემერულმა დოგმებმა შესცვალა. ცვლილებები და დემოკრატიულობა გაგებულ იქნა ფეოდალური ბენეფიციუმის განკარგვის ამჯერად ღია და

დედალურ ფორმად, რომლის „პრივატიზება“ მმართველმა ჯგუფებმა მთავარ მიზნად დაისახეს. სახელმწიფო საკუთრება წარმოების საშუალებებზე ახლა პარტიულად განიკარგება. და ამ მიზანს ემსახურება კანონების სუბიექტური გამოყენება, ანდა მათი მიღება „post factum“. ერთი სიტყვით სახელმწიფო მანქანა მონაწილეობს საკუთრების განაწილების პროცესში, როგორც სუბიექტი.

ყველაზე საგანგაშო კი ის გარემოებაა, რომ მოსახლეობის „კოლექტიური ცნობიერება“ a priori დებულობს ამ ვითარებას. ამგვარი მიდგომის შედეგია, რომ აი უკვე ოცი წლის განმავლობაში, დემოკრატიზაციის ღოზუნგებით გაბრუებული „პოსტსაბჭოთა მოქალაქეები“, რომელთაც არჩევანის უფლება მიიღეს, მაგრამ არ მოუპოვებიათ, შესაშური ერთსულოვნებით ირჩევენ არა სახელმწიფო მოღვაწეებს, არამედ ბელადებს, უფრო სწორედ კი პატრონებს, სხვა სიტყვებით გადაწყვეტილების მიმღებს, რომელთაგან ისევ პატრიმონიალური მენტალობის გამო ელიან სამსახურს, სოციალურ კეთილდღეობას. შესაშური ერთსულოვნებით ეძებენ ადგილს მზის ქვეშ, საკუთრების საკარგავი ინსტიტუტის საფუძველზე. ამიტომაც, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში საკუთრების გადანაწილება დღესაც არ დამთავრებულა, რომ ყოველი ახალი ხელისუფალი ხელახალ გადანაწილებას იწყებს...

ხელახალი ფეოდალიზაციის პროცესი, სახელმწიფოს მართვა საკარგავის ინსტიტუტის საფუძველზე დასაბამს შევარდნადის ხანიდან იღებს. სახელმწიფოს საკუთრება წარმოების საშუალებებზე ღენური პირობებით გადაეცემოდა მოხელეებს დროებით სარგებლობაში. პროცესი ცალსახად კაპიტალის დაგროვების ნიშნით მიმდინარეობდა. არისტოტელეს „ხრემატიკა“, რასაც იგი „ეკონომიკისაგან“ ასხვავებს, ბევრად უფრო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტერმინია ვიდრე ის, რაც იმ პერიოდის საქართველოში ხდებოდა. პირადი გამდიდრება სახელმწიფოს გადატაკების ხარჯზე. დღეს ამ ხანას დასავლელი პოლიტოლოგები „კლემენტო-კრატიად“ მოიხსენიებენ.

ამავე დროს იწყება მოსახლეობის ტოტალური სოციალური პოლარიზაცია. მოთხოვნილება საშუალო ფენაზე ისევ რუსულ-საბჭოური მეთოდით იქნა გადაწყვეტილი.

არასამთავრობო ორგანიზაციათა შექმნა, როგორც „მესამე სექტორისა“, მოდერნიზაციის პოლიტიკის შემოქმედთაგან ჩაფიქრებული იყო, როგორც მეტი დემოკრატიის მოთხოვნის ტრენდი ძირითადად ლათინური ამერიკისა და აფრიკის ქვეყნებისათვის. მათი ფუნქცია ყველა მოქალაქის საზოგადოებრივი გადაწყვეტილებების

მიღების პროცესში ჩართვა უნდა ყოფილიყო. სხვა სიტყვით იმ „ხვრელების“ ამოსავსებად, რასაც სახელმწიფო ინსტიტუტები ვერ ახერხებდნენ. ძირეული განსხვავება ბურჟუაზიულ საზოგადოებასა და თანამედროვე არასახელმწიფო ორგანიზაციების მიერ შემოღებულ ტერმინს „სამოქალაქო საზოგადოებას“ შორის სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოება ბურჟუაზიული გაგებით, თავად აყალიბებს იმ სახელმწიფოებრივ წესრიგს, რომელიც ეროვნული სახელმწიფოს ადგილს იკავებს. მრავალი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ დამკვიდრებული ტერმინი „სამოქალაქო საზოგადოება“ კი კონიუნქტურით არის ნაკარნახევი და არასამთავრობო ორგანიზაციების, როგორც დამოუკიდებელი აქტორების სახელმწიფოსთან ურთიერთობას გულისხმობს.

ამდენად როდესაც სამოქალაქო საზოგადოება არ იხმარება ბურჟუაზიული საზოგადოების სინონიმად საქმე ცნებების და ფუნქციების აღრევასა და კონიუნქტურასთან გვაქვს. ამან საქართველოში სპეციფიური ტრანსფორმაცია განიცადა, „Citoyen“ -ის მოქალაქეობრივ უფლებებზე ზრუნვა Homo Sovietikus - ის წარმოდგენაში ინტელიგენციის ფუნქციასთან იქნა გაიგივებული, ანუ როგორც ინტელექტუალთა გარემოსი, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე და რომელსაც საზოგადოებას უწოდებენ. ამგვარმა მიდგომამ განაპირობა ზურაბ ჟვანიას პირმშოს - ქართული არასამთავრობო სექტორის უკიდურესი კომფორმიზმიც, განსაკუთრებით ვარდების რევოლუციის მიჯნაზე.

სამოქალაქო საზოგადოების ცნებისა და მნიშვნელობის აღრევამ ქართველ პოლიტიკოსთა და ჟურნალისტთა ლექსიკონშიც ჰპოვა ასახვა. ისინი დღემდე ურევენ ცნებებს ცივილური-როგორც მაცივილიზებული და ცივილური - როგორც ქალაქური. ცნება სამოქალაქო საზოგადოება - ბურჟუაზიული მნიშვნელობით ქართულ საზოგადოებაში დღემდე ვერ დამკვიდრდა.

შეგარდნადის ხანაში მძინვარე სოციალური უსამართლობა, ინდივიდუალური უფლებების აყრა, მოსახლეობამ საკმაოდ დიდ ხანს ითმინა. მედიაში არსებული თითქმის აბსოლუტური აზრის თავისუფლება მართალია ახდენდა გავლენას საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, მაგრამ საზოგადოებრივ აზრს არავითარი გავლენა არ ჰქონდა ყოფიერებაზე.

განვითარების ერთობის საფეხურზე მდგომი მოსახლეობა, რომლის სოციალური ქმედება ტრადიციულად მოტივირებულ ემოციებსა და საკუთრების დაკარგვის შიშს ემყარება მოკლებულია ხელისუფლებაზე გავლენის ყოველგვარ ინსტრუმენტს. მოსახლეობის

პოლიტიკური გავლენა საკუთარ ხელისუფლებაზე შესაძლებელია მხოლოდ იმგვარ პირობებში, როდესაც სოციალური ქმედების მიზანმიმართულობა რაციონალურად მოტივირებულ ინტერესთა თანხედრას და ასევე მოტივირებულ ინტერესთა ურთიერთკავშირს ეფუძნება.[35] სხვა სიტყვებით საზოგადოებრივ აზრს პოლიტიკური გამოხატვა და გავლენა მხოლოდ განვითარების საზოგადოებრივ დონეზე მდგარ სოციალურ ერთობაში შეიძლება ჰქონდეს.[36] რომელშიც ცნება საზოგადოება სოციალურ სისტემად აღიქმება და რომელიც, თავის მხრივ, ხელისუფლებისაგან ეკონომიკურად დამოუკიდებელი ინდივიდების, „გადასახადების გადამხდელებისაგან“, შესდგება.

უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში საქართველოში ჩატარებული არჩევნები ცხადყოფს, რომ სამივე შემთხვევაში ქართველები არჩევნებს უკიდურესად ემოციურად და არა რაციონალურად ეკიდებოდნენ. სამივე შემთხვევაში ერთსულოვნად მისცეს ხმა, მაგრამ არა ვინმეს სასარგებლოდ არამედ წინააღმდეგ. კომუნისტების წინააღმდეგ-გამსახურდიას, გამსახურდიას წინააღმდეგ შევარდნაძეს, შევარდნაძის წინააღმდეგ სააკაშიდს... ალტერნატივა ყოველთვის ბოლოჯამს ჩნდებოდა, არჩევანი უკვე დიდი ხნით ადრე იყო გაკეთებული, სადღაც სხვაგან, ინდივიდის ცნობიერების მიღმა...

შედეგად, უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე მოსახლეობის გამუდმებული გაუცხოების გრძობა სულ ცოტა ხნით ადრე ერთსულოვნად არჩეული ხელისუფლებისაგან. სხვა სიტყვებით, ხელისუფლების ლეგიტიმურად აღქმის პერმანენტული პრობლემა, რაც ინდივიდუალურ დონეზე შესაბამისად ეგოცენტრულ და არა რაციონალურ სოციალურ ქმედებაში პოულობს ასახვას.

შევარდნაძის ხანისათვის დახასიათებულია: 1. საკუთრების მარქსისტულ-ფეოდალური გაგება. 2. მოქალაქეთა უფლებრივ - მოვალეობებრივი ურთიერთკავშირის სუბიექტური გაგება ხელისუფლების მხრივ. 3. სამართლებრივი წესრიგის პრობლემა და სახელმწიფოს ჩარევა ინდივიდუალური საკუთრებისა და ინდივიდუალურ უფლებებში. 4. მმართველი პარტია მონაწილეობს საკუთრების ფორმირების პროცესში, როგორც სუბიექტი.

საკაშიდის ხანაში ეს პროცესი დასრულდა, მოხდა ბენეფიციუმის როგორც „Dominium directum“ „აპროპრიაცია“, ანუ საკუთრების განაწილებაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა „ჩაიკეტა“. ე.ი ეხლა საქმე ეხება ხელისუფლების საშუალებებისა და საკუთრების მონოპოლიზაციას. „Dominium utile“ -ს განკარგვაც კი შეუძლებელია თავისუფლად.



ნიშნდობლივია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ვარდების რევოლუციის გმირები და შემოქმედნი ე.წ. მესამე სექტორის, ეი სამოქალაქო საზოგადოებიდან იყვნენ წარმომავლობით, მათი ქმედების წესი კვლავ ორთოდოქსალური ბოლშევიზმის ტყვეობაში დარჩა.

დღევანდელი ხელისუფლება „დიად მიზნად“ ქვეყნის „მოდერნიზაციას“ აცხადებს. „ტრადიციულსა და საბჭოურ მენტალობას“ დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადა. „ახალი ადამიანი“ ახალი საზოგადოების საწინდარი უნდა იყოს.

ამგვარი ლოზუნგები კაცობრიობის ისტორიას კარგად ახსოვს და ადამიანის დეჰუმანიზაციას მოასწავებს... ეს მათ შორის 1991 წ. დამარცხებული სისტემის ლოზუნგიცაა. მარქსმა დასვა საზოგადოების, მაგრამ არა პიროვნების საკითხი. ადამიანი მარქსიზმის თანახმად - საზოგადოების ფუნქციაა. ახალი საზოგადოებისა და ახალი ადამიანის შექმნაზე პრეტენზიას კომუნიზმი აცხადებდა. კომუნიზმი ადამიანს ახალი საზოგადოების ორგანიზების საშუალებად თვლიდა და არა პირიქით საზოგადოების ახალ ორგანიზებას - საშუალებად ადამიანისათვის.[37]

თანამედროვე სოციოლოგიური მეცნიერება მოდერნიზაციას საზოგადოების, როგორც სოციალური სისტემის განვითარების შემდგომ ეტაპად მიიჩნევს. აქსიომაა - შეუძლებელია იმის მოდერნიზება, რაც არ არსებობს. უკეთ, რომ ვთქვათ **პოსტსაბჭოთა სივრცეში მოდერნიზაციად მხოლოდ გასაზოგადოება შეიძლება ჩაითვალოს.** ამ გარემოების იგნორირება კი ავტომატურად ანომიმდე მიგვიყვანს...

მოდერნიზაცია საქართველოს მთავრობას თავისებურად ესმის: 1. საყოველთაო ინგლისურის ცოდნა წერა-კითხვის უცოდინრობის დაძლევადა აქვთ წარმოდგენილი. 2. მრავალსართულიანი შენობების მშენებლობა - ურბანიზაციად. 3. ხელისუფლების დაბალ ეშელონებში კრუფციის აღმოფხვრა - “Good Governance“. 4. მართვის ტრანსპარენტულობა - პოლიციის გამჭვირვალე შენობებად...

ამავე დროს მოდერნიზაციის ისეთი ნიშნები, როგორც საბაზრო და სოციალური ეკონომიკა, სამართლებრივი სახელმწიფო, მოქალაქეთა პოლიტიკური თანამონაწილეობა სახელმწიფოს მართვის პროცესში და სოციალური სამართლიანობა ადგილს ვერ პოულობენ.

მოკლედ რომ ვთქვათ, სოციალური პოლარიზაცია ბევრად უფრო გაღრმავდა ვიდრე შევარდნაძის დროს.

მთავრობის თვალსაწიერიდან მოსახლეობა ორად იყოფა „თანამედროვენი“ და “ჩამორჩენილები“. მაგრამ უნდა ითქვას, რომ

ბენეფიციარული სისტემის პირობებში „თანამედროვენი“ საგრძნობ უმცირესობას წარმოადგენენ.

მთავრობა ხალხს დასცილდა და ვირტუალური კომუნიკაცია და ვირტუალური რეალობა აირჩია. ავტორიტარული და ვირტუალური კომუნიკაცია კი მოდერნიზაციისათვის დამახასიათებელ მოსახლეობასთან უშუალო სიახლოვეს გამორიცხავს. უნდა ითქვას, რომ თანამედროვეობა ვირტუალური კომუნიკაციის მაგალითად ბერლუშკონის მმართველობის სტილს მიიჩნევს.

აღსანიშნავია ისიც, რომ საბჭოთა კავშირის დაცემის შემდეგ, საქართველოს სამივე პრეზიდენტი მეტ ნაკლები წარმატებით ქვეყნის ავტორიტარული მმართველობის სტილს ირჩევს.

ერთი სიტყვით, „დამოუკიდებლობის“ ოცი წლის შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში და განსაკუთრებით კი უკანასკნელი 8 წლის მანძილზე დეკლარირებული რეფორმებისა და მრავალმხრივი განვითარების მიუხედავად საქართველოში ჯერაც არ არსებობს ეკონომიკურად დამოუკიდებელ მოქალაქეთა ფენა. ვერ შეიქმნა ეროვნული ბურჟუაზიის ჩანასახიც კი. სხვა სიტყვებით საქართველომ პოსტსაბჭოთა სივრცეში „უბიწოდ“ შეინახა თავი გამარჯვებული „დასავლური“ სისტემის გავლენისა და მისი დამკვიდრებისგან თავის ტერიტორიაზე.

კერძოდ კი ალოღიალურ თავისუფლებებს ისევ ებრძვიან ახლა უკვე სტალინის დროს მიღებული ფიზიკური ანგარიშსწორებისაგან ბევრად განსხვავებული, თანამედროვე მეთოდებით. ეს უპირველეს ყოვლისა პიროვნების აბსოლუტური იგნორირება, მისი ეკონომიკური იზოლირება და ეკონომიკური განადგურებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ინდივიდი რჩება ყოველგვარი თვითრეალიზების საშუალების გარეშე. ეს კი უცილობლად სოციალურ დეგრადაციას, სოციალურ სიკვდილს იწვევს.

განსაკუთრებულად ნიშანდობლივია მთავრობის შიდა პოლიტიკა, რაც ფაქტობრივად რუსეთის შიდა პოლიტიკის ანალოგს წარმოადგენს. მთავრობის მიერ დეკლარირებულ დასავლურ ღირებულებებს უპირველეს ყოვლისა მართვის დემოკრატიულ მოდელში უნდა ეპოვათ გამოხატვა. ეს კი ეწინააღმდეგება მმართველობის დამკვიდრებულ ავტორიტარულ, ერთპიროვნულ, თვითნებურ და ერთპარტიულ სტილს. „დემოკრატიზაცია“ ბოლშევიზმის საუკეთესო ტრადიციებში იდეოლოგიად და საკრალურ მიზნად იქნა გამოცხადებული. თუმცაღა დღევანდელი ქართული პოლიტიკური ელიტის მესვეურთ მხედველობიდან მარტივი ჭეშმარიტება რჩებად. კერძოდ კი ის გარემოება, რომ დემოკრატია იდეოლოგია არ არის.

ეს მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების საშუალებაა ბურჟუაზიული საზოგადოებების მიერ დამკვიდრებული სოციალური წესრიგის პირობებში.[38]

ჩვენის დრმა რწმენით, ქართველ ინტელექტუალთა კვლევის ძირითად საგანს იმ მიზეზების დადგენა და შესწავლა უნდა წარმოადგენდეს, რამაც განაპირობა საქართველოს სამივე პრეზიდენტის მიერ ავტორიტარული მმართველობის არჩევანი; საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების შესწავლა თანამედროვე სამყაროს დინამიკისა და განსაკუთრებით კი რუსეთის საზოგადოებრივი პრობლემატიკის ფონზე.

დაბოლოს არანაკლებ მნიშვნელოვანია ქართული რეალური სოციალური ვითარების გაანალიზება, რაც ერთმნიშვნელოვნად შეფასებულ უნდა იქნას როგორც დეზინტეგრაციის პროცესი და სოციალური ანომია.

ძირითადი კითხვა კი ალბათ ასე შეიძლება იყოს ფორმული-რეზული, რამ განაპირობა მოდერნიზაციის მქადაგებელი რეფორმატორი მთავრობის მიერ გასაზოგადოების პროცესის უგულვებელყოფა და შიში ეროვნული ბურჟუაზიის წინაშე?

დღევანდელი ინტელექტუალები კი გატაცებულნი არიან კამათით ნეოლიბერალიზმისა და სოციალ-დემოკრატიული ღირებულებების საქართველოში დამკვიდრების შესახებ. სამწუხაროა, რომ ისინი აბსოლუტურად უგულვებელყოფდნენ იმ ანბანურ ჭეშმარიტებას, რომ ევროპული სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია ლიბერალურ სახელმწიფოებში აღმოცენდა, ხოლო ნეოლიბერალიზმი კი welfare state ე.ი. განვითარებული სახელმწიფოების პრობლემებს ასახავს; რომ ორივე შემთხვევაში საფუძველი, შემოქმედებითი და აღმშენებლობითი ძალა სწორედ ბურჟუაზიული საზოგადოების მიერ დამყარებული სოციალური წესრიგის პირობებში დევს. ამრიგად ჩვენი ინტელექტუალებისათვის ეგზომ მომხიბვლელი ახალი ტერმინოლოგია, რომ ვისმართ, ორივე შემთხვევაში, ანუ საქართველოში სოციალური დემოკრატიისა თუ ნეოლიბერალიზმის მიხედვით საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოწყობის მცდელობა „ნეოლენინიზმი“ იქნება. ეს გზა კი აი უკვე ოცი წელია, რაც შეცდომად იქნა მიჩნეული...

ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ მოდერნიზების პოლიტიკა, რომელიც დემონსტრირებულად ტლანქად, სოციალური გრძნობების გათელვის ხარჯზე იწარმოება, განწირულია წარუმატებლობისათვის. მოსახლეობაში ჩნდება ეჭვი მოდერნიზების პოლიტიკის

პროგრესულობაში, რაც თავის გამოხატვას ამგვარი პოლიტიკის კრიტიკასა და მიზანშეწონილობის კითხვის ქვეშ დასმაში პოულობს.

საქართველოს შემთხვევაში მოდერნიზაციის პოლიტიკის კრახი უცილობლად გაამწვავებს არსებულ სოციალურ დეზინტეგრაციას, რაც დიდი ალბათობით რეგიონალური დეზინტეგრაციის პროცესის გაგრძობაში შეიძლება გამოვლინდეს.

## ლიტერატურა

### References:

1. Max Weber, *Wirtschaft und Gesellschaft: Grundriss der verstehender Soziologie*, Tübingen: J.B. Mohr (Paul Siebeck) 1922.
2. Norbert Elias, *Über den Prozess der Zivilisation, Soziogenetische und psychogenetische Untersuchungen*, Bd.1 *Wandlungen des Verhaltens in den weltlichen Oberschichten des Abendlandes*. Bd.2, *Wandlungen der Gesellschaft: Entwurf zu einer Theorie der Zivilisation*, Basel, Verlag Haus zum Falken, 1939.
3. ix. Talcott Parsons, *The Structure of Social Action*, New York: McGraw-Hill, 1937; ix. agreTve Talcott Parsons, *The System of Modern Societies*, Englewood Cliffs, New Jersey: Prentice-Hall, 1971
4. ix. Niclas Luhmann, *Soziale Systemhe: Grundriss einer allgemeiner Theorie*, Frankfurt/M: Suhrkamp, 1984.
5. David Lockwood, *Sozialintegration und Systemintegration*, krebulSi: Peter Imbusch, Wilhelm Heitmeyer, (Hrg), *Integration – Desintegration. Ein Reader zur Ordnungsproblematik moderner Gesellschaften. ciklidan: Analysen zu gesellschaftlicher Integration und Desintegration*. Wiesbaden 2008, gv. 36.
6. Jurgen Frierdrichs, Wolfgang Jagodzinski, *Theorien sozialer Integration*, krebulSi: Peter Imbusch, Wilhelm Heitmeyer (Hrg) *Integration - Desintegration, ein Reader zur Ordnungsproblematik moderner Gesellschaften*, Wiesbaden, 2008, gv.. 95.
7. Michael Opielka, *Gemeinschaft in Gesellschaft, Soziologie nach Hegel und Parsons*, 2 gadamuSavebuli gamocema, Wiesbaden, 2006, gv. 105-106
8. Caterina Herold, *Individuum und Gesellschaft*, Norbert Elias und Max Weber im Vergleich, Studienarbeit, Nordestedt, 2007.
9. Lothar Gall, *Gemeinde und Staat in der politischen Theorie des frühen 19. Jahrhunderts*, krebulSi Peter Blicke (Hrg), *Theorien kommunaler Ordnung in Europa*, seriidan: Schriften des Historischen Kollegs (36), München, 1996, gv. 63-74.
10. Ralf Dahrendorf, *Der moderne soziale Konflikt*, krebulSi: Peter Imbusch, Wilhelm Heitmeyer (Hrg) *Integration Desintegration, ein Reader zur Ordnungsproblematik moderner Gesellschaften*, Wiesbaden, 2008, gv. 355.

11. Ralf Dahrendorf, Der moderne soziale Konflikt, Essay zur Politik der Freiheit, krebulSi: Peter Imbusch, Wilhelm Heitmeyer (Hrg) Integration Desintegration, ein Reader zur Ordnungsproblematik moderner Gesellschaften, Wiesbaden, 2008, gv. 354; 360.
12. Emile Durkheim, De la division du travail social: Etude sur l'organisation des societes superieures, Paris, Felix- Alkan, 1893; Émile Durkheim, Le Suicide: Etude de sociologie, Paris, Felix-Alcan, 1897.
13. Jurgen Frierdrichs, Wolfgang Jagodzinski, Theorien sozialer Integration, krebulSi: Peter Imbusch, Wilhelm Heitmeyer (Hrg) Integration Desintegration, ein Reader zur Ordnungsproblematik moderner Gesellschaften, Wiesbaden, 2008, gv. 105.
14. Wolfgang Reinhard, Geschichte der Staatgewalt. Eine vergleichende Verfassungsgeschichte Europas von den Anfängen bis zur Gegenwart, München, 1999, S.S. 14-22.
15. ix. statia Allodium und Feodum, Staats-Lexikon oder Encyklopedie der Staatswissenschaften (Hrg. Carl von Rotteck & Carl Welcker), Bd. 1, Altona, 1834. gv. 468-492.
16. ix. Otto Bruner, statia Feudalismus, in: Otto Brunner, Werner Conze, Reinhard Koselleck (Hrg) Geschichtliche Grundbegriffe, Historisches Lexikon zur politisch-sozialen Sprache in Deutschland, Bd. 2, Stuttgart, 1998, gv. 337-350.
17. Marc Bloch, La societe feodale, vol. 3. Paris, 1939; Marc Bloch, Feodalite, Vassalite, Seigneurie: a propos de quelques travaux recents, krebulSi: Annales d'histoire economique et sociale, V. 3, Paris, 1931, ȝȝ. 246-260; Michael Borgolte, Otto Hinzes Lehre vom Feudalismus in kritischen Perspektiven des 20. Jahrhunderts krebulSi.; Nathaly Fryde, Pierre Monnet, Otto Gerhard Oexle (Hrg), Die Gegenwart des Feudalismus, Göttingen, 2002, gv.. 247-270;
18. Ferdinand Tönnies, Gemeinschaft und Gesellschaft, Abhandlung des Communismus und des Sozialismus als Empirischer Culturformen, Leipzig, 1887, gv. 289-303.
19. Chris Wickham, The Uniqueness of the East krebulSi.: Feudalism and Non-European Societies, T.J. Byres und H. Mukhia (Hrg), London, 1985, ȝȝ. 187
20. Novalis, Werke in einem Band, H. J. Mähl, R. Samuel (Hrg.), Wien, 1984, gv. 444
21. Guram Tevzadze, Ideologie und Kommentar im Mittelalterischen Georgien, (10.-12. Jahrhundert) krebulSi: Der Kommentar in Antike und Mittelalter, neue Beiträge zu seiner Erforschung, Bd. 2. Leiden, 2004. ȝȝ. 163-177
22. bizantiis social-ekonomikuri sistemisaTvis ix. Carl Eduard Zachariä von Lingenthal, Zur Geschichte des römischen Grundeigentums krebulSi: Zeitschrift der Savigny-Stiftung für Rechtgeschichte, E.I. Bekker, A. Pernice, R. Schröder, H. Brunner. (Hrg). Bd. 9, (22), Weimar, 1888, gv. 261-285; Warren Treadgold, A

History of a Byzantine State and Society, Stanford, 1997, gv 103-149; 371-417; 667-709; Eleutheria Papagianni, Byzantine Legislation on Economic Activity Relative to Social Class, krebulSi: Angeliki E. Laiou (Hrg), The economic History of Byzantium from the seventh through the fifteenth Century, Bd. 3. Washington, 2002, gv. 1083-193; Peter Frankopan, Land and Power in the Middle and Later Period, krebulSi: John F. Haldon (Hrg) The Social History of Byzantium, Chichester, 2009, ზვ. 112-143; John Haldon, Social Elites, Wealth and Power, iqve, gv. 168-212.

23. ix. oTar lorTqifaniZe, samefo miwismflobelobis Sesaxeb antikuri xanis iberiaSi, saqarTvelos mecnierebaTa akademiis „moambe“ t.21. № 6, Tb. 1958, gv. 759-766, anri bogveraZe, qarTlis adrefeodaluri sazogadoebrivi urTierTobebis istoriidan, Tb. 1961, gv. 42-70; mariam lorTqifaniZe, miwaTmflobelobis formebis sakiTxisaTvis 9-10 saukuneebis saqarTveloSi, krebulSi: masalebi saqarTvelosa da kavkasiis istoriisaTvis, nakv. 34. Tb. 1962, gv. 3-23; Шюра Мехия Города и городской строй средневековой Грузии в 17-18 вв. Тб. 1959; Мамука Думбадзе, Вассалитет в Грузии в 10-12 Веках, (кандидатская диссертация) Тб. 1982.

24. oTar lorTqifaniZe, samefo miwismflobelobis Sesaxeb antikuri xanis iberiaSi, saqarTvelos mecnierebaTa akademiis „moambe“ t.21. № 6, Tb. 1958, gv. 759-766

25. mxedvelobaSi gvaqvs alodialuri sakuTrebis ori forma e.w. bona adquistita da bona aviatica. SedarebisaTvis ix: Мамука Думбадзе, Вассалитет в Грузии в 10-12 Веках, (Кандидатская диссертация) Тб. 1982.

26. ix. platon ioseliani, sxovreba giorgi mecemetisa, Tb. 1936.

27. Michael Borgolte, Otto Hinzes Lehre vom Feudalismus in kritischen Perspektiven des 20. Jahrhunderts, krebulSi: Nathaly Fryde, Pierre Monnet, Otto Gerhard Oexle (Hrg), Die Gegenwart des Feudalismus, Göttingen, 2002, gv. 268.

28. ix. Н.А. Бердяев, Истоки и смысл русского коммунизма, М. 1990, ზვ 10. (pirveli gamocema londoni, 1937)

29. Г. Федотов, Святыя Древней Руси, Париж, 1931.

30. Guram Tevzadze, Ideologie und Kommentar im Mittelalterischen Georgien, (10.-12. Jahrhundert) krebulSi: Der Kommentar in Antike und Mittelalter, neue Beiträge zu seiner Erforschung, Bd. 2. Leiden, 2004. ზვ. 163-177

31. Н.А. Бердяев, Истоки и смысл русского коммунизма, М. 1990 ზვ. 14; 18-30.

32. Н.А. Бердяев, Истоки и смысл русского коммунизма, М. 1990 ზვ. 11-17

33. Otto Bruner, Artikel Feudalismus, krebulSi: Otto Bruner, Werner Conze, Reinhard Koselleck (Hrg) Geschichtliche Grundbegriffe, Historisches Lexikon zur politisch- sozialen Sprache in Deutschland, Bd. 2, Stuttgart, 1998, gv. 347.

34. pavle ingoroyva, giorgi merCule, TxzulebaTa krebuli 7 tomad, t. 2, Tb. 2009

35. Max Weber, Wirtschaft und Gesellschaft, Tübingen, 1922, gv. 21-22

36. Ferdinand Tönnies, Gemeinschaft und Gesellschaft, Abhandlung des Communismus und des Sozialismus als Empirischen Culturformen, Leipzig, 1887, gv. 289-303.
37. ix.: Н.А. Бердяев, Истоки и смысл русского коммунизма, М. 1990 gv. 79-83
38. Friedrich A. von Hayek, Die Verfassung der Freiheit, J.C.B.Mohr (Paul Siebeck), Tübingen, 1991, gv. 125-127

**David Paitschadse**

**Twenty years of “independence” (a problem of socialization in modern Georgia)**

### **Summary**

The article is an attempt of critical analysis of Georgian latest history for last 20 years, since the break-up of the USSR. Developing processes unambiguously are assessed as processes of political and social disintegration. On the basis of empirical look-out and comparative analysis, as well as using method of qualitative and quantitative generalization, this work endeavours to explain the reasons for the deficiency of socialization in modern Georgia.

**Keywords:** modern Georgia, independence, socialization, empirical look, comparative analysis, method of qualitative and quantitative generalization, anomie, mechanical solidarity, organic solidarity.

**Reviewer:** Professor Otar Kochoradze, Georgian Technical University

**დავით პაიჩაძე**

**Двадцать лет «независимости» (Проблема обобществления в современной Грузии)**

### **Резюме**

В статье предпринята попытка критического анализа новейшей истории Грузии, за последний 20 летний период, начиная с распада СССР. Происходящие процессы однозначно оцениваются как процессы политической и социальной дезинтеграции. На основе эмпирических наблюдений и сравнительного анализа, а так же, методом качественного и количественного обобщения в работе предпринята попытка объяснения причин дефицита процесса обобществления в современной Грузии.

**Ключевые слова:** современная Грузия, независимость, обобществление, эмпирические наблюдения, сравнительный анализ, метод качественного и количественного обобщения, аномия, механическая солидарность, органическая солидарность.

**Рецензент:** профессор Отар Кочорадзе. Грузинский технический университет.

### **ქეთევან მუხიბული ფიხტე ისტორიის შესახებ**

ფიხტე თავის ფილოსოფიაში იძლევა ისტორიულად წარმოქმნილი საზოგადოებრივი ფორმების ცვლილებათა ფილოსოფიურ ახსნას; ცდილობს ობიექტური, ადამიანის ცნობიერებისა და ნებისაგან დამოუკიდებელი ისტორიული პროცესის და ადამიანთა შეგნებული მღვაწეობის მორიგებას.

ისტორიის ფილოსოფიური გააზრების თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესო და საყურადღებოა მისი “თანამედროვე ეპოქის ძირითადი ნიშნები”. ფიხტემ ამ ნაშრომში შემოგვთავაზა ისტორიული პროცესის ორიგინალური პერიოდიზაცია; შეეცადა ფილოსოფიურად აეხსნა ისტორიულად წარმოქმნილი საზოგადოების სხვა საზოგადოებით შეცვლის პროცესი; დაეძლია წინააღმდეგობა, რომელიც თავს იჩენს ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებელ



ისტორიულ პროცესსა და ადამიანური მოქმედებით აღსავსე ისტორიულ პროცესს შორის. ფიხტემ საკუთარი ისტორიის ფილოსოფიის ქვაკუთხედად აქცია აუცილებლობისა და თავისუფლების ურთიერთმამართების საკითხი.

ფიხტე გადააწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ემპირიული ფაქტებისა და ცნობიერების ფაქტების ურთიერთგამიჯვნას. კაცობრიობის განვითარების საკითხის შესწავლისას, როგორც ფიხტე ფიქრობს, ემპირიკოსი იძლევა მხოლოდ “ეპოქის ქრონოლოგიას”, ხოლო ფილოსოფოსი ცდილობს “გადააქციოს ეს ქრონოლოგია ისტორიად”. ფილოსოფოსი “დაადგენს, რომ ცნება მოცემული ეპოქისა, როგორც ცნება, არ შეიძლება მოცემული იყოს რამე გამოცდილებაში. ფილოსოფოსი დაადგენს იმ საშუალებებს, რომლის მეშვეობითაც ეს ცნება გამომჟღავნდება გამოცდილებაში, როგორც მოცემული ეპოქის აუცილებელი მოვლენა. ამ კვლევაში ის ამომწურავად გამოიყვანდა მოვლენას შემეცნებიდან და აჩვენებდა, რომ მათი კავშირის აუცილებლობა გამომდინარეობს მათი საერთო ცნებიდან” [3.363].

ფიხტე დარწმუნებულია, რომ ფილოსოფოსი არ უნდა გადიოდეს გონების ფარგლებიდან, არ უნდა ითვალისწინებდეს არანაირ გამოცდილებას და საგნის მიმართ ”აპრიორის მდგომარეობში” უნდა დარჩეს. როგორც ვხედავთ, ფიხტესთვის, ისევე როგორც კანტისთვის, მიუღებელია ისტორიული პროცესის ემპირიული განხილვა. ისიც კანტივით თვლის, რომ ისტორია, თავისი ემპირიული შინაარსით, მხოლოდ მოვლენებისა და თარიღების ქრონოლოგიაა და “მოკლებულია თავისუფლების შესაძლებლობის აჩრდილსაც კი” [1. 273].

ფიხტე ამტკიცებს, რომ ერთიანი დროის რომელიმე ეპოქა “ბუნების ძირითადი ცნებაა”, მაგრამ უნდა განიხილებოდეს არა ცალკე, ერთიანი დროიდან ამოგლეჯილად, არამედ კავშირში ერთიან დროსთან. აქვე იგი ერთიანი დროის ცნებას განმარტავს, როგორც “მსოფლიო გეგმას, რომელიც სავსებით გასაგებია თავის ერთიანობაში და საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა ადამიანის მიწიერი ცხოვრების ძირითადი ეპოქების გამოყვანა და მათი ახსნა ერთმანეთთან კავშირში” [1. 365].

“მსოფლიო გეგმა” კაცობრიობის მიწიერი ცხოვრების ერთიანობის გეგმაა. ერთიანობის ცნება თავის თავში მოიცავს მიწიერი ცხოვრების ცალკეული ეპოქების გაგებას “მხოლოდ ერთმანეთთან კავშირში, სადაც ერთი გამომდინარეობს მეორისგან” [3. 364]. კაცობრიობის მიწიერი ცხოვრების ეპოქათა

განხილვისას ფიხტე მსჯელობს მხოლოდ თაობების განვითარებაზე. ინდივიდების განვითარებას ის არ ეხება.

მსოფლიო ისტორიის ერთიანობაში მთავარია მსოფლიო ისტორიის მიზანი – “კაცობრიობის მიწიერი ცხოვრების მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ დავადგინოთ ყველა ჩვენი ურთიერთობა თავისუფლად და გონების შესაბამისად”[3. 366]. ფიხტეს აზრით, “ეს თავისუფლება უნდა გამოიკვეთოს თაობის საერთო ცნებიდან და გამოძეგლდეს, როგორც ამ უკანასკნელის საკუთარი თავისუფლება”[3. 366]. კაცობრიობის მიწიერი ცხოვრების მიზანი გონების თავისუფლებაა. რეალურ ისტორიულ პროცესში ეს მიზანი აპრიორულია ჯერარსია. ამიტომ იგი რეგულატიური ანუ მომწესრიგებელი პრინციპია და ემპირიულად არასოდეს ხორციელდება სრული სახით

ისტორიის განვითარებას ფიხტე ჰყოფს ორ პერიოდად. პირველ პერიოდში “თაობა ცოცხლობს და არსებობს მაგრამ ჯერ არა აქვს აწყობილი ურთიერთობა თავისუფლად და გონების შესაბამისად. მეორე პერიოდში თაობა თავისუფლად ახორციელებს ამ გონებრივ მოწყობას

[3. 370]. სხვა სიტყვებით, ისტორია იყოფა თავისუფლებამდელ და თავისუფლების პერიოდებად. პირველ ეტაპზე გონება მოქმედებს, ოღონდ არა თავისუფლების, არამედ ბუნებრივი კანონის სახით. ამ დროს ის “ცნობიერებაში აღმოცენებულია საფუძვლების გააზრების გარეშე ... ბუნდოვან გრძნობაში”[3. 367]. ის “ბუნდოვანი ინსტინქტია“.

ფიხტე მეორე პერიოდს უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე პირველს, რადგან თუ პირველ პერიოდში “გონება მეუფეობს შიშველი ინსტინქტის მეშვეობით”, მეორე პერიოდში ის მეუფეობს “თავისუფლების მეშვეობით”. ერთი პერიოდიდან მეორეზე გადასვლის საშუალება ეგრეთ წოდებული “გონების მეცნიერებაა” (Vernunftwissenschaft). ფიხტე თვლის, რომ გონების მეცნიერების განხორციელება შესაძლებელია “მეცნიერებათა სწავლებაში” და მას მსოფლიო – ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ერთი პერიოდიდან მეორე პერიოდზე გადასასვლელად აუცილებელია შუალედური მდგომარეობა, როცა ხდება გონების ინსტინქტისაგან (გარეგანი ავტორიტეტისაგან) გათავისუფლება. კაცობრიობის ისტორია თანდათანობით მიემართება გონების ინსტინქტიდან გონების თავისუფლებისაკენ. ამ ორ ძირითად საფეხურს გარდა ფიხტე კიდევ რამდენიმე შუალედურ საფეხურს გამოჰყოფს და საბოლოოდ მსოფლიო ისტორიას ხუთ ეპოქად ჰყოფს:

კაცობრიობის მიწიერი ცხოვრების პირველ ეპოქაში ადამიანთა ურთიერთობები პირველყოფილია, მარტივი ინსტინქტების დონეზეა. მაგრამ ეს ინსტინქტები “გონივრულია”, რის გამოც ეს არის გონების ბატონობის ეპოქა; მეორე ეპოქაში კი გონება გადაიქცევა ავტორიტეტად: “პირველყოფილი უმანკოება სულისა ისშობა ცოდვიანობით. ისშობა გონების ინსტინქტიც. მხოლოდ რჩეულები ინარჩუნებენ მას, ინახავენ თავის თავში. შემდეგ მათ ხელში ეს უკანასკნელი იქცევა ძალაუფლებად, ავტორიტეტად, რომელიც დანარჩენებისაგან მოითხოვს ბრმა მორჩილებას. “ინდივიდუალური გონებრივი ინსტინქტის გადაქცევა ავტორიტეტად” არის “ის შუალედური საფეხური, რომელიც იკავებს ადგილს გონიერი ინსტინქტის ბატონობასა და მისგან გათავისუფლებულ ინსტინქტს შორის”. გონების ინსტინქტისაგან გათავისუფლების შემდეგ შესაძლებელი ხდება “გონების მეცნიერება”. ეს არის მესამე ეპოქა – გარდამავალი პერიოდი. დრო ავტორიტეტისაგან და ამასთანავე გონებისაგან განთავისუფლებისა, “უპირობო გულგრილობისა ყოველგვარი ჭეშმარიტებისადმი”, “აღვირახსნილობისა”. მესამე ეპოქაში კაცობრიობა წინ დგამს ნაბიჯს, რამდენადაც თავისუფლდება გარეგანი ავტორიტეტისაგან და ამკვიდრებს მე-ს პრინციპს, თვითობას. სწორედ ამას ვხედავთ ახალი დროის დასაწყისში – გონების თავისუფლების ბეკონისეულ და კარტეზიანულ პრინციპებში. ადამიანმა არაფერი არ უნდა მიიღოს, რაც თვითონ მისთვის, კერძოდ, მისი გონებისათვის არაა ნათელი და ცხადი. ჭეშმარიტების ერთადერთ კრიტერიუმად ამოსავალი გონებისეული წესების სიმარტივე და თავისთავადი სიცხდეა აღიარებული. მაგრამ, მეორე მხრივ, ადამიანმა დაკარგა ზნეობრივი კანონი. ის არ აღმოჩნდა მთლად გასაგები ცნობიერებისათვის. ამიტომ დაისადგურა ეგოსიტური ინდივიდის სრულმა თვითნებობამ. ფიხტე ამას უწოდებს დასრულებული ცოდვიანობის მდგომარეობას.

ფიხტესთან კაცობრიობის მიწიერი ცხოვრების განვითარების გზა უბრუნდება საწყის საფეხურს, ოღონდ – გამდიდრებული შინაარსით. მოიხაზება განვითარების თავისებური წრე. ისტორიული პროცესის განვითარების ეს წრიული ფორმა ნიშნავს საწყის პოზიციაზე დაბრუნებას, მაგრამ – ახალ სიმაღლეზე. საწყის მდგომარეობაზე დაბრუნება იმის ნიშანია, რომ ეტაპები სწორად იყო განვლილი.

ფიხტესთან კაცობრიობის ისტორიული განვითარება ტელეოლოგიური ხასიათისაა. მისი ყოველი წინა ეპოქა მომდევნოს მიზეზია. “კაცობრიობამ თავისი პირველსაწყისი უმანკოება გახარჯა.

მაგრამ აქ მთავარია, არა “რატომ”, არამედ “რისთვის”. ეს “რისთვის” არის ისტორიის საბოლოო მიზანი, რომლის გაგებაც, ფიხტეს თანახმად, არის ისტორიული განვითარების თითოეული ცალკეული ეტაპის შემეცნების პირობა”[2. 232].

კაცობრიობის განვითარების ეტაპების ფიხტესეული დახასიათებიდან ჩანს, რომ ისტორია ხორციელდება მეორე, მესამე და მეოთხე ეპოქებში. პირველ ეპოქაში ისტორია ჯერ არ დაწყებულია, მეხუთეში ის უკვე დასრულებულია. ლოგიკურად დგება საკითხი: თუ მეხუთე ეპოქაში კაცობრიობა აღწევს მიზანს, ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ისტორია მთავრდება? ამის პასუხად უნდა ითქვას, რომ ფიხტეს მიერ მოყვანილი სქემა იდეალური კონსტრუქციაა, და შექმნილია ემპირიული პროცესის გასაგებად. თავად ფიხტე კი თავის თხზულებაში ერთმნიშვნელოვნად განმარტავს, რომ ისტორიული მიზნის მიღწევა, გონების იდეალის განხორციელება რაღაც სასრულო დროში შეუძლებელია. ეს მიზანი მიიღწევა, ესე იგი გონების იდეალი განხორციელდება მხოლოდ უსასრულო პროცესში.

## ლიტერატურა

### References:

1. Асмус В.Ф Проблема необходимости и свободы в истории Фихте. Москва. том 2. 1971
2. Гайденок П.П. Философия Фихте и современность, Москва «Мысль» 1991
3. И. Г. Фихте – Основные черты современной эпохи, Соч.в двух томах, том 2 (сост. и примечания В.В.Волжского) Спб, «Мифрл» 1993

## Ketevan Mukhiguli Fichte about History

### Summary

In his philosophy Fichte puts forward a philosophical explanation of the transformation of historically created societal forms while trying to reconcile objective, independent from human consciousness and will, historical process with human conscious activity.

From the standpoint of philosophically thought history his “Characteristics of the Present Age” are especially interesting and worth paying attention. In this work

Fichte introduced the original chronology of historical process; attempted philosophical explanation of the substitution process of historically emerged society for another one; tried to overcome a contradiction taking place between the historical process independent from human will and the one full of human activity. Fichte made the issue of interaction between necessity and freedom a cornerstone of his philosophy of history.

Fichte deems decisive the distinction between empirical facts and the facts of consciousness. In the course of studying the issue of mankind development as Fichte thought, the empiricist puts forward only “the chronology of age” while philosopher tries “to transform chronology into history”. A philosopher “ascertains that a concept of given age as a concept cannot be present in any experience. A philosopher identifies those means through which this concept reveals itself in experience as a necessary occurrence of given age. In this research he would thoroughly derive the occurrence from cognition and show that the necessity of their connectedness stems from their generic concept.” [3.363]

Fichte is confident that a philosopher should not leave the confines of the mind, should not take into account any experience and should stay in the “a priori state” with regard to an object. As is seen for Fichte like for Kant, an empirical consideration of historical process is unacceptable. Like Kant he thinks that the history with its empirical content is only a chronology of occurrences and dates and is “deprived of even an appearance of the possibility of freedom.” [1. 273]

Fichte argues that any single age of unified time is “a major concept of nature”; however, it should be considered not separately, taken out of the unified time, but as linked with the unified time. He here defines the concept of unified time as “universal plan entirely intelligible in its unity from which it would be possible to derive the main ages of mundane human life and explain them in their interconnectedness.” [1. 365]

A “universal plan” is a plan for the unity of mankind’s mundane life. The concept of unity includes in itself the understanding of separate ages of mundane life “only in their interconnectedness where one derives from another.” [3. 364] While considering the ages of mankind’s mundane life Fichte is reasoning only about the development of generations, he does not deal with the development of individuals.

In the unity of world history the main thing is the goal of world history – “The goal of mankind’s mundane life is to ascertain all our relations freely and according to reason.” [3. 366] According to Fichte, “This freedom should be crystallized from the generic concept of generation and revealed as the own freedom of the latter.” [3. 366] The goal of mankind’s mundane life is the freedom of mind. Within the real historical process this goal is a priori primordial essence.

Therefore, it is a regulatory that is an organizing principle and is never fully empirically implemented.

Fichte divides history development into two periods. In the first period “the generation lives and exists but yet to arrange relation freely and according to mind. In the second period the generation freely implements this intellectual arrangement“. [3. 370] In other words, the history is divided into pre-free and free periods. On the first stage the reason acts not in the form of freedom but as a natural law. “At this time it is “emerged in the consciousness without cognizing the foundations ... within the vague feeling.” [3. 367] “It is dubious instinct.”

Fichte assigns higher significance to the second rather than first period because while in the first period the “the reason governs with the naked instinct” in the second period it governs “with the freedom”. The means for transition from the first to the second period is a so called “science of reason.” (Vernunftwissenschaft). Fichte reckons that the fulfillment of the science of reason is possible through “teachings of sciences” and that it has world-historical significance. In order to transition from one period to another the intervening state is necessary when the liberation of reason from instinct (external authority) occurs. The history of mankind gradually moves from the instinct of reason to the freedom of reason. Apart from these two main stages Fichte singles out yet several other intervening stages and finally divides the world history into five ages:

In the first age of mundane life of mankind the human relations are prehistoric, at the level of simple instincts but these instincts are “intelligible” due to which this is the age of the dominance of reason; in the second age the reason transforms into authority: “The primordial spiritual innocence is subdued by sinfulness. The instinct of reason is subdued too. Only selected few keep it, preserve in themselves.” In their hands the latter then transforms into power, authority, demanding blind obedience from others. “The transformation of individual instinct of reason into authority” is “such an intervening stage that occupies a place between the dominance of intelligible instinct and the instinct freed from it.” After the liberation of reason from instinct “the science of reason” is becoming possible. This is a third age – transitional period, a time of the liberation from authority as well as from reason, of “unconditional indifference towards any truth”, and of “uncontrolled arbitrariness”. In the third age the mankind steps forward as long as is liberated from external authority and ascertains the principle of Ego, self-being. This is exactly what is seen at the beginning of new times – in the Baconian and Cartesian principles of the freedom of reason. A human must not accept anything that is not clear and vivid for himself, and particularly, for his reason. The simplicity and self-evidence of initial rules of reason are recognized as the only criterion for truth. However, on the other hand, a human lost the moral law. It didn't prove entirely intelligible for consciousness. Therefore, a total arbitrariness

of egotistic individual took a foothold. Fichte calls it a state of completed sinfulness.

With Fichte, mankind's mundane life development path returns back to initial stage, however, with enriched content. A sort of development circle is being drawn. This circular shape of historical development process means a return to the initial position - but at new altitude. Returning back to initial state is a sign that the stages have been passed correctly.

With Fichte, mankind's historical development has a teleological character. Each of his previous ages is a cause for the next. "The mankind has expended its primordial innocence. However, what is important here is not "why" but "what for". This "what for" is an ultimate goal of history understanding of which – according to Fichte – is a precondition for cognizing every single stage of historical development." [2. 232]

It is seen from Fichte's characterization of mankind's development stages that history is being accomplished in second, third, and fourth ages. In the first age the history has not started yet, in the fifth – it is already completed. The question arises logically: if in the fifth age the mankind achieved the goal does that mean the history is completed? In order to provide the answer it ought to be said that the scheme put forward by Fichte is an ideal construction designed to understand the empirical process. In his work Fichte himself unequivocally explains that it is impossible to achieve the historical goal, the fulfillment of the ideal of reason in some finite time. This goal is being achieved, that is, the ideal of reason fulfilled only through indefinite process.

**Keywords:** Fichte, Philosophy of history, "Characteristics of the Present Age", Teachings of Sciences, Wissenschaftslehre, Doctrine of Science, Vernunftwissenschaft, freedom of mind

**Reviewer:** Professor Zurab Khasaia, Georgian Technical University

**Кетеван Мухигули**  
**Фихте об истории**

### **Резюме**

Фихте в своей философии даёт философскую оценку историческим изменениям общественных форм; старается сопоставить объективное

человеческое сознание и волю и независимые исторические процессы и осознанную деятельность людей.

Особого интереса с точки зрения философской осознанности заслуживает его работа «Основные черты современной эпохи». В этом произведении он предлагает оригинальную периодизацию исторических процессов; постарался дать объяснение процессу смены одного исторического преобразования общества другим. Преодолеть препятствия которые возникают в ходе исторических процессов независимых от человеческой воли и исторических процессов происходящих в связи с непосредственной деятельностью человека.

В центре философии Фихте ставится вопрос соотношения между необходимостью и свободой.

Фихте придаёт особое значение различию эмпирических фактов от фактов сознания. Он утверждает, что при изучении истории эмпирик даёт только «хронологию эпохи» а философ старается превратить «эту хронологию в историю». Философ «установил бы что независимо от всякого опыта понятие данной эпохи, которое, как понятие, не может быть дано ни в каком опыте и представил бы те способы, посредством которых это понятие проявляется в опыте, в качестве необходимых явлений данной эпохи; в этом выяснении он вывел бы исчерпывающим образом явления из понятия, показав, как необходимость их взаимной связи вытекает из их общего понятия» [3.363].

Фихте убеждён в том что философ не должен выходить за пределы разума, учитывать опыт в отношении предмета и оставаться в «отношении a priori»

Для Фихте, как и для Канта, неприемлемо эмпирическое обсуждение исторического процесса. Он тоже считает, что история в своём эмпирическом содержании представляет собой исключительно хронологию дат и фактов и «лишена даже тени возможностисвободы»[1. 273].

Фихте утверждает, что определённая эпоха единного времени «основное понятие природы», которе должно изучаться не раздельно а вместе с единым временем. Здесь же он даёт определение понятия «единое время» как «мировой план, который был бы вполне постижим в своём единстве и из которого можно было бы полностью вывести главные эпохи человеческой земной жизни и выяснить их происхождение и связь друг с другом». [3. 365].

«Мировой план» это совокупный план земной жизни человечества. Понятие совокупности включает в себе понятие отдельных эпох земной жизни только в непосредственной связи друг с другом «в котором каждый член обуславливается предыдущим» [3. 365]. При обсуждении эпох земной жизни человечества Фихте рассуждает только о развитии рода человеческого и при этом он не касается развития индивидов.



В совокупности мировой истории главное - «цель земной жизни человечества заключается в том, чтобы установить в этой жизни все свои отношения свободно и сообразно с разумом» [3. 366]. По его мнению «эта свобода должна выражаться в общем сознании рода и проявляться, как собственная свобода последнего» [3. 366]. Цель земной жизни человечества это «свобода разума». В реальном историческом процессе эта цель априорна, поэтому она является регулятивным и упорядочивающим принципом, который эмпирически никогда не осуществляется полностью.

Фихте делит на два периода историческое развитие человечества. В первый период «когда род живёт и существует ещё не устроив своих отношений свободно и сообразно разуму и второй, когда он свободно осуществляет это разумное устройство» [3. 370]. Другими словами он делит историю на периоды «до свободы» и «свободы». На первом этапе разум действует не через свободу а по законам природы. В это время «он действует, как естественный закон и естественная сила; таким образом он проявляется и действительно обнаруживается в сознании, но без разумения оснований, то есть в смутном чувстве ..... смутном инстинкте» [3. 367].

Фихте большее значение придаёт второму периоду. Поскольку в первый период «разум царствует через голый инстинкт», а во втором периоде он царствует «через свободу». Переход из одного периода в другой происходит посредством «науки разума» (Vernunftwissenschaft). Фихте уверен в том, что осуществление «науки разума» возможно только в «Наукоучении» которое имеет историческое значение.

Для перехода из одного периода в другой необходимо переходное положение, когда происходит освобождение от «инстинкта разума» (внешнего авторитета). История человечества постепенно возвышается от «инстинкта разума» к «свободе разума». Кроме основных периодов Фихте выделяет пять эпох истории человечества: В первую эпоху отношения между людьми первобытные на уровне простых инстинктов но эти инстинкты «разумные», поэтому эта эпоха – «господства разума».

Во вторую эпоху разум превращается в авторитет. Первобытная невинность заглушается грешностью, заглушается и инстинкт разума, только избранные сохраняют его в себе, который впоследствии превращается в авторитет и требует слепого повиновения от остальных. «Индивидуальное превращение инстинкта разума в авторитет» и есть та самая «промежуточная ступень, которая занимает место между господством инстинкта разума и освобожденным от него инстинктом».

После освобождения инстинкта разума становится возможной «наука разума». Это и есть третья эпоха - переходный период. «Это время освобождения от авторитета и в то же время от разума. Эпоха абсолютного

равнодушия ко всякой истине и полной разнуданности» [3.376]. В третью эпоху человечество делает шаг вперёд, освобождается от внешнего авторитета и учреждает принцип «Я», саммость.

Человек не должен принимать ничего, что является для него непонятым. Единственным критерием истины воспринимается простота правил мышления и самобытная ясность. Но с другой стороны человек потерял свой «закон нравственности» и над ним восторжествовали полная самовольность эгоистического индивида. Фихте называет это положением «законченной греховности».

Согласно Фихте, путь развития земной жизни человечества возвращается к исходной ступени но с обогатённым содержанием. Образуется своеобразный круг. Круговая форма развития исторических процессов символизирует возвращение к исходной позиции, но уже на другом уровне развития. А возвращение к исходной точке знак того, что все этапы пройдены правильно.

Фихте придаёт историческому развитию человечества телеологический характер. Для него каждая предыдущая эпоха является причиной следующей. Человечество утратило своё первоначальное состояние невинности не «почему» а «для чего» - конечная цель истории, понимание которой по Фихте является условием познания каждого отдельного этапа исторического развития» [2. 232].

В этой проблеме выполнению мониторинга изменений химического состава природных сред придается огромное значение. При этом осуществление указанного мониторинга возможно путем проведения, согласованного в пространстве и во времени, комплексного экологического мониторинга объектов окружающей природной среды (атмосфера, почва, подземные и поверхностные воды).

Согласно рекомендациям Всемирной Метеорологической Организации, наилучшие условия для высококачественного выполнения указанного мониторинга существуют на территориях биологических заповедников.

Таким образом, становится ясным, что экологический мониторинг в биологических заповедниках Грузии, в современных условиях, представляет собой первостепенную и наиважную государственную проблему, который значительно будет способствовать решению и международной экологической проблемы.

**Ключевые слова:** комплексный экологический мониторинг, инвестиционная среда

**Рецензент:** Тенгиз Цинцадзе, доктор технических наук, директор Гидрометеорологического института Грузинского технического университета.



**Bela Goderdzishvili**  
**RE-engineering of business processes**

Business engineering covers all activities necessary for independent business development and support. The aim of business engineering is formation of new future-oriented forms of business. It is connected with existing or created demands. Business engineering has tight connection with future technologies. Talking in general Business engineering unites whole new business organization with long-term business environment.

In Belgium universities offer academic programs in business engineering. Above mentioned studies unites management, business administration, finances, economics, mathematics, science and technologies; also computer sciences as well as social sciences (ethics and law) and foreign languages. Business process contains 2 elements: business and process. Business processes are logically connected actions, which transforms before out coming or incoming results.

Modern business technologies are highly dynamic and connected with permanently changeable demands of the market, orientation of individual demands of clients and customers, continuous improvement of technical abilities and hard competition.

In this circumstances in entrepreneurial management accent is divided between management of separate resources to organization of dynamic process.

Management of business processes is aimed at good quality service towards customers. Herewith all material, financial and informational streams of business management are considered in interaction.

Management of business processes started during Total Quality management and continuous process of improvement. It implies transparent management of business processes as one and whole, which is implemented by connected sub-divisions of the enterprise, for example before the client's order.

It is advisable to consider management of business processes on the level of interaction of different enterprises, when in streams of logistical processes and commodity circulation the coordination of partnership enterprises are demanded.

Logistics originated supply organizational methods due to just in time principals, the realization of above mentioned is inconceivable from management of business processes as undividable one. Enterprises separate the following as main business-processes:

- Main activities of enterprises – production output and consumer services and commodity circulation and logistic processes
- Coming out from position of satisfaction demands of potential consumer and, planning of entrepreneurial activities, strategic planning of manufacture, constructional and technological preparation of manufacture (projecting and engineering).
- Infrastructural processes, which are oriented on support of able-bodied resources (preparing and training of human resources, maintenance and buy in of supplies, Social and cultural services of enterprise workers).

Achievements in informational technologies revolutionized in management of business management and the latter gives opportunity of implementation of engineering and re-engineering.

The aim of business engineering is modeling of whole system and simplification of organizational structure, distribution and usage of different resources and their minimization, reduction of terms necessary for implementation of client's demands, reorganization of material, financial and informational streams aimed at service quality improvement.

Engineering of business processes covers re-engineering of business processes, which is held during determined periods, for example once in 5 or 7 years and in a way of adapting them to continuous improvement of business processes.

For companies that have high quality of business diversification and different partnerships re-engineering of business processes guarantees the implementation of the following issues:

- Determination of optimal sequence of fulfilled functions, which causes to reduction of length of cycle of client's services, commodity and service sell and

preparation. Above mentioned causes rise of capital circulation and rise of all economic indexes of the firm;

- Optimization of resources usage in different business processes which causes minimization of expenses of ebb and flow and production and ensuring of optimal combination of different activities;

- Constructing of adapting business processes, is aimed at fast adaptation of market competition, entrepreneurial technologies, changeable demands of final usage of product and though to client service quality rise in dynamic terms of unknown environment;

- Defining of rational schemes of clients and partners interaction and a result of that growth of income and optimization of financial flows.

Peculiarity of business processes for which re-engineering is held:

- Service and commodity diversification causing diversity of business processes ( orienting on different segments of the market);

- Working on individual orders, which demands high quality of adaptation to market business processes ;

- Inculcation of new technologies (innovative projects) , which concerns all main business processes of the enterprise;

- Diversity of operative connections with enterprise partners and material suppliers, which guarantee alternatively construction of business processes;

- Non-rationality of organizational structures, mess of rotation of different documents caused by operation of duplication of business processes.

Re-engineering of business processes is implemented on the basis using of engineering methods and joint efforts of consulting firms and teams of specialists of the company and also using modern instrumental programs.

Main terms for successful re-engineering of business processes are:

1. Right understanding of the issue by the management of the company and their devotion towards the aims of the re-engineering and the control form the senior management;

2. Motivation of employees of the company, aimed at growth, widening of the activities of the firm, strengthening of personnel authority and creativity of the working process;

3. Right management of company activities, with the help of consultants and implementation of BPR;

4. Methodological basis for implementation of BPR, using the experience gained from consulting organizations and re-organization of the enterprise and also from usage of modern informational technologies.

## **literatura**

## **References:**

1. b. anderseni. "biznes-procesebi (srulyofis instrumentebi)". moskovi, 2003.
2. u. samadaSvili. biznesis safuZvlebi .Tb.2005
3. g. SublaZe. biznesis safuZvlebi, damxmare saxelmZRvanelo, Tb. 2000.
4. A Praqtical Guide To Business Process Re-Engineering, Make Robson and Philip Ullah. 2002

## **ბელა გოდერძიშვილი** **ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგი**

### **რეზიუმე**

ბიზნეს-ინჟინერინგი მოიცავს ყველა ქმედებებს, რომლებიც საჭიროა დამოუკიდებელი ბიზნესის განვითარებისათვის და მხარდაჭერისათვის. ბიზნეს-ინჟინერინგის მიზანია ახალი, მომავლისაკენ ორიენტირებული ბიზნესის ფორმების დაფუძნება (შექმნა). ის დაკავშირებულია არსებულ ან წარმოშობილ მოთხოვნებთან. ბიზნეს-ინჟინერინგი აერთიანებს მთლიანად ახალ ბიზნეს ორგანიზაციას პერსპექტიულ ბიზნეს გარემოში.

ბიზნეს-პროცესების ინჟინირინგი მოიცავს:

- 1) ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგს, რომელიც ტარდება განსაზღვრული პერიოდით, მაგალითად, 5-7 წელიწადში ერთხელ;
- 2) ბიზნეს-პროცესების შემდგომ განუწყვეტლივ გაუმჯობესებას ცვალებად გარემო პირობებთან მათი ადაპტაციის გზით.

**საკვანძო სიტყვები:** ბიზნეს-პროცესები, ინჟინერინგი, რეინჟინირინგი

ადაპტაცია

**რეცენზენტი:** პროფესორი ევგენი ბარათაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**Белла Годердзишвили**  
**Реинжиниринг бизнес-процессов**

### Резюме

Инжиниринг бизнес-процесов это: 1) реинжиниринг бизнес-процесов, который проводится в определенный период. На пример раз в 5-7 лет. 2) непрерывное улучшение бизнес-процесов в условиях окружающей среды, которая постоянно меняется.

Инжиниринг бизнес-процесов содержит в себя все действия, которые требуются для развития независимого бизнеса.

**Ключевые слова:** бизнес-процессы, инжиниринг, реинжиниринг, адаптация.

**Рецензент:** профессор Евгений Бараташвили. Грузинский технический университет.

# ს ა ზ ო ბ ა დ ო ე ბ ა

## ნანა ბამყრელიძე

**ინტერსუბიექტურობა, სუბიექტურობა და სოციალური უაქტორი**

**შესავალი:** ინტერსუბიექტურობა ლათინური სიტყვაა, რომელიც ორი კომპონენტისაგან შედგება: inter- შორის და Subjekt- პერსონა, ინდივიდი, მსახიობი და ა.შ. ინტერსუბიექტურობა ფართო გაგებით ფილოსოფიური კატეგორიაა და გულისხმობს სოციუმის მიერ მიმდინარე მოვლენების არსის კოლექტიურ აღქმას, იდენტიფიკაციას, ანალიზს, შეფასებას, აზრთა თანხვედრას ან განსხვავებას. სოციუმში თავის მხრივ ვგულისხმობ საერთო ნიშნების მქონე ერთმანეთთან დაკავშირებულ სუბიექტთა გაერთიანებას, რომელშიც ინდივიდის როლი ენის ფორმირებისა და ტრანფორმირების პროცესში დიდია. ენა ადამიანმა - სუბიექტმა შექმნა სოციუმში, ამდენად ენა, სუბიექტი და სოციუმი ურთიერთგანპირობებული ცნებებია. სოციუმის განვითარების დონე პირდაპირპროპორციულად

აისახება ენის განვითარების დონეზე, რადგან ენის განვითარებას განაპირობებს სოციუმის წევრი და ამ ენაზე მოლაპარაკეთი თითოეული სუბიექტი. ნაშრომის მიზანია ინტერსუბიექტურობის არსის დადგენა მასში სოციალური ფაქტორის გათვალისწინებით.

**ძირითადი ტექსტი:** ინტერსუბიექტურობის ცნების კვლევა სოციალურ მეცნიერებათა მუდმივი კვლევის საგანს წარმოადგენს. კვლევა განსაკუთრებით საინტერესოა, თუ მასში გაავითვალისწინებთ სოციალურ ფაქტორს, რადგან ინტერსუბიექტურობა თავისთავად სოციალური და თანაზიარია იმ სოციუმთან რომელშიც იმყოფება სუბიექტი ანუ თითოეული ჩვენგანი.

გერმანელმა ფილოსოფოს-იდეალისტმა ედმუნდ ჰუსერლიმ ჯერ კიდევ მე -20 საუკუნის პირველ ნახევარში დააფუძნა ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგიის მოძღვრება და შექმნა თეორია აბსოლუტური “მე” – ს შესახებ. მან ფენომენოლოგიის ცენტრში მოაქცია სუბიექტი, სუბიექტურობა და ფენომენოლოგიას, როგორც მოძღვრებას “ტრანსცენდენტალური “ეგი” – ს სახე მისცა. იგი “ეგი” – ს აღიქვამდა მთელი ჩვენი აზროვნების საფუძველად, თუმცა ცხადია არ უარყოფდა გარესამყაროს არსებობას. იგი მთლიანად იყო ფოკუსირებული სუბიექტურობაზე ცნობიერების ფარგლებში, ანუ ტრანსცენდენტალურ ეგოზე და ტრანსცენდენტალურ ფენომენოლოგიაზე [1-გვ.10-19].

ჰუსერლის ფენომენოლოგიამ საფუძველი ჩაუყარა შუთცის თეორიას. საყურადღებოა, რომ ორივე მოაზროვნე ორიენტირებული იყო სუბიექტურობაზე: ჰუსერლი ცნობიერების ფარგლებში, ხოლო შუთცი სოციალურ სამყაროში. თუმცა მნიშვნელოვნად მიმანია იმის ხაზგასმა, რომ შუთცისათვის ჰუსერლისაგან განსხვავებით ამოსავალი პრინციპი იყო ინტერსუბიექტურობა. მას შესაძლებლად მიაჩნდა ფენომენოლოგიურ-ფსიქოლოგიური ხიდის გადება “ეგო“-სა და “ალტერეგო“-ს შორის. შუთცისათვის ჩვენი გარემომცველი სამყარო ინტერსუბიექტურია. ცოდნა რომელსაც ვფლობთ ინტერსუბიექტური და თანაზიარია. მისი დიალექტიკის ამოსავალი პრინციპია: “მე დავიბადე სამყაროში, რომელიც არ არის ჩემი შექმნილი, მაგრამ მე მას ვიყოფ სხვა ადამიანებთან, ამიტომ ცოდნა, რომელსაც მე ვფლობ ინტერსუბიექტური და სოციალურია”. ცოდნის ინტერსუბიექტურობას შუთცი სამი კრიტერიუმით ასაბუთებდა:

1. ცოდნა ინტერსუბიექტურია, რადგან იგი თანაზიარია. ობიექტი არსებობს ჩვენს გარემომცველ სამყაროში და ის ნაცნობია სოციუმის ყველა წევრისათვის.

2. ცოდნა ინტერსუბიექტურია, რადგან მისი წარმომავლობა თავისთავად ინტერსუბიექტური. ჩვენ ცხოვრების მანძილზე ვქმნით ცოდნის ძალიან მცირე ნაწილს. ძირითადი ნაწილი კი არსებობს გაზიარებულ ცოდნაში და ის გადაეცემა სოციალური ინტერაქციით.

3. ცოდნა ინტერსუბიექტურია, რადგან არსებობს ცოდნის სოციალური დისტრიბუცია. ეს კი ნიშნავს, რომ ცოდნის რაოდენობა და ხარისხი, რომელსაც ადამიანები ფლობენ იცვლება იმის მიხედვით თუ რა პოზიცია უჭირავთ მათ სოციალურ სტრუქტურაში [2 გვ.111 – 164].

ნაშრომის ფარგლებში მართებულად მიმჩნია ერთმანეთისაგან გაემიჯნო ინტერსუბიექტურობა და სუბიექტურობა. სუბიექტურში კლასიკური გაგებით იგულისხმება მოვლენების არა საზოგადოებრივ-კოლექტიური შეფასება, არამედ მხოლოდ ერთი სუბიექტის ჭრილში ერთი ინდივიდის სუბიექტისეული შემეცნებითი აღქმა.

ცხადია ინტერსუბიექტურობა და ინტერსუბიექტური მიმართებები უნდა განვასხვავოთ ობიექტურობისაგან და ობიექტური მიმართებებისაგან. საყურადღებოა, რომ ნებისმიერი ობიექტური ფაქტი, მოვლენა და ქმედება ექვემდებარება მტკიცებას, მიუხედავად იმ გარემო ფაქტორებისა და კონტექსტუალური სიტუაციისა, რომელშიც იგი მიმდინარებს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელო მათემატიკური და ლოგიკური აქსიომები, ჭეშმარიტებები და მოცემულობები [3. გვ. 176].

ინტერსუბიექტურობის ცნება სხვადასხვაგვარადაა ინტერპრეტირებული ფილოსოფიაში, სოციოლოგიაში, ლინგვისტიკაში, ეთიკაში, პოლიტიკურ მეცნიერებებში. თითოეული მათგანის დეტალური აღწერა არ წარმოადგენს ნაშრომის მიზანს, თუმცა მნიშვნელოვანი ამ კუთხით ის საერთო დეფინიციაა, რომლის თანახმადაც ყველა ზემოხსენებულ მეცნიერებაში ინტერსუბიექტურობა განმარტებულია, როგორც დამოკიდებულება, მიმართება სოციუმის წევრ სუბიექტებს შორის, რომელსაც საფუძვლად კონკრეტული ენობრივი კოლექტივის ეროვნულ მსოფლხედვაზე დაფუძნებული გამოცდილება, პოზიცია, შეფასება და თვალსაზრისი უდევს.

სუბიექტთა ამგვარი გამოცდილებისა და პოზიციის შესწავლას ემსახურება როგორც პოლიტიკურ-სოციოლოგიური და ლინგვისტიკური მეცნიერებები, ისე ეთიკურ-რიტორიკული და მსჯელობა-დისკურსის თეორიები.

ინტერსუბიექტურობისა და ინტერსუბიექტური მიმართებების ცნება ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა მუდმივი

კვლევის, კამათისა და მსჯელობის საგანია. აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალურია, როდესაც საუბარია კომუნიკაციის პროცესში სამეტყველო დისკურსში მიმდინარე დადებით, უარყოფით ან ნეიტრალურ ენობრივ შეფასებაზე, რასაც ეროვნულ-მსოფლხედვითი, ეთნოკულტუროლოგიური და კულტურულ-მორალური კრიტერიუმები განსაზღვრავს. ცხადია, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია კონკრეტული კულტურის ან სუბკულტურისთვის თვისობრივი ინდივიდუალური მენტალური მარკერები [4. გვ.29-51].

ინტერსუბიექტურობა, რომელსაც სუბიექტის ან სუბიექტების ინდივიდუალური პოზიცია, მათი სუბიექტისეული შეფასება და ემოცია უდევს საფუძვლად, არ უნდა გაგვივივოთ ეგოცენტრიზმთან, რომლის ამოსავალი და საყრდენი პრინციპი კონკრეტული სუბიექტი და ე.წ. „მე“- ფაქტორია. ინტერსუბიექტურობისა და ეგოცენტრიზმის მკვეთრი გამოიჯანა აუცილებელია, რადგან ეგოცენტრიზმის შემთხვევაში მიმდინარე მოვლენების შეფასების ეპიცენტრში დგას ერთი კონკრეტული სუბიექტი, შემეცნებისა და აღმის მხოლოდ მისთვის თვისობრივი, ინდივიდუალური კრიტერიუმებით. აქ სახეზეა ობიექტური რეალობის ვიწრო სუბიექტისეული შეფასება მხოლოდ „მე“-ს პოზიციიდან. შეიძლება ითქვას, რომ ეგოცენტრიზმი ინტერსუბიექტური მიმართებებისათვის ერთგვარ ხელის შემშლელ ფაქტორსაც კი წარმოადგენს, რადგან მხოლოდ ინტერსუბიექტურად გაზიარებულ მოსაზრებები წარმოადგენენ თანამედროვე დისკურსის თეორიის ამოსავალ წერტილს, რაც წარმატებული და ეფექტური კომუნიკაციის საწინდარია [5. გვ. 215-217].

**დასკვნა:** ინტერსუბიექტური მიმართებები, რომლის საყრდენი ბაზა ინტერსუბიექტურობაა, თავის მხრივ წარმოადგენს სხვადასხვა სოციუმის, განსხვავებული ეთნო-კულტურის, მსოფლხედვის, სუბიექტთა უნივერსალური და ინდივიდუალური ცნობიერების ფორმის ერთგვარ გამოცდილებასა და სინთეზს. იგი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვერბალურად რეალიზდება ერთ-ერთ სუბკულტურაზე დაყრდნობით და ადამიანებს შორის ურთიერთობის, ცოდნის გაზიარების, ინფორმაციის გაცვლის, გამოცდილების გადაცემის, სოციალური ინტერაქციის, ფონური ცოდნის შენახვა-გაზიარების უნივერსალური ფორმაა. მნიშვნელოვანია, რომ მოცემულ გამოცდილებას სოციუმის წარმომადგენლები კომუნიკაციის პროცესში უზიარებენ ერთმანეთს. სწორედ ეს პროცესი განაპირობებს და უზრუნველყოფს ენობრივი ნიშნების ადეკვატურ აღქმას, კომუნიკანტთა განსხვავებული კომუნიკაციური



ინტენციის წარმატებულ რეალიზებას სხვადასხვა სოციუმის წარმომადგენელ ინდივიდებს შორის.

## ლიტერატურა

### References:

1. Husserl, E. Ideen zu einer reinen Phänomenologie und transzendenten Methode. I. Teil. Den Haag, 1937. S. 1-19
2. Schutz, A. Der sinnhafte Aufbau der sozialen Welt. Berlin 1967. S. 111 - 164
3. Tsvasman, Leon: Intersubjektivität, in Tsvasman, L. (Hrsg.) Das große Lexikon Medien und Kommunikation. Kompendium interdisziplinärer Konzepte. Würzburg, 2006, S. 176
4. Kim, J. Philosophie des Geistes. Für eine klare Darstellung und Diskussion. Wien-New-York: Springer, 1998, S. 29-51
5. Davidson, Donald: Subjektiv, intersubjektiv, objektiv, Frankfurt am Main: Suhrkamp, 2004, ISBN 3-518-58388-5 S. 215-217

## Nana Gamkrelidze

### Intersubjectivity, subjectivity and the social factor

#### Summary

Intersubjectivity in a broad sense is a philosophic category and means collective perception of current event, identification, the analysis, an estimation, coincidence or distinction of thoughts of society. Research of intersubjectivity is especially interesting if in process of research to include a social factor. Intersubjectivity relations which basis is intersubjectivity, represents a certain experience universal and individual forms consciousness of the subject different social origin, ethno-cultures and world outlook (Weltanschauung).

**Keywords:** Intersubjectivity, subjectivity, objectivity, society, a social factor, transcendental phenomenology, consciousness, the social world, alter ego, egocentrism.

**Reviewer:** Professor Rusudan Tabukashvili, Georgian Technical University

**ნანა გამკრელიძე**

**Интерсубъективность, субъективность и социальный фактор**

### **Резюме**

Интерсубъективность в широком смысле является философической категорией и подразумевает коллективное восприятие событий, идентификацию, анализ, оценку, совпадение или различие мыслей социума. Исследование интерсубъективности особенно интересно если в процессе исследования включить социальный фактор. Интерсубъективные отношения базой которой является интерсубъективность, представляет собой некий опыт универсального и индивидуального формы сознания субъектов разных социальных происхождения, этно-культуры и мировоззрения.

**Ключевые слова:** Интерсубъективность, субъективность, объективность, социум, социальный фактор, трансцендентальная феноменология, сознание, социальный мир, альтерго, эгоцентризм.

**Рецензент:** профессор Русудан Табукашвили. Грузинский технический университет.

### **მარი ბანძელაძე**

**PR ტექნოლოგიები, ევმეტური მარკეტინგის - საზოგადოებაში  
და ბაზარზე სწორი ორიენტაციის საშუალება**

საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებული ადგილი უკავია სამიზნე ჯგუფებთან, მომხმარებელთან სწორი კომუნიკაციის დამყარების პროცესს. პრაქტიკამ არაერთხელ უჩვენა, რომ პარმონიული განვითარება და სარფიანი ბიზნესი ბევრად და მოკიდებული საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციების ტექნოლოგიების ხარისხზე. აი რატომ თვლიან მარკეტინგს, როგორც საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესის ერთიან სისტემას წარმატების ტექნოლოგიად, რომელსაც აუცილებლად უნდა ფლობდეს ის, ვინც ფუნქციონირებს რთულ, მუდმივად ცვლად სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ დღეს მარკეტინგი ყველგანაა - ყოველდღურ ცხოვრებაში ცალკეული ადამიანებიც და ორგანიზაციებიც ახორციელებენ მრავალ ისეთ მოქმედებას, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს მარკეტინგულ ღონისძიებებად. ცნობილი ამერიკელი მარკეტოლოგი **Ф. Котлер** ამტკიცებს, რომ „მარკეტინგის მეთოდთა შეიძლება გამოიყენონ ექიმებმა, იურისტებმა, სამეცნიერო მუშაკებმა, პოლიტიკოსებმა, სახელმწიფო ორგანიზაციებმა - ყველამ ვისაც სურს რეალიზება გაუკეთოს არამარტო თავის პროდუქციას, არამედ იდეებს, შეხედულებებს, პროგრამებს... ყველას უნდა შეეძლოს გაიგოს თავისი მომხმარებლის, კლიენტის, პაციენტის, ამომრჩეველის მოთხოვნები და დააკმაყოფილოს ისინი“.

მარკეტინგულ კომუნიაციებში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია **Marketing Mix-ის** სტრატეგიას:

მარკეტინგული მიქსი - ესაა პროდუქტის, დისტრიბუციის, პრომოუშენისა და ფასების სტრატეგიის საუკეთესო ნაკრები (4 P-ს სტრატეგია), რომელიც იქმნება სამიზნე ჯუფთან ურთიერთმოძებებიანი კავშირების დასამყარებლად.

პროდუქტის სტრატეგია - „პირველი P“ ესაა პროდუქტის სტრატეგიის და შეთავაზების საწყისი წერტილი. წარმოუდგენელია დაადგინო ფასი, შეიმუშაო პრომოუშენის სტრატეგია და გაყიდვების ფორმები, თუ არ ვიცით რა პროდუქტზე გვაქვს საუბარი.

გარდა უშუალოდ პროდუქტისა, პროდუქტის ცნება მოიცავს ასევე შეფუთვას, გაყიდვების შემდგომ სერვისს, ბრენდის სახელს, კომპანიის იმიჯს, გარანტიას, ფასეულობას კლიენტისთვის და მრავალ სხვა ფაქტორს. გასათვალისწინებელია, რომ კლიენტი აფასებს და ყიდულობს კონკრეტულ პროდუქტს არა მხოლოდ მისი დანიშნულების გამო, არამედ იმის მიხედვითაც თუ რას ნიშნავს მისთვის ეს პროდუქტი.

ადგილის (დისტრიბუციის) სტრატეგია - „მეორე P“ დამოკიდებულია პროდუქტის მახასიათებლებზე და შესაძლებლობებზე - თუ როდის და სად დაჭირდება ის კლიენტს. ამ სტრატეგიის მიზანი არის სწორად განისაზღვროს პროდუქტის ან მომსახურების მომხმარებლისთვის მიწოდების დრო და ადგილი, რათა მისი შექმნა და გამოყენება საჭირო და დროული იყოს.

პრომოუშენის სტრატეგია - „მესამე P“ გულისხმობს რეკლამას, საზოგადოებასთან ურთიერთობას, გაყიდვების პრომოუშენს და პერსონალური გაყიდვებს. პრომოუშენის როლი მარკეტინგ მიქსში არის მიაღწიოს გაცვლის პროცესის მიმართ ორივე მხარის

კმაყოფილებას - ეს ხორციელდება მომხმარებლის ინფორმირებით და მოცემული პროდუქტის ან მომსახურების უპირატესობების შესახებ.

ფასის სტრატეგია - „მეოთხე P“ - ფასი არის ის, რაც უნდა გადაიხადოს მყიდველმა პროდუქტის შესაძენად. მარკეტინგ მიქსის ეს კომპონენტი არის ყველაზე ადვილად და სწრაფად ცვლადი - ფასის გაზრდა ან შემცირება უფრო ადვილია სიტუაციის და გარემოების შესაბამისად, ვიდრე მარკეტინგ მიქსის სხვა კომპონენტების.

ფასი არის კონკურენციის მნიშვნელოვანი იარაღი და დიდად მნიშვნელოვანი ბიზნესისთვის - იმდენად რამდენადაც მასზე მთლიანად არის დამოკიდებული შემოსავლები და მოგება.

მარკეტინგის ერთ-ერთ უცხოურ სახელმძღვანელოში, მოცემულია სურათი რომელზეც დახატულია მინდორი ჯუნგლებში, რომელზეც აბორიგენები დასდევენ ერთმანეთს ფულით და საქონლით ხელში. სწორედ ამ პროცესს არის შედარებული მარკეტინგი - ბიზნესის ჯუნგლეში არის სავაჭრო მინდორი, რომელზეც მომხმარებლები და მწარმოებლები დასდევენ ერთმანეთს. მათი თანხვედრა მთელ რიგ შემთხვევაში ორივე მხარის კმაყოფილებით მთავრდება, თუმცა არის შემთხვევები და არცთუ ისე იშვიათად, როდესაც მომხმარებელიც და გამყიდველიც იმედგაცრუებული რჩება. აი სწორედ ამ დროს საჭიროა, ჯადოქარი ე.წ. მაგი, რომელიც ჯადოსნობის მეშვეობით მოაგვარებს ამ ორ მხარეს შორის სიტუაციას. სწორედ ამ ჯადოქრად გვევლინება მარკეტინგი და PR ტექნოლოგიები, რომლის მიზანიცაა მიაღწიოს შეთანხმებას მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის.

ამ ყველაფერს კი მარკეტინგი მისი ძირითადი ფუნქციების თანმიმდევრული და სრულფასოვანი შესრულებით ახერხებს.

### **მარკეტინგის ფუნქციები**

მარკეტინგის პროცესის უკეთ დაგეგმვისა და განხორციელებისათვის, აუცილებლად უნდა ვიცოდეთ მარკეტინგის ძირითადი ფუნქციები.

**1. მარკეტინგის ანალიტიკური ფუნქცია** თავის მხრივ შედგება ორი ქვეფუნქციისაგან: ბაზრის კომპლექსური კვლევისა და კომპანიის შიდა გარემოს ანალიზისგან.

#### **ბაზრის კომპლექსური კვლევა მოიცავს:**

- სასაქონლო კვლევა;
- მომხმარებლის და მოთხოვნის შესწავლას;
- კონკურენტების საქმიანობის შესწავლას;

- ბაზრის კონუნქტურის პროგნოზირებას;

მარკეტინგის, ანალიტიკური ფუნქციის მეორე მნიშვნელოვანი ქვეფუნქციაა **კომპანიის შიდა გარემოს ანალიზი**; გამოკვლევებმა უჩვენა, რომ ის კომპანიები გაცილებით დიდ წარმატებებს აღწევენ, ვისი თანამშრომლებიც თვითნებურად სამსახურებით კმაყოფილები არიან - ამ მოსაზრების მიმდევრები თვლიან, რომ როდესაც დასაქმებულები არიან ბედნიერ, მითუმეტეს ბედნიერები არიან მომხმარებლები.

- 2. მარკეტინგის საწარმო-პროდუქტიული ფუნქცია** გულისხმობს:
- რეკომენდაციების შემუშავებას პროდუქტების ასორტიმენტის შექმნისა თვალსაზრისით;
  - პროდუქტის კონკურენტუნარიანობის დონის მაჩვენებლების მოდელირებას;

**3. მარკეტინგის გაყიდვების ფუნქცია**

მას შემდეგ რაც პროდუქტი წარმოებულია და ხვდება ბაზარზე, ამის შემდეგ მარკეტინგის ფუნქცია ხდება მისი ეფექტური გაყიდვა - გასაღება.

რეალურად, მარკეტინგის გაყიდვების ფუნქციის რეალიზებისას საბოლოოდ მოწმდება პროდუქტი და აშკარა ხდება, რამდენად ხარისხიანად იქნა შესრულებული მარკეტინგის ანალიტიკური და საწარმო-პროდუქტიული ფუნქციები.

**4. მარკეტინგის ორგანიზაციული ფუნქცია**

მარკეტინგული საქმიანობის დაწყებამდე აუცილებელია განისაზღვროს რის მარკეტინგთან გვაქ საქმე:

თავდაპირველად მარკეტინგი გაიგებოდა, როგორც ფიზიკური პროდუქტის გაყიდვის საშუალება, დღესდღეობით მარკეტინგი გამოიყენება ყველაფრის მიმართ, რისი გაყიდვაც შეიძლება.

მარკეტინგის ყველა და განსაკუთრებით გაყიდვები ფუნქციაში, მნიშვნელოვან როლს ასრულებს - **მომხმარებლებთან კომუნიკაციის პროცესი**.

დღემდე არსებული მარკეტინგული კომუნიკაციის ფორმებად მიჩნეულია:

- **რეკლამა** - მას განიხილავენ, როგორც ბიზნესში ინფორმაციის გადაცემის ერთ-ერთი საშუალება. რეკლამამ უნდა მოახდინოს მომხმარებლის ინფორმირება, ხოლო იმისთვის, რომ შეასრულოს თავისი ძირითადი დანიშნულება, რეკლამა ცდილობს მოძებნოს კლიენტის მოზიდვის საშუალებები და შემდეგ უკვე მთავროს პოტენციური მომხმარებელი.

• **საზოგადოებრივი ურთიერთობები;** ესაა მარკეტინგული კომუნიკაციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფორმა. მას სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ, კერძოდ კი ესაა:

- დაგეგმილი, განგრძობითი ძალისხმევა, რომელიც მიმართულია ორგანიზაციასა და საზოგადოებრიობას შორის კეთლგანწყობის შესაქმნელად ან მხარდასაჭერად;

- ტენდენციების ანალიზის მეცნიერება და ხელოვნება, პროგნოზირების და მის საფუძველზე როგორც ორგანიზაციის, ასევე საზოგადოებრიობის ინტერესების სასარგებლოდ მოქმედების გეგმის შემუშავება;

- მართვის ფუნქცია, რომელსაც შეუძლია საზოგადოებასა და ორგანიზაციას შორის ურთერთთანამშრომლობის და ურთიერთგაგების ჩამოყალიბება და ამ ურთიერთობის მხარდაჭერის სტიმულირება;

- სრულ სიმართლესა და ინფორმირებულობაზე დაფუძნებული პარმონიის მიღწევის მეცნიერება და ხელოვნება;

აღსანიშნავია, რომ რა განმარტებაც უნდა მიეცეს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, მისი მთავარი ამოცანაა ბიზნესისთვის, ორგანიზაციისთვის ან უბრალოდ მოვლენისთვის სასურველი, დადებითი იმიჯის შექმნა და მხარდაჭრა.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობების შინაარსს სხვადასხვანაირად განმარტავენ, შეგვიძლია გამოვყოთ ამ საქმიანობის ძირითადი შემადგენელი ელემენტები:

**პროპაგანდა** (იგივე პაბლისიტი), რასაც ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემაში; ესაა კონკრეტულ პროდუქტზე ან კომპანიაზე მოთხოვნის სტიმულირება მათზე მნიშვნელოვანი ინფორმაციების გავრცელებით ყველა იმ შესაძლო საინფორმაციო წყაროში, რომელიც მიღწევადია სამიზნე ჯგუფამდე.

**სპონსორობა** (იგივე სპონსორინგი) - ესაა დაინტერესებული კომპანიის მიერ ცნობილი ადამიანებისთვის ან საქმიანობის ცალკეული სფეროების წარმომადგენლებისთვის გადაცემული ფულადი სახსრები, რომელიც ემსახურება ამ კომპანიის საერთო მარკეტინგული მიზნების გატარებას. რეალურად სპონსორობა რეკლამის ერთ-ერთი სახეა, რომლის მიზანია დაუკავშიროს კონკრეტული კომპანიის სახელი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილ ან საყვარელ სფეროს და ადამიანებს;

**საფირმო სტილის შექმნა**, როგორ წესი მოიცავს - საფირმო ნიშანს (რაც განასხვავებს ამ ფირმის პროდუქციას სხვა ფირმისგან);

ლოგოტიპს; საფირმო ბლოკს (რაც აერთიანებს საფირმო ნიშანს და ლოგოტიპს); საფირმო ლოზუნგს (იგივე სლოგანს); საფირმო ფერს; საფირმო შრიფტებს; საფირმო კონსტანტებს (რომელიც მოიცავს ტექსტების ჩაწერის განსაზღვრულ ფორმატს და ილუსტრაციებს); უნდა აღინიშნოს, რომ ხანდახან საფირმო სტილი მოიცავს გრძნობის სხვადასხვა ორგანოებზე ზემოქმედ საშუალებებსაც - არომატებს, ჰიმნს, ტანსაცმელს და ა.შ.

ზემოთხამოთვლილი ელემენტების გარდა, საზოგადოებასთან ურთიერთობა ხშირად მოიცავს კომპანიის ხელმძღვანელ პირებთან **ინტერვიუებს, ღია კარის დღეებს, პრეს-კონფერენციებს, საიუბილეო ღონისძიებებს** და ა.შ.

- **გაყიდვების სტიმულირება** არის მარკეტინგული კომუნიკაციების ერთ-ერთი ფორმა, რომლის დანიშნულებაც, გარდა ინფორმირებისა, არის გაყიდვების ზრდის სტიმულირება. გაყიდვების სტიმულირების ღონისძიებები მიმართულია მომხმარებელზე, შუამავალ რგოლებზე და კომპანიის სავაჭრო პერსონალზე

- **პერსონალური გაყიდვები** - არის უშუალოდ მომხმარებლისთვის პროდუქციის მიყიდვის პროცესი. მარკეტინგული კომუნიკაციის ეს ფორმა გულისხმობს გაყიდვების აგენტების პირდაპირ კონტაქტს მყიდველთან.

პერსონალური გაყიდვები ხორციელდება მყიდველსა და გამყიდველს შორის პირადი კონტაქტის საფუძველზე, რაც გარდა გაყიდვებისა იწვევს მათ შორის გრძელვადიანი და მყარი ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

### **მარკეტინგის და PR-ს მნიშვნელობა**

როგორც დავინახეთ, PR ტექნოლოგიები მარკეტინგული კომუნიკაციების სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი შემადგენელი რგოლია - **PR საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელშეწყობაა**, იგი მიზნობრივ აუდიტორიასთან ხელსაყრელი ურთიერთობების დამყარებას გულისხმობს, რაც მარკეტინგული საქმიანობის მთავარი მიზანი და დანიშნულებაა.

კონკრეტული ბიზნესის ან სტრუქტურის საქმიანობაში, მარკეტინგი და საზოგადოებრივი ურთიერთობები შეიძლება თამაშობდეს განსხვავებულ როლებს, თუმცა ყველა შესაძლო სიატუაციაში ამ საქმიანობის განხორციელების რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზეზი არსებობს: თამაშობს მნიშვნელოვან როლს საზოგადოებაში, მნიშვნელოვანია ბიზნესებისთვის, გავლენას ახდენს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

ისინი, ვინც საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ მარკეტინგის და საზოგადოებრივი ურთიერთობების აუცილებლობაში აღიარებენ, რომ ესაა მთელი ჩვენი ცხოვრება! თუ ჩვენ გვინდა ვიყოთ ადექვატურები ესე იგი მარკეტინგი საჭიროა ყოველ ნაბიჯზე!

აქედან დასკვნა: მარკეტინგი აუცილებელია ბიზნესისთვის, მაგრამ მნიშვნელოვანია ყველასთვის!

## ლიტერატურა

### References:

1. saqarTvelos marketingis asociacia - marketingis terminTa inglisur-qarTuli ganmartebiTi leqsikoni. Tbilisi 2005 w.
2. Ф. Котлер, Л. Келлер – Маркетинг Менеджмент, изд. ПИТЕР – Москва 2009г.
3. Голубков Е.П. - Маркетинговые исследования: теория, методология и практика, Изд. «Финпресс» Москва 1998.
4. Андреева О.Д. Зайцев Л.Г. - Маркетинг и стратегический менеджмент, Модульная серия «Экономист-международник», Бизнес-курс МВА.
5. Андреева О. Д. - Технология бизнеса: маркетинг, "Инфра-М-Норма", М.: 1997 г.
6. Маджаро С. - Международный маркетинг. М.: Международные отношения, 1979 г.
7. Сэндидж Ч. Фрайбургер В. Ротуолл К. - Реклама: теория и практика. М.: Прогресс, 1989 г.
8. Дейян Арм. - Реклама. Сер. "Деловая Франция". М.: Прогресс, 1993 г.
9. Drucker P. - The Practice of Management. N.Y.: Harper and Row, 1954.
10. Brown N., Wilbour B., Mathews J. - Problems in Marketing. N.Y., 1961.
11. Kotler Ph. - Marketing for Nonprofit Organization. N.Y., 1975
12. Levitt Th. - The Marketing Mode. Pathway to Corporate Growth. N.Y., 1969.
13. Handbook for Marketing Machinery. L, 1970.
14. Journal of Marketing. 1962. January.
15. An Overview of Marketing - World of Marketing

### Mary Bandzeladze

**PR technologies, the means of effective marketing – right orientation in the society and at the market**

### Summary

Under market economy conditions special place is taken by the process of strengthening of right communication with target groups, consumer, that is united in the united marketing system.



Famous American marketing specialist F. Kotler confirms that “marketing technique can be used by physicians, lawyers, scientists, politicians, state organizations – everybody that not only desires to sell its production, but also to realize its ideas, views, programs... everyone should be able to conceive the requirements of its customers, clients, patients, voters and to satisfy them”.

Marketing process is compared with “business jungles”, in which consumers and producers chase for each other. Their agreement in the large variety of cases tends to both parties’ entertainment, however there are cases when both the customer, and the producer remain disappointed. In this case so-called magician is necessary, who will settle the situation between two parties by means of the wizard. Marketing and PR technologies are just those magicians, aim of which is the achievement of consensus between producer and customer.

In the marketing’s function a key role is played by the process of communication with the consumer, in which leading position is taken by public relations as an important form of marketing communication.

**Keywords:** PR technologies, marketing, public relations, marketing communication

**Reviewer:** Professor Taniel Rekhviashvili, Georgian Technical University

**Мари Бадзеладзе**

**PR технологии, средство эффективного маркетинга-правильной ориентации в обществе и на рынке**

**Резюме**

В условиях рыночной экономики особое место занимает процесс укрепления правильной коммуникации с целевыми группами, потребителем, что объединяется в единую систему маркетинга.

Известный американский маркетолог Ф. Котлер утверждает, что «методику маркетинга могут использовать врачи, юристы, научные работники, политики, государственные организации – все, кто желает реализовать не только свою продукцию, но и идеи, взгляды, программы... каждый должен уметь понять потребности своих потребителей, клиентов, пациентов, избирателей и удовлетворить их».

Процесс маркетинга сравнивают с «джунглями бизнеса», в которых потребители и производители гонятся друг за другом. Их согласование в целом ряде случаев заканчивается к удовольствию обеих сторон, впрочем есть случаи, когда как потребитель, так и продавец остаются разочарованными. В таком случае необходим т.н. маг, который с помощью волшебства урегулирует ситуацию, возникшую между двумя сторонами. Именно таким вот волшебником является маркетинг и PR технологии, целью которых является достижение согласия между производителем и потребителем.

В функциях маркетинга важную роль играет процесс коммуникации с потребителем, в котором ведущее место занимают именно общественные отношения, как важная форма маркетинговой коммуникации.

**Ключевые слова:** PR технологии, маркетинг, общественные отношения, маркетинговой коммуникации

**Рецензент:** профессор Тариел Рехвиашвили. Грузинский технический университет.

კახაბერი ჩინჩალაძე  
ანტონიშვილი აკაკი

გარესამყაროს ობიექტებსა და მოვლენებს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებები ადამიანის მიერ დაპირისპირებულად აღიქმება; ზოგიერთი სახის დაპირისპირებები ენაში ანტონიმის სახით აღიქმება. ლექსიკური ანტონიმები (ბერძნ. ანტი “წინააღმდეგ”, ონიმა “სახელი”) ეწოდება ერთნაირი სემანტიკური ვალენტობის მქონე ერთი და იმავე სტრუქტურული კლასის წევრ ლექსემებს, რომელთა მნიშვნელობები დაპირისპირებულია ერთმანეთთან[1], [2], [3].

ანტონიმია ენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სემანტიკური კატეგორიაა, რომლის თავისებურება მთელი რიგი სამეცნიერო შრომების საკვლევ საგანს წარმოადგენს. განსაზღვრება "სემანტიკური" უტყუარი მანვენებელია იმისა, რომ ანტონიმია ენობრივი ფენომენია და აქედან გამომდინარე ის დგინდება მხოლოდ და მხოლოდ ენის დონეზე ენობრივი ელემენტების შინაარსობრივ მონაცემთა დაპირისპირების საფუძველზე. ანტონიმიური მიმართების დასაფიქსირებლად აუცილებელია ობიექტურ რეალობასთან სრულ შესატყვისობაში მოცემული საერთო საწყისის არსებობა, რომელიც წარმოდგენილ უნდა იქნეს ანტონიმიური წყვილის სემანტიკურ სტრუქტურაში ერთი საერთო სემით. ანტონიმთა რიგებიდან გამოირიცხება ის ელემენტები, რომელთა დაპირისპირების საფუძველს შეადგენს რეალობის ურთიერთგანსხვავებული და არა ერთმანეთთან უკუმიმართებულობით დაკავშირებული მოვლენები. ასეთებად მიიჩნევენ ე.წ. ლექსიკურ ერთეულთა წყვილებს, როგორცაა: დღე-ღამე, ჩრდილოეთი-სამხრეთი, წიწვნარი-ფოთლოვანი და სხვა მისთანანი.

ანტონიმის მოვლენა თავისი რაობით სრულად შეესაბამება ენის საყოველთაოდ აღიარებულ განსაზღვრებას, როგორც ორგანიზებული სისტემისა, ორგანიზებული მთლიანობისა, რომლის ელემენტები ურთიერთმიმართებულსა და ურთიერთგანპირობებულობას ავლენენ. ეს მიმართებები წარმოდგენილია ხშირად ენობრივ ერთეულთა ურთიერთდაპირისპირების სახით, რომელიც "ღრმად იჭრება ენაში და ენის ლექსიკური სისტემის კუთვნილებას წარმოადგენს". ამ სახით მიმართებებს განსაკუთრებული ადგილი უკავია სხვა ლექსიკურ-სემანტიკურ მიმართებებს შორის და ასახვას პოულობს ენობრივი კავშირების საერთო თეორიაში, რომლებიც "ითვალისწინებენ შინაარსისა და გამოხატვის პლანის სხვადასხვა თანაფარდობებს".

ანტონიმის არსის სრულყოფილად გახსნისათვის აუცილებელია პირველ რიგში თვით "დაპირისპირებულობის" ცნების უზუსტესი ინტერპრეტაცია. შევეცადეთ, ჩამოგვეყალიბებინა "დაპირისპირებულობის" ჩვენეული გაგება. ანტონიმურ წყვილთა დადგენისას მიზანშეწონილად მივიჩნით პირველ რიგში ერთმანეთისაგან მკვეთრად გაგვემიჯნა: "დაპირისპირებულობისა" და "განსხვავების" ცნებები, რამეთუ ამ ორი ცნების ურთიერთგატოლებამ გამოიწვია ენაში სემანტიკის თვალსაზრისით განსხვავებული და არა დაპირისპირებული ლექსემების ანტონიმებად აღიარება. ჩვენი აზრით, ანტონიმური წყვილის დასადგენად საკმარისი არაა სემანტიკის დონეზე სიტყვათა თუნდაც მაქსიმალური სხვაობა, აუცილებელია წყვილის ცალი მეორის სრულ უარყოფას წარმოადგენდეს, მისი გამომრიცხველი იყოს, მასთან უკუმიმართებაში იმყოფებოდეს. სხვაობას უნდა გამოხატავდეს დაპირისპირებულ ერთეულთა სემურ შემადგენლობაში ჩართული უარყოფის სემა. ასეთი მიმართება უშუალოდ აისახება ანტონიმთა მნიშვნელობების სემურ შემადგენლობაში, სადაც უარყოფის სემა დომინირებულ სემათა კომბინაციაში შედის. ნებისმიერ ანტონიმურ წყვილში უნდა იყოს წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება, ერთი ფენომენი მეორის უკუ მხარეს უნდა წარმოადგენდეს. დაპირისპირებულობაში იგულისხმება საგნისა თუ მოვლენის, მოქმედებისა თუ მდგომარეობის, თვისებისა თუ რაოდენობის შინაგანი წინააღმდეგობა.

ლექსიკურ ანტონიმას განვსაზღვრავთ, როგორც ერთმანეთთან ლოგიკურ და სემანტიკურ უკუმიმართებაში მყოფ ლექსიკურ ერთეულთა დაწყვილებას საერთო-ზოგადკატეგორიული-გვარეობითი სემანტიკის ფარგლებში ამ ერთეულთა კონკრეტული შიდაკატეგორიული სახეობითი სემანტიკის ზღვრულობის საფუძველზე. თვით ანტონიმი კი არის ერთი სახეობითი სემანტიკის საფუძველზე დაწყვილებულ ლექსიკურ ერთეულთა ერთ-ერთი წევრი, რომელიც გამოხატავს წყვილის მეორე წევრის მნიშვნელობასთან დაპირისპირებულ, ამ მნიშვნელობის უკიდურესად საწინააღმდეგო და სრულიად გამომრიცხავ უკუმნიშვნელობას.

ანტონიმების განსაზღვრების ძირითად საფუძველად დაპირისპირებულობა გვევლინება. საფუძველის იდენტურობა განაპირობებს ყველა იმ დეფინიციის მსგავსებას, რომელიც ლინგვისტურ ლიტერატურაში მოიძიება. ტრადიციულად ანტონიმებად იწოდება სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ

ურთიერთსაპირისპირო და იმავდროულად ერთმანეთის შესატყვის ცნებებს.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით: "მიზანშეწონილია ანტონიმის, როგორც ერთ ღერძზე განლაგებული სივრცის, დროის, თვისების, ნიშნის, შეფასების და ა.შ. აღმნიშვნელ ორ საპირისპირო პოლუსად განხილვა. ყველგან, სადაც არ აღინიშნება ცალსახა პოლარობა, შეუძლებელია ანტონიმების არსებობა. ამდენად უაზროა ანტონიმების ძიება საგნის, ავეჯის, შენობების, ხელსაწყოების აღმნიშვნელ სიტყვებში, კრებით და ნივთიერებათა სახელებში."

"ოპოზიციური მნიშვნელობის მქონე სიტყვების რეალიზაცია ხდება ამ სიტყვების დაპირისპირებისას მათთვის ტიპიურ კონტექსტებში" [8]. ლინგვისტურ შრომებში "დაპირისპირებულად ითვლება აგრეთვე დიალექტიკურ და ლოგიკურ წინააღმდეგობაზე დაფუძნებული ის ორი პოლუსი, რომელიც აბსოლუტურად გამორიცხავენ ერთმანეთს".

ანტონიმოურ წყვილად აღიარებულია არა მხოლოდ მნიშვნელობის საფუძველზე ურთიერთდაპირისპირებული ორი ენობრივი ერთეული, არამედ ერთი სიტყვით სემანტიკურ სტრუქტურაში ორი მნიშვნელობის ოპოზიციური ურთიერთმიმართებაც. აღნიშნული სახის დაპირისპირებას აღნიშნავენ ტერმინით "ენანტიოსემია", რაც "სიტყვის შიდა ანტონიმიაზე მიუთითებს და ამით ანტონიმის ცნებას ავრცობს". ამგვარად, ანტონიმებში ძირითადად იგულისხმება სემანტიკური დაპირისპირებულების საფუძველზე ერთმანეთთან შეთავსებად სიტყვათა დაწვეილება, რის შესაბამისადაც ანტონიმის არსებით თვისებად ბინარულობა სახელდება. მკვლევართა შორის არსებობს განსხვავებული აზრი იმის თაობაზე, რომ "ორი სიტყვის ანტონიმებად აღიარებისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ მათი ერთგვარი დაპირისპირებულება რომ მხოლოდ "დაპირისპირებულებით" შემოფარგვლა არ უნდა იყოს საკმარისი იმისათვის, რომ ორი სიტყვა ანტონიმებად იქნეს აღიარებული. დაპირისპირებულების გარდა ორ ერთეულს შორის აუცილებელია აღინიშნებოდეს "ინტერდუპენდენტური" მიმართება, რის შესაბამისადაც ანტონიმი უნდა განისაზღვროს, როგორც "საერთო ღერძის ერთ მხარეს მოთავსებული ლექსიკური ერთეული, რომელიც უპირისპირდება ამავე ღერძის მეორე მხარეს მოთავსებულ ერთეულს. ღერძის უკიდურეს ბოლოებზე განლაგებულია რეალობაში არსებულ დაპირისპირებათა ამსახველი კომპონენტები. ამგვარად ანტონიმოური წყვილის ცალად ჩაითვლება ღერძის ერთ მხარეს განლაგებული

ენის დონეზე წარმოდგენილი ერთეული, რომელიც კონტრასტულ მიმართებაშია ამავე დონის მეორე მხარეს ფიქსირებული იდენტური დონის ერთეულთან. ორი ფენომენი, რომელსაც არ აქვთ საერთო ნიშნით წარმოდგენილი "შედარების საფუძველი," არ შეიძლება დაუპირისპირდეს ერთმანეთს. "ოპოზიციურ ორ წევრს შორის, რომელთაგან ერთი შესაძლებელია ნეგატიურადაც ხასიათდებოდეს, ურთიერთგანპირობებული მიმართება უნდა აღინიშნებოდეს" [9].

შემდეგი, რაც ანტონიმებს უნდა ახასიათებდეს, ესაა ბინარულობა და ზღვრულობა. ამდენად, ანტონიმებად მივიჩნევთ მხოლოდ ორ ერთეულს, რომელთა მნიშვნელობები უშუალოდ, ყოველგვარი შუალედური ელემენტების გარეშე უპირისპირდებიან, ერთმანეთს, მაგ. ახალგაზრდა (ხანშიშესული – ხნეირი) – მოხუცი. ცნებები, რომელთაც ანტონიმები გამოხატავენ, გარკვეულწილად ფარდობითია, მათ საერთო ჰიპერსემა და ურთიერთსაპირისპირო ჰიპოსემები აქვთ. მაგალითად, ზამთარი "წელიწადის ყველაზე ცივი დრო" – ზაფხული "წელიწადის ყველაზე ცხელი დრო"; გასვლა "გარეთა მიმართულებით სვლა" – შესვლა "შიგნითა მიმართულებით სვლა".

ანტონიმები ქმნიან ჩაკეტილ მიკროსისტიმებს, რომელთაც ანტონიმური წყვილების სახე აქვთ. ანტონიმები ერთსა და იმავე სემანტიკურ ველში შედიან. ტექსტში ისინი ხშირად გეგრიდგერდ იხმარება დაპირისპირების შესაქმნელად, მაგალითად: ეს სულაც არ არის ძნელი, ადვილია; ძვირი კი არა, იაფია.

ანტონიმური ლექსემების სემანტიკური კლასიფიკაცია დაახლოებით შეესაბამება იმ ცნებათა კლასიფიკაციას, რომლებსაც ეს ლექსემები აღნიშნავენ; სხვადასხვა ენაში ისინი მსგავს კლასებს ქმნიან. ანტონიმია უნივერსალური მოვლენაა, იგი ყველა ენაში არსებობს. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ანტონიმია ცალსახად არ განისაზღვრება გარეუბრები რეალიებისათვის დამახასიათებელი საპირისპირო ნიშნებით – ენაში მხოლოდ ზოგიერთი ასეთი ნიშანი აისახება[4], [5]. სემანტიკური მიმართებები ანტონიმებს შორის ძირითადად შემდეგი ტიპის ოპოზიციებზე დაიყვანება [6], [7].

1. "დაწევა – შეწევა", მაგალითად, ალაპარაკდა – დადუმდა. ამავე ტიპს განეკუთვნება ურთიერთსაპირისპიროდ მიმართული ფაქტების (მოქმედების, მდგომარეობის, თვისების) გამომხატველი ლექსემები, მაგალითად, შეფრენა - გამოფრენა;
2. "მოქმედება – მოქმედების შედეგის გაუქმება", მაგალითად, შეერთება – განცალკევება;

3. “მეტი – ნაკლები”, მაგალითად, მაღალი – დაბალი;
4. “ - არა ” (სადაც “ ” რაღაც მოვლენაა), მაგალითად, სასრული – უსასრულო;
5. “კარგი – ცუდი”, მაგალითად, ლამაზი – მახინჯი.

“მეტი-ნაკლები” ტიპის ანტონიმები თვისების აღმნიშვნელი ლექსემებია, რომელნიც გრადუალური (ხარისხობრივი) ოპოზიციის წევრებს წარმოადგენენ; მაგალითად: რთული-ადვილი (არსებობს “საშუალო სირთულეც”), ძლერი-სუსტი (არსებობს “საშუალო სიძლიერეც”), ქვედა-ზედა (არსებობს “შუაღ”) და სხვ. ზოგჯერ აღნიშნავენ, რომ ასეთ შემთხვევაში გვაქვს “ნულოვანი წერტილი”, ნორმა, რომლის მიმართ განისაზღვრება ანტონიმების მნიშვნელობა, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის. აქ გარკვეული “სემანტიკური სივრცის” პოლარიაზაციასთან გვაქვს საქმე – ცნებები კონტრასტულია ანუ საპირისპირო. შუალედური წევრები “შერბილებულ”, შესუსტებულ თვისებას აღნიშნავენ და ნამდვილ დაპირისპირებას არ გამოხატავენ.

ერთმანეთის მიმართ დამატებითი, კონტრადიქტორული (ლათ. კონტრადიკტო “წინააღმდეგობა”), ურთიერთგამომრიცხავი ცნებების აღმნიშვნელი ანტონიმები “ - არა ” ტიპისაა. ასეთ შემთხვევაში ოპოზიცია პრივატულია, მისი წევრები ავსებენ ერთმანეთს ერთ მთლიანობამდე – გვარობით ცნებამდე; ერთი წევრის უარყოფა მეორეს იძლევა: ჭეშმარიტი – ყალბი, სამართლიანი – უსამართლო, ცოლიანი – უცოლო. ამ ტიპის ანტონიმების მსგავსია ისეთი წყვილები, როგორცაა ძმა-და, ქმარი-ცოლი, თუმცა ერთი ცნების უარყოფა აქ მეორეს არ გვაძლევს. ესენი კოპოზონიმებია: და და ძმა – დედმამიშვილები, ცოლი და ქმარი – მეუღლეები.

“დაწყება-დამთავრება” ტიპის ანტონიმებში ერთ-ერთი წევრის უარყოფა მეორე წევრს არ გვაძლევს. იგივე ითქმის “მოქმედება – მოქმედების შედეგის გაუქმება” ოპოზიციაზე: მაგალითად, არშეერთება არ არის განცლკეგება, არგადება არ არის დახურვა.

სხვადასხვა ტიპის ანტონიმური წყვილების ერთ-ერთი წევრის მნიშვნელობაში სემანტიკურ კომპონენტად შედის “ზღვრული უარყოფის არსებობა” [1, 2, 3]. ასე, მაგალითად, ყალბი (ჭეშმარიტი - ყალბი წყვილში) არის “ჭეშმარიტების ზღვრულად უარყოფი”.

## ლიტერატურა

### References:

1. gamyreliZe T., kiknaZe z., Saduri i., Sengelaia n. Teoriuli enaTmecnierebis kursi. Tbilisi universitetis gamomcemloba, Tbilisi, 2003. gv. 369
2. Lehrer, Adrienne. 2002. Paradigmatic relations of exclusion and opposition I: gradable antonymy and complementarity. In Cruse, D.A., F. Hundsnurher, M. Job and P.R. Lutzeier, eds. Handbook of Lexicology. Berlin: de Gruyter. p.498-508
3. Lehrer, Adrienne and K. Lehrer. 1982. Antonymy. Linguistics and Philosophy. Ljung, Magnus. p. 483-501
4. Raybeck, Douglas, and Douglas Herrmann.1996. Antonymy and semantic relations: the case for a linguistic universal. Cross-Cultural Research 30. p.154-83
5. Wirth, Jessica R. 1983. Toward universal principles of word formation: a look at antonyms. In Shiroh Hattori and Kazuko Inoue, eds. Proceedings of the XIIIth International Congress of Linguists (Tokyo 1982). Tokyo: CIPL. p.67-71
6. gamyreliZe T., kiknaZe z., Saduri i., Sengelaia n. Teoriuli enaTmecnierebis kursi. Tbilisi universitetis gamomcemloba, Tbilisi, 2003. gv. 370-371
7. Herrmann, D.J., R.J.S. Chaffin, M.P. Daniel and R.S. Wool. 1986, The role of elements of relation definition in antonymy and synonym comprehension. Zeitschrift fur Psychologie. p.133-153
8. Murphy, M. Lynne. 2000. Knowledge of words versus knowledge about words: the conceptual basis of lexical relations. In Bert Peeters (ed.). (Current research in the semantics-pragmatics interface 5.) Amsterdam: Elsevier. p.317-148.
9. Edmonds, O. P. and Hirst, G. (2002). "Near-Synonymy and Lexical Choice". *Computational Linguistics*, Vol.28, Number 2. p.105-144.

**Kakhaber Chinchaladze**  
**Antonymous couples**

**Summary**

The article discusses those contrasts in a language, which are perceived as antonymy. Antonymy is one of the most important semantic categories.

The main basis of definition of antonyms is – contrasting. Traditionally we call antonyms the words, which express contrasting and at the same time equivalent conceptions.

Antonyms form closed microsystems, which have a shape of antonymous couples. Antonyms are in the same semantic field.

Antonymy is a universal phenomenon, it exists in every language. Therefore, the semantic classification of antonyms is always an interesting topic.



**Keywords:** Antonymy, semantics, sema, hipersema, hiposema, antonymous couples, lexical antonyms, semantic classification.

**Reviewer:** Professor Maia Chkheidze, Georgian Technical University

**Кахабер Чинчаладзе**  
**Антонимные пары**

### **Резюме**

В статье рассматриваются те противопоставления в языке, которые воспринимаются как антонимия. Антонимия одна из наиболее важных семантических категории языка.

Главной основой в определении антонимов является противопоставление. Традиционно антонимами называют слова, которые выражают противоречивые и в тоже время соответствующие понятия.

Антоними образуют замкнутую микросистему, которые имеют вид антонимных пар. Антоними входят в одто и тот же семантическое поле.

Антонимия универсальное явление. Она существует в любом языке. Таким образом, семантическая классификация антонимов всегда интересная тема.

**Ключевые слова:** Антонимия, семантика, сема, хипосема, хиперсема, антонимные пары, семантическая классификация.

**Рецензент:** профессор Майя Чхеидзе, Грузинский технический университет

**ბადრი ცხადაძე, ეკა ცხადაძე**  
**ინდოეთი ძართულ ლინგვოკულტუროლოგიურ არეალში**

ინდოეთი და საქართველო ორი უძველესი ქვეყანა და ორი უძველესი კულტურის მქონე სახელმწიფოა. ორივე აზიაში მდებარეობს: უკეთ: პირველი აზიის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მეორე – ჩრდილო-დასავლეთით – აზია-ევროპის გასაყარზე.

სამწუხაროდ, დღემდე, ეს ინდოეთ-საქართველოს ისტორიულ-კულტურული ურთიერთობები მონოგრაფიულად არავის უკვლევი და შეუსწავლია.

დაისმის კითხვა: ჰქონდა თუ არა ამ ორ ქვეყანას ერთმანეთთან ისტორიული ურთიერთობა? და თუ ჰქონდა, როდის? ქრისტიანობამდელ-წარმართულ თუ ქრისტიანობის შემდეგ დროინდელ ხანაში? ეს კითხვა არაერთ მკვლევარს გასჩენია, თუმცა დამაჯერებელი პასუხისგან ბევრს თავი შეუკავებია, რადგან: 1. საკითხი მარტივი გადასაწყვეტი არაა: საქმე ინდოეთ-საქართველოს ურთიერთობის პრობლემებს ეხება, ამას კი, როგორც მიუთითებენ, ისტორიზმის პრინციპის გარეშე სარწმუნო პასუხი ვერ გაეცემა [1, 332]. 6. კენჭოშვილის ვარაუდით, ერთმანეთისაგან მეტად დაშორებულ ორ ქვეყანას – ინდოეთსა და საქართველოს შორის – პირდაპირი, ფართო მასშტაბები – პოლიტიკური თუ კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობები არ ყოფილა, მაგრამ ის ურთიერთობები, რომლებიც ამ ქვეყნებს შორის არსებობდა, რაგინდ ფრაგმენტული არ უნდა ყოფილიყო, უდავოდ მაინც სერიოზული კვლევის საგანია [1, 332].

ჯერ კიდევ მ. ბროსე წერდა, რომ ინდოეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა გაცდლებით ადრე დაიწყო, მაგრამ მატინეში ასახვა გვიან პოვაო [2. 129]. ასეთ ურთიერთობას თუნდაც ელინისტურ ხანაში არ გამორიცხავს ნ. ლომოური, რომლის აზრით,

იბერიის გავლით სანაოსნო გზით საქონელი ინდოეთიდან შავ ზღვაზე შემოჰქონდათო. ამდენად, ამ ორი უძველესი კულტურის მქონე ქვეყნებს შორის, განსაკუთრებით ისტორიულ ხანაში, ერთგვარი მაკავშირებელი ხიდის ფუნქციას მუდამ ასრულებდა საქართველოს სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნები (თურქეთი, სომხეთი, ირანი და სხვ.) [3, 100-107].

ადამიანები, გეოგრაფიული სახელები, ქვეყნები სხვა სახელებისაგან პერსონალურობით (ანთროპონიმითა და ტოპონიმით) წოდებითა და თვითწოდებითაც განიჩნევა. როგორ იხსენიებს საქართველოს ინდოელები და როგორ, რა ტერმინოლოგიით ვიხსენიებთ და ვიხსენიებდით ჩვენ, ძველად თუ ახლად, ქართველები ინდოეთსა და ინდოელებს?

ძველად ინდოელები ჩვენს ქვეყანას, მის რეგიონებს არც „იბერიათი“, არც „გეორგიათი“ და არც „კოლხიდათი“ არ იცნობდნენ. და თუ იცნობდნენ, მაინც ვერ შემორჩებოდა, რადგან, როგორც მიუთითებენ: 1. ძველ ინდოეთში ქვეყნის მეტად ნოტიო კლიმატური პირობების გამო წერილებითი ძეგლები (დოკუმენტები) ძნელად ინახებოდა; თვით კლასიკური ინდური ძეგლების შენარჩუნება პირველ ხანებში ზეპირსიტყვიერებაზე დაყრდნობით ხდებოდა და მათი ჩაწერა (ვედების მაჰაბჰარატასი და სხვ.) გაცილებით გვიან განხორციელდა. 2. მეორე მიზეზი კი ის იყო, რომ ინდოეთში, მაჰმად დამპყრობთა გამოჩენამდე, არ არსებობდა მემატრიანეობის (ჟამთააღმწერლობის) ტრადიცია [1, 233]. ამიტომაც ვარაუდობენ, რომ საქართველო, როგორც ქვეყნისა და სახელმწიფოს, პირველი გაცნობიერება ინდოელთა გონებაში ინდოსტანში ისლამური კულტურის დამკვიდრებას უნდა უკავშირდებოდეს, ისლამური ქვეყნები კი საქართველოს „გურჯისტანით“ იცნობდნენ. ეს ტერმინი ინდოეთში უნდა გაჩენილიყო მაშინ, როცა გახშირდა მაჰმადიან დამპყრობთა თავდასხმები საქართველოსა და ინდოეთზე [4, 40], ქართველთა მონებად წასხმა ინდოეთში [5], [6], რაც თითქმის XVIII ს-ის მიწურულამდე ხდებოდა. ამრიგად, ინდოეთში XVIII ს-მდე **გურჯი, გურჯისტანი** ქართველისა და საქართველოს აღმნიშვნელი „ისლამური“ ტერმინებია. მოგვიანებით, მეორე ტერმინად გაჩნდა „ჯარჯია“, რომელიც ინდოეთში XVIII საუკუნის შემდეგ იკიდებს ფეხს, მას შემდეგ, რაც ეს ქვეყანა ინგლისმა დაიპყრო. დღეს, როგორც ინდოლოგი ნ. კენჭოშვილი წერს, ინდოეთში უფრო გავრცელებულია **ჯარჯია (ჯორჯია)**, ვიდრე **გურჯისტანი** და **გურჯი** [1,334].

ამრიგად, როგორც ირკვევა, ჩვენ ინდოეთთან ურთიერთობა ძველად გაშუამავლებული გზით გვქონია (მაჰმადიანური ქვეყნები: ირანი, ავღანეთი... ინგლისი) და ჩვენი ინტენსიური მჭიდრო კონტაქტები ისტორიულად ნაკლებსავარაუდებელია.

ძველი ქართული ტრადიცია, წერილობითი ძეგლები, მართალია, **ინდოეთს, ინდოს, ინდოჭაბუკს...** კარგად იცნობს, მაგრამ ამ ტერმინებით სხვადასხვა ქვეყანა და ეთნოსი აღინიშნებოდა: ერთ შემთხვევაში იგი ინდოეთს და ინდოელს უდრის, მეორე შემთხვევაში – ეთიოპიას და ეთიოპიელს:

**ჰინდო** = ინდოელი, ეთიოპელი: „აჰა-ესერა ჰინდო ერთი საჭურისი” (საქ. მოც. 8, 28) „უკუეთუ ცვალოს ჰინდომან ტყავი თესი და ვეფხმან სიჭრელე თესი” I. იერემ. 13, 29[7, 576]

**ჰინდოეთი:** =ინდოეთი: „ჰხედვიდეს... პილოთა ჰინდოეთით და სპასეთით მომავალთა” საქ. მოც. 8,27;

„ქილილდა და მანაში”-ც **ინდო** ეთიოპელს, აბისინიელს (აბაშელს), შაგკანიანს ნიშნავს: „ეცადე, ინდოს ლაშქარმა გულს არ მისტაცოს ცნობანი” [7, 616,34];

ჩანს, ამ სიტყვაში თავკიდური **ჰ** თანხმოვანი ქართულში ადრევე დაკარგულა (ეს ქართულში ბუნებრივი, ორგანული პროცესია: სიტყვის თავკიდურ პოზიციაში **ჰ** ბგერა ვერ ძღვება და იკარგება), რასაც ცხადყოფს სხვა შემთხვევებიც: ინდოური (<- ჰინდოური), შდრ. ახ. ქართ. **ინდაური**. ს-ს ორბელიანი **ინდოურ** (ქათამი) ფორმას იცნობს, თუმცა მისთვის არც **ჰინდურ** სიტყვაფორმაა უცხო [9].

როგორც ჩანს, ჩვენც, ქართველებსაც, ისტორიულად, არც ისე ახლო ურთიერთობა ჰქონია ინდოეთის ხალხთან და მის თვითწოდებასთან (ტერმინთან), რადგან მისით ორი ქვეყანა – აფრიკული და აზიური აღვინიშნავს.

**შენიშვნა:** ინდოეთი, როგორც გეოგრაფიული ტერმინი, შედარებით ახალია. მას ინდურ პურანებში („ძველი ინდოეთის სალიტერატურო ძეგლები”) **ბჰარატავარშა**დ **ბჰარატ**-ის ქვეყნად მოიხსენიება (წარმომდგარია ამ მხარის მფლობელ-მბრძანებლის სახელისაგან). III ს. ჩ. წ. აღ-მდე ადრეულისტური წყაროები ამ **ჯამბუდვიპა**თი მოიხსენიებს. ამჟამინდელი ტერმინი **ინდო, ინდოეთი, ინდოსტანი** გაჩნდა მას შემდეგ, რაც ეს მხარე სპარსელებმა და ბერძნებმა დაიპყრეს: მდინარე **ინდი** ან **ჰინდი** სგან წარმოიშვა გამოთქმა **სინდჰის მიწა**. სპარსელები ამ სიტყვისეულ „ს” „ჰ”-დ წარმოთქვამდნენ: **სინდჰი // -> ჰინდჰი -> ჰინდი // ინდი**. შუასაუკუნეებში, მაჰმადიანთან ხმარებული ეს ტერმინი, დღემდე შემორჩა ამ ნახევარკუნძულს [10, 7]. შეიძლება დავასკვნათ, რომ

ინდო, ინდოეთი (ორნაირი მნიშვნელობით) ძველ საქართველოში, ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში, დამკვიდრებულია სპარსელების ზეგავლენითა და მათი კულტურის მეშვეობით.

ინდოეთში მრავალი ათასწლეულის წინ მკვიდრობდნენ ადამიანები – ხალხები, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოსულნი. ახლა მნელი გასარჩევია სად იწყება ერთი რასა..., რომელია უფრო ადრე მოსული და ა. შ.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფენ ინდოეთში მცხოვრებ ხალხთა სხვადასხვა ჯგუფს ანუ ტიპს. ესენია: 1. **თურქულ-ირანული** (ბელუჯები, ბრასგუები, ავღანელები); 2. **ინდოარიული ტიპი** (გავრცელებულია პენჯაბში, რაჯპუტანში, ქაშმირში); 3. **სკვითურ-დრავიდული ტიპი** (სინდში, გუჯარეთსა და მომბეის შტატში); 4. **არიულ-დრავიდული ტიპი** (განგის ველი, პენჯაბის, რაჯასტჰანის და ბიჰრის რაიონები); 5. **მონგოლურ-დრავიდული ტიპი** (ბენგალიაში, ორისეში); 6. **მონგოლოიდური ტიპი** (ასამში, ნეპალში, ბუტანში, პრადეშის, პენჯაბის, ქაშმირის შტატებში). 7. **დრავიდული ტიპი** (გავრცელებულია კუნძულ ცეილონიდან განგის ველამდე (მადრასის, ჰაიდერაბათის, მადჰია პრადეშის და ჩხოტა ნაგპურის ჩათვლით). როგორც ფიქრობენ, ეს უკანასკნელი ტიპი არის სწორედ ინდოეთის უპირველესი მკვიდრნი, რომლებიც ახლა, არიული, სკვითური, მონღოლური ელემენტებით გარემოცვაში მყოფნი, ძლიერ სახეცვლილან. დოქტორი რ. ჩ. მაჯუმდარი ინდოეთის ხალხებს ოთხ ჯგუფად ყოფს: პირველყოფილნი, მონგოლოიდები, დრავიდები და არიელები [10, 22].

რა სახელით უხმობდნენ ძველი ბერძნები ქართველებს, ქართულ სახელმწიფოებს, ქართველურ ტომ-გაერთიანებებს, ყველასათვის ცნობილია, მაგრამ არის ზოგი ისეთი იშვიათი და ნაკლებ ცნობილი (ჯერ უცნობი) შემთხვევა, როცა ქართველ-კოლხები ბერძენ ავტორთა მიერ სრულიად სხვა სახელდებითაა მოხსენიებული. მაგალითად, ბერძენი ავტორის ლიკიფრონის პოემაში ორ ადგილას (174 და 887) ნახსენებია „კვტაიელი ასული“, რომლის შესახებ ცეცე მსჯელობს: „კვტაია, კოლხიდის ქალაქი, რის მიხედვითაც თვით მედეას (პოეტმა) კვტაიელი უწოდა, ხოლო **კოლხები ინდოელი სკვითები არიან**; მათ **ლაზებიც** ეწოდებათ. ისინი ცხოვრობენ აბასგთა მახლობლად, უწინ რომ მასაგეტები იყვნენ“... [11, 36-37]. ეს უბრალო ცნობად ან დამახინჯებულ ფაქტად არ უნდა გავიგოთ. გარდა იმისა, რომ კოლხი მედეა კვტაიელი ასულია, აქ არანაკლებ მეორე ცნობაც გვიმახვილებს ყურს – „კოლხები ინდოელი სკვითები არიან“. რამდენად მართალია და ჭეშმარიტი კოლხების ინდოელებთან

გაიგივება? ჩვენი უძველესი საცხოვრისი ინდოეთსაც სწვდებოდა? მართალია, ეს ჩვენი კვლევის ამჟამინდელ სფეროს სცილდება, მაგრამ კოლხების ინდოელებთან გაიგივება დღესაც ყურადსაღებია და ანგარიშგასაწვეი – ეს შემთხვევითი ცნობა არ უნდა იყოს. ინდოეთი ბევრ რამეს ინახავს და მალავს, თუნდაც ქართულს. ჩვენი პირადი სურვილი, ერთ-ერთი აუხდენელი ოცნება, ინდოეთის მოვლათა „მეცნიერის მანტიით“ (სპეციალური სამეცნიერო მივლინებით) – იქ ბევრი რამ გვეკულება ქართულ-ქართველური – ადათობრივი, რასობრივი, ენობრივი. საბჭოურ წლებში, XX საუკუნის 70-80-იან ათწლეულში, სამსახურებრივი გარემოებების გამო, ინდოეთს არაიშვიათად სტუმრობდა ქართველი მეველეარი, ჟურნალისტი და მწერალი ლადო ბახტრიონელი (ვლადიმერ ალფენიძე), რომელიც უფრო ჟურნალისტური და მწერლური ცნობისწადილით დაეძებდა ამ მხარისეულ ქართველურ-მემკვიდრეობით გადანაშთებს.

ინდოეთს, როგორც ტერმინსა და ქვეყანას, ქართული სამყარო კლასიკურ, ოქროს ხანაში უფრო უკეთ იცნობს. ამის ნათელი დადასტურებაა მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“ და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. როგორც ჩანს, ამ ეპოქაში, კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაწიერი ქართველი კაცისა ისე გაფართოვდა, რომ შოთა რუსთაველმა თავისი ორიგინალური პოემის მთავარ საბატალიო-სამოქმედო ასპარეზად (არაბეთთან, ჩინეთთან... ერთად) ინდოეთი, მისი მეფეები ფარსადანი და სარიდანი, ასევე მთავარ მოქმედ პირად, გმირად და რაინდად ინდოელი, ვეფხის ტყავით მოსილი ჭაბუკი, ამირბარი ტარიელი გამოიყვანა. ვფიქრობთ, ეს რეალიაც ირანულ-სპარსული კულტურის გავლენის ფაქტობრივი ანარეკლია და ჩვენში ირანის გზითაა შემოსულ-გავრცელებული.

რომ არა ჩვენი ერის, ქართველური ტომების ძველთაძველობა-ძირძველობა, ძველ სამყაროსთან კულტურული ზიარება, ჩვენ საკუთარი ქვეყნის შესახებ ბევრი რამ არ გვეცოდინებოდა. ამ მხრივ ყველაზე ფასეული ჩვენთვის ელინისტური ხანაა, კერძოდ, ძველი ბერძნების – ძველი სამყაროს „ინტელექტუალური გონის“ მონაცემები ცხადყოფენ და ათვალსაჩინოებენ ქართველთა დიდებულ წარსულს.

სწორედ ბერძნებს უნდა ვუმაღლოდეთ ჩვენი ისტორიის ანალები შემონახვას, რადგან ბერძნები ახლაც დღემდე „გვიმხელენ“ ჯერჯერობით „აღმოუჩენელ-აღმოსაჩენ საიდუმლოსაც“, თუნდაც ის, რომ ძველ კოლხებს ანბანი ჰქონდათ, მაგრამ როგორი იყო ეს ანბანი, იეროგლიფური, ლურსმული, სილაბური, საკუთრივ

კოლხურ-იბერიული თუ უცხოური, სამწესობრივ, არაფერი ვიცით. ჩვენ პირადად ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ დადგება დრო ასეთი აღმოჩენებისა.

მართალია, ჩვენ არაერთი ქართველი ინდოლოგი გვყავს, მაგრამ საკუთრივ ქართველური კუთხით მათ ენა, ლიტერატურა და კულტურა თითქმის არავის უკვლევია. და აი, 2010 წელს ქართულ მეცნიერებას მოეწვინა წიგნი „არიან-ქართლიდან მოსულნი“, რომლის ავტორია ფილოლოგი ნუგზარ წულუკიძე. წიგნი ბათუმშია გამოცემული. თვით წიგნის სათაური, განსაკუთრებით წიგნისეული ანოტაცია, შესავალი და თავად ეს მონოგრაფიული გამოკვლევა სრულიად უჩვეულო, მოულოდნელ და განსხვავებულ ახსნა-მიდგომას გვთავაზობს. ავტორის აზრით, არიან-ქართლიდან მოსულნი, აზო და მისი სახლეულები, წარმოშობით ქართველები კი არ იყვნენ, არამედ – ინდოელები. ეს ინდოარიელები, ავტორისავე თქმით, „აღექსანდრე მაკედონელმა თავისი ცნობილი პროექტის (ევროპა-აზიის დაახლოება) განხორციელების მიზნით ინდოეთის ისტორიული ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორიებიდან გადმოსახლა დიდი საქარავნე გზის მნიშვნელოვან მონაკვეთზე, საქართველოში“ [12, 2].

ასეა მართლაც?

ამ საკითხის ირგვლივ (ნ. წულუკიძემდელ) ქართველ ისტორიკოსთა და მეცნიერთა საერთო შეხედულება და თვალსაზრისი ასეთია:

ერთ-ერთი „ბოლოდროინდელი“ გამოკვლევით, სამხეთით (არიან-ქართლიდან) ქართლში მოსული აზონ „წარმოგვიდგება დაწინაურებული ქართული მხარის მამასახლისად, რომელშიც აქემენიდების იმპერიასთან ხანგრძლივმა კონტაქტმა მოამწიფა სახელმწიფოს ჩამოყალიბების ნიადაგი. აზონის მოქმედებით ქართულმა პოლიტიკურმა აზროვნებამ სერიოზული მეტამორფოზა განიცადა: გაჩნდა ტომებად დაქუცმაცებული საქართველოს გაერთიანების იდეა“ [13, 62-63] ამრიგად, აღექსანდრე მაკედონელის გამოგზავნილი „კაცი“ აზონ, მიუხედავად იმისა, იგი წარმოშობით ქართველია თუ არა, ქართული სახელმწიფოებრიობის საფუძვლის იდეის ჩამყრელად გვევლინება, თვით ქართული სახელმწიფოს იდეის ხორცშესხმა-განხორციელება მეფე ფარნავაზს ერგო [13, 120]. ქართველია თუ არა აზო, ამის ხელაღებით მტკიცება ან უარყოფა ძნელია – ძველი ქართული წერილობითი და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ძეგლების ჩვენებიდან ეს არ ჩანს.

ნ. წულუკიძის „რადიკალური“ და ორიგინალური აზრით, „ინდოეთი ირანივით არიული ქვეყანაა, მაგრამ არიან-ქართლი იქ არავის უძებნია, მიუხედავად იმისა, რომ საამისო საფუძველი არსებობს. დიდი ხანია შემჩნეულია საოცარი, აუხსნელი დამთხვევები ინდურ და ქართულ ტოპონიმებში, ონომასტიკაში, ეთნონიმებში, ზოგ წეს-ჩვეულებებში, ღვთაებათა სახელებში, სიტყვებში. ინდის აუზის მოსახლეობასთან გვანათესავებს კავკასიური თავის ქალებიც და სხვ. მიჩნეულია, რომ ეს არის ქართული კვალი ინდოეთში. მაგრამ ინდოსტანის ნახევარკუნძულზე ოდესღაც დიდი რაოდენობით ქართველთა შეღწევა-განსახლების ძიებას წარმატებები არ მოჰყოლია. როგორც ეტყობა, იმიტომ, რომ უპირველესად საძიებელია ინდური კვალი საქართველოში. არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ არიან-ქართლიდან მოსულნი ინდოარიელები იყვნენ, რომლებიც სპარსთა მფლობელობაში მყოფი ინდური ტერიტორიებიდან აღექსანდრე მაკედონელმა გადმოსახლა იბერიაში“ [12, 4].

ნ. წულუკიძის მტკიცებით (მტკიცებულება ვარაუდის დონეზეა, რომელსაც არავითარი არგუმენტაცია არ ახლავს), თვით საქართველოს აღმნიშვნელი ტერმინები, არც მეტი არც ნაკლები, როგორიცაა: **იბერია**, **ქართლი**, ინდურია და ინდურ ტოპონიმისთან ამჟღავნებს სიახლოვეს. მაგრამ ეს ძალიან თავსმომხვეული კოლაფსური იდეად გამოჩანს – ამ ახსნა-პიპოთეზას კომპლექსური არგუმენტაცია ესაჭიროება; თუ ეს ასე იყო, მაშინ რა ერქვა ისტორიულ საქართველოს ქართლის ან იბერიის „ინდოელთა წოდებულობამდე“? მეფე ფარნავაზამდე რას ვუწოდებდით ქართველები საკუთარ თავსა და ჩვენს ქვეყანას? რა ვუყოთ ძველ ბერძენ ავტორთა „ბერძნულ-ქართველურ“ მონაცემებს?

ავტორის აზრით, აზონ და მისი სახელეული ინდოელები ანუ არიან-ქართლები არიან და ეთნიკურად ისინი ქართველურ სამყაროს არ განეკუთვნებოდნენ. ეს უნდა მომხდარიყო ძვ. წ. 329-323 წლებს შორის პერიოდში, აღექსანდრე მაკედონელის ნებით, მის დაქვემდებარებაში მყოფი ბერძნული და სპარსულ-ბაქტრიული სამხედრო ძალის მხარდაჭერით. ისინი ადრე სპარსთა მფლობელობაში მყოფი ინდური ტერიტორიებიდან გადმოსახლდნენ კავკასიაში, საქართველოში [12, 121].

ჩვენი აზრით, სანამ არ გაირკვევა, ვინ იყვნენ ისტორიულად ინდოეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრები პირველი ინდოელები (მათი ინდოევროპელებად ან არიელებად სახელდება და მოხმობა არ კმარა), ან ქართლის აღმოსავლეთ ნაწილში იმ დროს



დამკვიდრებული ბუნთურქები (როგორც მიგრაციულად, ისე გენეტიკურად), მოსულნი თუ ადგილობრივნი, ქართული თუ ტომობრივად არაქართველნი, მანამ ძნელია თქმა იმისა, რომ „არიან-ქართლები” აზო და მისი სახელეული ეთნიკურ-ტომობრივად ინდოარიელები ანუ ბაქტრიელები იყვნენ.

ნ. წულუკიძის დასკვნით, ინდოარიელთა საქართველოში მოსვლა და მათ მიერ დატოვებული კვალი მრავალმხრივი და ღრმაა. მისი საბოლოო პოსტულატებით:

ა) ქართული წარმართული ღვთაებები დიდწილად ინდური წარმომავლობისაა. ძველ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, მითოლოგიაში შეტად მოცულობითი პლასტი ინდოარიულია;

ბ) კავკასიელთა, ქართველთა ეთნოფსიქოლოგიის შესწავლისას გასათვალისწინებელი უნდა იქნეს ამ რეგიონში ძვ. წ. აღ. IV ს-ის ბოლო მეოთხედიდან მძლავრი ინდოარიული ეთნოკულტურული ტალღის შემოჭრის ფაქტი. ამ დროიდან აქ ძლიერი პოზიციები სჭერია ვედურ ბრაჰმანიზმს, ვიშნუიზმსა და შივაიზმს. ქართული კულტურის, ფილოსოფიის ფესვები ვედური, ძველინდური რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებებითაც არის ნასაზრდოები;

გ) ქართული დამწერლობის სათავეებში შემჩნეული სპარსული მიმართულების არამეულისა და ელინისტური ხანის ბერძნული დამწერლობის ელემენტებთან ერთად, ქართული ანბანის მოხაზულობის ძველინდურთან მსგავსება (კლაპროთი, ბროსე, ყიფიანი), ზოგიც სხვა საგულისხმო დამთხვევა, ქმნის საფუძველს მტკიცებისათვის, რომ ქართული დამწერლობის შექმნა ინდოარიელთა გამოსვლის შემდეგ, მათი მონაწილეობითაც მოხდა, ფარნავაზის ეპოქაში, როგორც ამას ქართული და სომხური საისტორიო წყაროები მიუთითებენ.

დ) კავკასიაში, საქართველოში წარმომამოვლობადუდგენელი მრავალი ტოპონიმი ინდური (მცირედი სპარსულ-ბაქტრიული) ძირებისაა და მიუთითებს არიან-ქართელთა განსახლების ადგილებზე. ჩვენი ეთნოსისა და ქვეყნის სახელიც, ჩანს, რომ ინდური წარმომავლობისაა, ქართველთა ეთნარქად მიჩნეული *ქართლოსის პროტოტიპი* ინდური მითოსის ბრწყინვალე გმირი *არჯუნა კარტავირია* უნდა იყოს;

ე) წარმომავლობამიუკვლეველი უძველესი წეს-ჩვეულებები, მათ შორის ხატობები, წაწლობა-სწორფრობა, ნებსით გლახაკობა, მიცვალებულებთან დაკავშირებული რიტუალები, მოკლული ვეფხეის დატირების, ნადირობასთან დაკავშირებული ჩვეულებები და სხვ.

შეუძლებელია აიხსნას ინდურ სამყაროსთან კავშირის გარეშე [12, 122-123].

**ჩენი შეფასებით:** ნ. წულუკიძის ასეთი დასკვნები ერთობ გადაჭარბებულია; ისტორიიდან ცნობილია საქართველოში ებრაელთა მოსვლისა და დამკვიდრების, ამბავი, მაგრამ ასეთი რამ (ეთნოკულტურული შერწყმა) არ მომხდარა. საქართველოში სახლდებოდნენ არაბები, ბერძნები, სპარსელებიც, ყივჩაღებიც, სომხებიც..., მაგრამ მათი კულტურა, ზნე-ჩვეულება, ადათ-წესები ჩვენ არ გადმოვიდია. თვით ცეცხლთაყვანისმცემლობის დამკვიდრების და მასთან „ცეცხლითა და მახვილით ხატმბრძოლობის“ ამბავიც ცნობილია – ქართველმა კაცმა უცხოურ-სპარსული ცხოვრების წესი ვერ იგუა (გავიხსენოთ იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“ და სხვ.). თუ უცხოტომელთ ჩვენთვის სახელი (ეთნონიმი) შეურქმევია, პარალელურად დღემდე შემორჩენია ჩვენს ისტორიულ ყოფას, ანალებს (იბერი, იბერია, კოლხი, გურჯი, გურჯისტანი...).

ის პოსტულატები და არქევაქტები, რაც ნ. წულუკიძის „ინდოარიულ სამოსელშია“ გახვეული, ჩენი დასკვნით, ძველ არიელ-სპარსელთა (მიდია, პართია... ირანი) შემონატანია ქართულ ეთნოსივრცეში. ამ კერძო ხასიათის წერილში ძნელია პასუხი გავცეთ და შევაფასოთ, ამოვწუროთ ყველა ის პრობლემა, რაც ნ. წულუკიძის წიგნშია დასმული, სამომავლო პერსპექტიული კვლევისგან გამომდინარე კი დავძენთ, რომ უნდა შეიქმნას ქართველ და ინდოარიულ მეცნიერ-მკვლევართა საკვლევადიებო ჯგუფი (ანთროპოლოგი, ქართველოლოგ-კავკასიოლოგი, ენათმეცნიერი, ეთნოლოგი, ინდოლოგი), რომელიც საბოლოოდ გადაწყვეტს „არიან-ქართლელების“ ვინაობის პრობლემას. საფიქრებელია, ბერძენი ავტორის ლიკიფრონის ჩვენს წელთაღრიცხვამდელი პოემისეული (პოემაში ნახსენები) „კოლხების ინდოელ სკვითებად“ მოხსენიება ქართველური რასის (ისტორიულ საცხოვრისად – კავკასიის – მცირე აზიის – შავიზღვისპირეთისა და ხმელთაშუაზღვის – ინდოეთის ტერიტორიებზე განფენა) სასარგებლოდ გადაწყდეს.

### ლიტერატურა

#### References

1. **kenWoSvili n.**, termin „saqarTvelos“ gagebisaTvis indoeTSi. kreb.: saqarTvelosa da qarTvelebis aRmniSvneli ucxouri da qarTuli terminologia, **Gg. paiWaZis** redacqiiT. gamomcemloba „mecniereba“, Tb., 1993 (Georgian)
2. **brose m.**, qarTlis cxovreba, Tb., 1949 (Georgian)
3. **lomouri n.**, gruzino-rimskie v zaimootnoSenia Tb., 1981 (Russian)
4. **batoniSvili vaxuSti**, qarTlis cxovreba. 4, Tb., 1973 (Georgian)

5. **bernie v.**, istoria poslednix političeskix perevorotov v gosudarstve velikix mongolov, M., 1963 (Russian)
6. **Catopadxaia b.**, rajsja singx, M., 1960 (Russian)
7. **abulaZe i.**, Zveli qarTuli enis leqsikoni (masalebi), Tb., 1973 (Georgian)
8. qilila da damana, sparsulidan Targmnili *mefe vaxtang meeqvsisa* da *sulxansaba orbelianis* mier. teqsti daadgina, Sesavali, komentarebi da leqsikoni daurTo *m. Toduam*, Tb., 1975 (Georgian)
9. **orbelianis s-s.**, leqsikoni qarTuli, Txzulebani. t. IV. avtografuli nusxebis mixedviT gamosacemad moamzada *i. abulaZem*, Tb., 1965 (Georgian)
10. **lunia b.n.**, istoria indiiskoi kultruri s drevnix vekov do naSei dnei. sokraSCionnii perevod angliiskogo v. a. tiurina. pod redaqciei e. n. komarova. M., 1960 (Russian)
11. berZeni mwerlebi saqarTvelos Sesaxeb. IV. Zveli berZnulidan Targmna, gamokvleva da saZieblebi daurTo *T. yauxCiSvilma*, Tb., 1980 (Georgian)
12. **wulukiZe n.**, arian-qarTlidan mosulni, s. *gogitiZis* redaqciiT. baTumi, 2010 (Georgian)
13. **qavTaria g.**, farnavazi, *r. baramiZis* redaqciiT. Tb., 1999 (Georgian)

**B. Tskhadadze, E. Tskhadadze**

## **India in Georgian Lingvo-Culturological Space**

### **Summary**

India and Georgia are two countries and two states with ancient culture. As we have found out the first recognition of Georgia as a country and state by the Indians is related to the introduction of Islamic culture in Hindustan, for Islamic countries knew Georgia by the name of “Gurjistan”. This term must have appeared in India in times when the invasions of Georgia and India by the Muslims became more and more frequent. Thereby up to the 18th century “Gurji,” “Gurjistan” were “Islamic” terms in India, denoting Kartveli and Sakartvelo. Later on another term “Jarjia” emerged, introduced in India after the 18th century following its invasion by England. Currently the term “Jarjia” (“Jorjia”) is more widespread than “Gurjistan” and “Gurji”.

Thus in the earlier period in our relations with India there were intermediaries such as Muslim countries: Iran, Afghanistan, as well as England, and active close contacts between us were less probable from historical viewpoint.

Our interest was attracted by the book published in 2010 by the philologist N. Tsulukidze: “The Newcomers from Arian-Kartli”, in which the Kartvelian origin of Azon and his family is denied. In the author’s opinion the people who came to Georgia from Arian-Kartli in the times of Alexander Macedonian were the Indo-Arians rather than the Kartvelis residing to the south of Aria.

In our opinion N. Tsulukidze's conclusions are somewhat overestimated: history tells how the Jews arrived and settled in Georgia, but no ethnic-cultural merging had ever occurred. Other nations, such as the Arabs, Greeks, Persians, Polovtsians, Armenians had also settled in Georgia, but we never adopted their culture, customs and rites.

The postulates and archefacts wrapped by N. Tsulukidze in "Indo-Arian clothes," as we concluded, were introduced into the Georgian ethnic space by the ancient Arians-Persians (Media, Parthia ... Iran). As regards the investigation supposedly to be conducted in future it should be noted that a study group should be created composed of the Kartvelian and Indo-Arian scientists-researchers (with the participation of an anthropologist, specialist in Kartvelian culture, specialist in Caucasian culture, linguist, ethnologist, specialist in Indian culture) in order to finally solve the problem of the identity of the "Arian-Kartlels". It is unlikely that the allusion to "the Colchis as Indian Scythians" in the poem of the Greek author Likiphron could be resolved in favor of the Kartvelian race (with settlements on the territories of their historical habitation such as Caucasus – Asia Minor – the Black Sea and the Mediterranean – India).

**Keywords:** India, Hindustan, Georgia, Georgian, lingvo-Culturological Space, „Gurji”, „Gurjistan”, Islam, Muslim, „Kartveli”, „ Sakartvelo”, “Jarjia” (“Jorjia”), England, Iran, Afghanistan, „Arian-Kartli”, Arabs, Greeks, Persians, Polovtsians, Armenians, Arians-Persians (Media, Parthia ... Iran), Kartvelian and Indo-Arian scientists-researchers, Caucasian culture, the Kartvelian race, Caucasus – Asia Minor – the Black Sea and the Mediterranean – India.

**Reviewer:** Professor Avtandil Songhulaisvili, Georgian Technical University

**Б.А. Цхададзе, Э.Г. Цхададзе**

**Индия в грузинском лингвокультурологическом ареале**

### **Резюме**

Индия и Грузия – две страны и два государства с древнейшей культурой. Как было выяснено нами, первое осознание индийцами Грузии как страны и государства связано с насаждением исламской культуры в Индостане, ведь исламские страны знали Грузию под именем «Гурджистан». Данный термин должно быть появился в Индии в то время, когда участились нападения мусульман-завоевателей на Грузию и Индию. Таким образом, до XVIII века в Индии «гурджи», «Гурджистан» были «исламскими» терминами, означавшими картвели и Сакартвело. Позднее появился второй термин

«Джарджия», который распространился в Индии с XVIII века, после ее завоевания Англией. В настоящее время в Индии более распространен термин «Джарджия» («Джорджия»), чем «Гурджистан» и «гурджи».

Таким образом, в ранний период наши отношения с Индией реализовывались через посредство мусульманских стран, таких как Иран, Афганистан .., и Англию, и исторически менее вероятны интенсивные тесные контакты между нами.

Наш интерес привлекла книга, выпущенная в 2010 году филологом Н. Цулукидзе: «Пришлые из Ариан-Картли», в которой отрицается картвельское происхождение Азона и его семейства. По мнению автора, люди, пришедшие в Грузию из Ариан-Картли во времена Александра Македонского, являются индо-арианцами, а не картвелами к югу от Арии.

По нашей оценке подобные заключения Н. Цулукидзе несколько преувеличены: история рассказывает о том, как евреи пришли и поселились в Грузии, однако этнокультурного слияния не произошло. В Грузии селились также арабы, греки, персы, половцы, армяне .., однако их культуру, нравы, обычаи и обряды мы не перенимали.

Постулаты и архефакты, завернутые Н. Цулукидзе в «индо-арийскую одежду», как мы заключили, были внесены в грузинское этнопространство древними арийцами-персами (Мидия, Парфия ... Иран). Учитывая исследование, которое предположительно будет проведено в будущем, следует отметить, что необходимо создать исследовательскую группу в составе картвельских и индо-арийских ученых-исследователей (в составе антрополога, картвелолога, специалиста по Кавказу, языковеда, этнолога, индолога), с целью окончательно решить проблему идентификации «ариан-картлелов». Вряд ли следует полагать, что упоминание «колхов как индийских скифов» в поэме греческого автора Ликифрона будет решено в пользу картвельской расы (с расселением на территориях исторического проживания, таких как Кавказ – Малая Азия – Черноморье и Средиземноморье – Индия).

**Ключевые слова:** Индия, Индостан, Грузия, «гурджи», «Гурджистан», картвели, Сакартвело, Англия, «Джарджия» («Джорджия»), мусульманских стран , Иран, Мидия, Парфия, Афганистан, «Ариан-Картли», Азон, Александр Македонский, арабы, греки, персы, половцы, армяне, греческий автор Ликифрон, картвельские расы. Кавказ – Малая Азия – Черноморье и Средиземноморье – Индия.

**Рецензент:** профессор Автандил Сонгулашвили, Грузинский технический университет

## CONTENTS

### THEORY

**Nunu Ovsyannikova**

Some aspects on the rules of behavior in the public service-----5

**Roza Gaprindashvili**

The theory of attitude and psychology of “superstition”-----14

**Otar Kochoradze**

China's strategy of Human Resources-----20

### HISTORY

**David Paitschadse**

Twenty years of “independence”  
(a problem of socialization in modern Georgia) -----32

**Ketevan Mukhiguli**

Fichte about History -----63

**Irina Kornilova**

The plots of the Russian Orthodox Church in the work of V.F. Kudryavtseva “Old time, monuments, traditions and legends of Prikamsky region”-----73

**ECONOMICS**

**Gunia G. S, Svanidze Z.S., Gersamia A.G., Svanidze L.S.**

Working out of questions of complex monitoring of environment for the purpose of an estimation of the investment environment with high reliability----- 81

**Bela Goderdzishvili**

RE-engineering of business processes-----95

**SOCIETY**

**Nana Gamkrelidze,**

Intersubjectivity, subjectivity and the social factor-----99

**Mary Bandzeladze**

PR technologies, the means of effective marketing – right orientation in the society and at the market -----104

**Kakhaber Chinchaladze**

Antonymous couples -----112

**Badri Tskhadadze, Eka Tskhadadze**

India in Georgian Lingvo-Culturological Space-----119

## СОДЕРЖАНИЕ

### ТЕОРИЯ

**Нуну Овсянникова**

Некоторые аспекты правил поведения на  
государственной службе-----5

**Роза Гаприндашвили**

Теория установки и психология «суеверия» -----14

**Отар Кочорадзе**

Китайская стратегия управления человеческими ресурсами-----20

### ИСТОРИЯ

**Давид Паичадзе**

Двадцать лет «независимости» (Проблема обобществления в  
современной Грузии)-----32



**Кетеван Мухигули**  
Фихте об истории-----63

**Ирина Корнилова**  
Сюжеты истории православной церкви в работе В.Ф. Кудрявцева  
«Старина, памятники, предания и легенды Прикамского края»-----73

## ЭКОНОМИКА

**Гуния Г.С., Сванидзе З.С., Герсамия А.Г., Сванидзе Л.С.**  
Разработка вопросов комплексного мониторинга природной среды с целью оценки инвестиционной среды с высокой надежностью -----81

**Белла Годердзишвили**  
Реинжиниринг бизнес-просесов-----95

## ОБЩЕСТВО

**Нана Гамкредидзе**  
Интерсубъективность, субъективность и социальный фактор-----99

**Мари Бадзеладзе**  
PR технологии, средство эффективного  
маркетинга-правильной ориентации в обществе и на рынке-----104

**Кахабер Чинчаладзе**  
Антонимные пары-----112

**Бадри Цхададзе, Эка Цхададзе**  
Индия в грузинском лингвокультурологическом ареале-----119

## ავტორები

|                    |   |
|--------------------|---|
| მარი ბანძელაძე     | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის<br>დოქტორანტი   |
| ნანა გამყრელიძე    | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის<br>პროფესორი  |
| ბელა გოდერძიშვილი  | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის<br>დოქტორანტი   |
| როზა გაფრინდაშვილი | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის<br>პროფესორი  |
| გარი გუნია         | სტუ ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის<br>ბუნებრივი გარემოს დაბინძურების<br>მონიტორინგისა და პროგნოზების<br>განყოფილების მთავარი მეც. თანამშრ. |
| არჩილ გერსამია     | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის<br>დოქტორანტი   |
| ირინა კორნილოვა    | ყაზანის ფედერალური უნივერსიტეტის<br>დოცენტი (ფილიალი ქ. ელაბუგაში)  |

|                  |  |
|------------------|--|
|                  | (რუსეთი)   |
| ქეთევან მუხიგული | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი   |
| ნუნუ ოვსიანიკოვა | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი  |
| დავით პაიჭაძე    | ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი  |
| ლილი სვანიძე     | ფიზიკა – მათემატიკის მეცნიერებათა Ph. D.   |
| ზიზი სვანიძე     | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი  |
| ოთარ ქოჩორაძე    | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი  |
| კახა ჩინჩალაძე   | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი   |
| ბადრი ცხადაძე    | საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი |
| ეკა ცხადაძე      | საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი |

## **Authors**

|                       |   |
|-----------------------|---|
| Mari Bandzeladze      | Doctoral Candidate, Georgian Technical University   |
| Kakhaber Chinchaladze | Doctoral Candidate, Georgian Technical University   |
| Roza Gaprindashvili   | Professor of Georgian Technical University  |
| Nana Gamkrelidze      | Professor of Georgian Technical University  |
| Garry Gunia           | The Chief Scientific Collaborator of Department of the Forecast and Monitoring of Pollution of an Environment of Institute of hydrometeorology of the Georgian technical university |
| Archil Gersamia       | Doctoral Candidate, Georgian Technical University   |

|                     |  |
|---------------------|--|
| Bela Goderdzishvili | Doctoral Candidate, Georgian Technical University  |
| Otar Kochoradze     | Professor of Georgian Technical University   |
| Irina Kornilova     | Ph.D. in History.<br>Kazan (Volga) federal university<br>(branch of the Elabuga town) (Russia) |
| Ketevan Mukhiguli   | Doctoral Candidate, Georgian Technical University  |
| Nunu Ovsyannikova   | Professor of Georgian Technical University   |
| David Paitschadse   | Doctor of Historical Sciences  |
| Lili Svanidze       | The Ph.D. in Physics and Mathematics Sciences  |
| Zizi Svanidze       | Professor of Georgian Technical University   |
| Badri Tskhadadze    | Professor, Shota Rustaveli Theatre and Film State University                                   |
| Eka Tskhadadze      | Professor, Shota Rustaveli Theatre and Film State University                                   |

## **Авторы**

|                    |  |
|--------------------|--|
| Мари Бандзеладзе   | Докторант Грузинского технического университета  |
| Нана Гамкрелидзе   | Профессор Грузинского технического университета  |
| Гарри Гуния        | Главный научный сотрудник отдела мониторинга и прогнозов загрязнения природной среды Института гидрометеорологии Грузинского технического университета |
| Арчил Герсамия     | Докторант Грузинского технического университета  |
| Роза Гаприндашвили | Профессор Грузинского технического университета  |

|                     |   |
|---------------------|---|
| Белла Годерdziшвили | Докторант Грузинского технического университета   |
| Ирина Корнилова     | К.и.н., доцент кафедры отечественной и всеобщей истории. Казанский (Приволжский) федеральный университет (филиал в г. Елабуга) (РФ) |
| Отар Кочорадзе      | Профессор Грузинского технического университета   |
| Кетеван Мухигули    | Докторант Грузинского технического университета   |
| Нуну Овсянникова    | Профессор Грузинского технического университета   |
| Давид Паицадзе      | Доктор исторических наук  |
| Лили Сванидзе       | Кандидат физико-математических наук   |
| Зизи Сванидзе       | Профессор Грузинского технического университета   |
| Бадри Цхададзе      | Профессор Тбилисского государственного университета театра и кино им. Шота Руставели  |
| Ека Цхададзе        | Профессор Тбилисского государственного университета театра и кино им. Шота Руставели  |
| Каха Чинчаладзе     | Докторант Грузинского технического университета   |

## ქურნალის რედაქლეგია

|                         |  |
|-------------------------|--|
| ნანა ავალიანი           | ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ეგვიპტეში საქართველოს საელჩოს დეპუტანი (საქართველო)                                 |
| რუდიგერ ანდრესენი       | ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ეკონომიკის დარგში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (გერმანია) |
| მეუფე აბრამი (გარმელია) | დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი (საქართველო)  |
| ევგენი ბარათაშვილი      | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  |

|                   |   |
|-------------------|---|
|                   | პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (საქართველო)  |
| გიორგი ბალათურია  | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი (საქართველო)  |
| ოთარ ბალათურია    | პასუხისმგებელი მდივანი, პოლიტიკის დოქტორი (საქართველო)  |
| რასა ბელოკაიტე    | ვიტაუტას ღიდის უნივერსიტეტის პროფესორი (ლიტვა)  |
| ანასტასია განინი  | რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური აზიის, კავკასიისა და ურალ-ვოლგისპირეთის შემსწავლელი ცენტრის მეცნიერ-მუშაკი, დოცენტი (რუსეთი)    |
| იური გორიცი       | მოსკოვის ენერჯეტიკული ინსტიტუტის პროფესორი (რუსეთი)   |
| ვახტანგ გურული    | ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (საქართველო)  |
| შოთა დოლონაძე     | მთავარი რედაქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სახელმწიფო მართვის მიმართულების ხელმძღვანელი (საქართველო)               |
| ელუნ დრაკე        | ევროპის საბჭოს ექსპერტი (საფრანგეთი)  |
| ჰარალდ ვერტცი     | სორბონას უნივერსიტეტის „პარი-8“-ის პროფესორი ინფორმატიკის დარგში (საფრანგეთი)   |
| გენადი იაშვილი    | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და სამართლის საერთაშორისო გერმანულენოვანი ინსტიტუტის ხელმძღვანელი (საქართველო) |
| სერჯო კამიზი      | “ლა საპინდა“-ს უნივერსიტეტის პროფესორი. (იტალია)  |
| რინარდ მასი       | ნოტრდამის უნივერსიტეტის პროფესორი (ნიდერლანდების სამეფო)  |
| როინ მეტრეველი    | საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (საქართველო)   |
| იოშიკა მიცუი      | იოკოჰამას ეროვნული უნივერსიტეტის (იაპონია)  |
| ბადრი ნაკაშიძე    | მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის ფაკულტეტის პროფესორი (რუსეთი)  |
| ლიზავეტა უახანინა | კანზასის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (ამერიკის შეერთებული  |

|   |   |
|---|---|
| ბუდი ნურანი რუჩჯანა                     | შტატები)<br>პაჯჯარანის უნივერსიტეტის პროფესორი.<br>(ინდონეზია)  |
| რამონ პიეტრო-სუარესი<br>გერტ სურმიულენი | ევროპის საბჭოს ექსპერტი (ესპანეთი<br>დოქტორი, ლოჯისტიკური კომპანიის<br>პრეზიდენტი (გერმანია)            |
| ქეთი ქოქრაშვილი                         | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის<br>პროფესორი, ადმინისტრაციის<br>ხელმძღვანელი (საქართველო)           |
| ოთარ ქონორაძე                           | მთავარი რედაქტორის მოადგილე,<br>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის<br>პროფესორი (საქართველო)           |
| რუსუდან ქუთათელაძე                      | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის<br>პროფესორი, ბიზნეს-ინჟინერინგის<br>ფაკულტეტის დეკანი (საქართველო) |
| მაია ჩხეიძე                             | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის<br>მოწვეული პროფესორი (საქართველო)                                  |
| ენდრიუ ლენუქს<br>ჰარდინგსი              | კინგსკოლუჯის პროფესორი<br>(დიდი ბრიტანეთი)  |

## EDITORIAL BOARD

|   |  |
|---|--|
| NANA AVALIANI   | PhD of History, Counselor-envoy of Georgia<br>in Egypt (Georgia)   |
| RUDIGER ANDRESEN  | Professor of Economics of Berlin University,<br>Doctor of Honour of Georgian Technical<br>University (Germany) |
| His Eminence ABRAHAM<br>(GARMELIA)<br>EVGENI BARATASHVILI | Metropolitan of Western Europe (Georgia)<br><br>Professor of Georgian Technical                                |

|                       |  |
|-----------------------|--|
|                       | University, Head of Department of Economics and Business Management (Georgia)  |
| GIORGI BAGATURIA      | Professor of Georgian Technical University (Georgia)   |
| OTAR BAGATURIA        | Responsible Editor, Ph.D. (Georgia)  |
| RASA BELOKAITE        | Professor of the University of Vitautas the Great (Litva)  |
| MAIA CHKHEIDZE        | Professor of Georgian Technical University (Georgia)   |
| ELUN DRUCKE           | Expert of European Council (France)  |
| SHOTA DOGONADZE       | Chief Editor, Professor of Georgian Technical University, Head of Public Administration Department (Georgia)                   |
| ANASTASIA GANICH      | Docent, Scientific worker of Central Asia, Caucasus and Ural-Volga researcher center of the Academy of Sciences of Russia (RF) |
| YURI GORITSKIY        | Professor of Moscow Power Engineering Institute (RF)   |
| VAKHTANG GURULI       | Professor of Ivane Javakishvili Tbilisi State University (Georgia)   |
| ANDRU LENUKS HARDINGS | Professor of King's college (UK)   |
| GENADI IASHVILI       | Professor of Georgian Technical University, Head of the International German Institute (Georgia)                               |
| SERGIO CAMIZ          | Professor of the University of Roma „La Sapienza“ (Italia)   |
| KETI KOKRASHVILI      | Professor of Georgian Technical University, Head of the Administration (Georgia)   |
| OTAR KOCHORADZE       | Deputy Editor-in-Chief, Professor of Georgian Technical University (Georgia)   |
| RUSUDAN KUTATELADZE   | Professor of Georgian Technical University, Dean of Business-Engineering faculty (Georgia)                                     |
| RICHARD MAAS          | Professor of the University of Notrdam (The Netherlands)   |
| ROIN METREVELI        | Academy of Science of Georgia, Academician (Georgia)   |
| IOSHIKA MITSUI        | Professor of National University of Yokohama (Japan)   |
| BADRI NAKASHIDZE      | Professor of M.Lomonosov Moscow State University (RF)  |
| RAMON PIETRO-SUARES   | Expert of European Council (Spain)   |
| BUDI NURANI RUCHJANA  | Professor of the University of Padjadjaran (Indonesia)   |



GERT SURMIULEN

Doctor, preident of Logistic company  
(Germany)

LIZAVETA DJAKHANINA

Professor of Kansas State University (USA)

HARALD WERTZ

Professor of Informatics of Sorbona  
University "Pari-8" (France)

## **РЕДКОЛЛЕГИЯ**

НАНА АВАЛИАНИ

Посол по особым поручениям МИД  
Грузии, доктор исторических наук  
(Грузия)

Владыко АВРААМ (ГАРМЕЛИЯ)  
РУДИГЕР АНДРЕСЕН

Митрополит Западной Европы (Грузия)  
Профессор экономики Берлинского  
университета, почетный доктор  
Грузинского технического университета  
(Германия)

|                      |  |
|----------------------|--|
| ГЕОРГИЙ БАГАТУРИЯ    | Профессор Грузинского технического университета (Грузия)   |
| ОТАР БАГАТУРИЯ       | Ответственный секретарь, Ph.D. (Грузия)  |
| ЕВГЕНИЙ БАРАТАШВИЛИ  | Профессор Грузинского технического университета, руководитель департаментa экономики и управления бизнесом (Грузия)              |
| РАСА БЕЛОКАЙТЕ       | Профессор университета Витаутаса Великого (Литва)  |
| ХАРАЛЬД ВЕРТЦ        | Профессор информатики Сорбонского университета «Пари-8» (Франция)  |
| АНАСТАСИЯ ГАНИЧ      | Доцент, научный сотрудник исследовательского центра Центральной Азии, Кавказа и Урал-привольжья АН РФ (РФ)                       |
| ЮРИЙ ГОРИЦКИЙ        | Профессор Московского энергетического института (РФ)   |
| ВАХТАНГ ГУРУЛИ       | Профессор Тбилисского государственного университета им. Ив.Джавахишвили (Грузия)   |
| ЕЛУН ДРАКЕ           | Эксперт Совета Европы (Франция)  |
| ШОТА ДОГОНАДЗЕ       | Главный редактор, профессор Грузинского технического университета, руководитель направления государственного управления (Грузия) |
| СЕРДЖИО КАМИЗ        | Профессор Римского Университета «Ла Сапиенза» (Италия)   |
| КЕТЕВАН КОКРАШВИЛИ   | профессор Грузинского технического университета, глава администрации университета (Грузия)                                       |
| ОТАР КОЧОРАДЗЕ       | Заместитель главного редактора, профессор Грузинского технического университета (Грузия)   |
| РУСУДАН КУТАТЕЛАДЗЕ  | Профессор Грузинского технического университета, декан факультета Бизнес-инжинеринга (Грузия)                                    |
| РИЧАРД МААС          | Профессор университета Нотрдам (Нидерланды)  |
| РОИН МЕТРЕВЕЛИ       | Академик АН Грузии (Грузия)  |
| ИОШИКА МИЦУИ         | Профессор национального университета Йокогамы (Япония)   |
| БАДРИ НАКАШИДЗЕ      | Профессор МГУ им. М.Ломоносова (РФ)  |
| РАМОН ПЬЕТРО-СУАРЕС  | Эксперт Совета Европы (Испания)  |
| БУДИ НУРАНИ РУЧДЖАНА | Профессор университета Паджаджаран (Индонезия)   |

|                       |   |
|-----------------------|---|
| ГЕРТ СУРМИЮЛЕН        | Доктор, президент логистической компании (Германия)   |
| МАЙА ЧХЕИДЗЕ          | Профессор Грузинского технического университета (Грузия)  |
| ЛИЗАВЕТА ЖАХАНИНА     | Профессор государственного университета Канзас (США)  |
| ЭНДРЮ ЛЕНУКС ХАРДИНГС | Профессор кингсколледжа (Великобритания)  |
| ГЕННАДИЙ ЯШВИЛИ       | Профессор Грузинского технического университета, руководитель Международного Германоязычного института экономики и права (Грузия) |